# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 (124). 4-17 თებერვალი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.



## გაჟონვა — მანევრი, ზედგამოჭრილი საქართველოსთვის

1425/2
2011

## 300 სპარტელს ქართველებთანაც უბრძოლიათ

## „დეზერტირი" სამხედრო უწყებას ფრონტზე „გაექცა"



## ექსკლუზივი: აფხაზეთში მილიონ დოლარად ლაზერულ იარაღს გვთავაზობდნენ

## „ტოჩკებმა" მიზანში ამოგვიღეს...



ეროვნული ბიბლიოთეკა



## აირსოფტი მხოლოდ გართობა არ არის

46



## „დედოვშჩინა" გერმანულად... შუა ოკეანეში

4



## იტალია კა-გე-ბეს არქივებში

ანუ როგორ გადაიქცა იტალიური „ფიატი" საბჭოთა „ჟიგულად"

12

## ტერორისტი-კამიკაძეები მოსკოვს ისევ აფეთქებენ...

11





## კორეული ტანკები — ორი განსხვავებული მიდგომა

38

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**საფრთხე**

7 „ტორკები" წერტილოვანი დარტყმებისთვის...

**ტერაქტი**

11 აფეთქება მოსკოვის აეროპორტში

**სპეცსამსახურების არქივებიდან**

12 იტალია კა-გე-ბეს არქივებში

**რჩევები სამხედროებს**

15 კვალიფიციური რჩევები

**ტაქტიკა**

16 გაქცევა — მანევრი, ზედგამოჭრილი საქართველოსთვის

**დანიშვნები**

18 პრორუსული კადრები პოსტსაბჭოური ქვეყნების სპეცსამსახურების სათავეში

**ჯარისკაცის ბედი**

20 „დეზერტირი", რომელიც სამხედრო უწყებას ფრონტზე „გაექცა"

**რეგიონი**

22 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**ტერორისტული ორგანიზაციები**

24 ქურთისტანის მუშათა პარტია (ქმპ)

**ინოვაციური ტექნოლოგიები**

30 შვეულმფრენები — საბრძოლო გამოყენების პირველი ნაბიჯები

**ავიაციის პიონერები**

35 სიმაღლეთა დამპყრობი

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

38 კორეული ტანკები — ორი განსხვავებული მიდგომა

**ქართული ომების ისტორიიდან**

43 300 სპარტელს ქართველ ტომებთანაც მოუწიათ ბრძოლა

**სამხედრო სიმულაციები**

46 აირსოფტი — მეტი ვიდრე უბრალო თამაში

**სამხედრო ისტორიები**

50 აფხაზეთში მებრძოლ ქათულ არმიას მილიონ დოლარად ლაზერულ იარაღს სთავაზობდნენ...

**სამხედროებიც იცინიან**

52 ვიდეოკამერა — სასწაულებრივი იარაღი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 რუსული „კანარის ჩიტის" საიდუმლოებანი


პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შედარებით თანამედროვე რუსული საბრძოლო ტექნიკის შეყვანით მკვეთრად გაიზარდა საფრთხე მთლიანად საქართველოსთვის. С-300 საზენიტო-სარაკეტო სისტემები აფხაზეთიდან თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს თავზე აკონტროლებენ ცას. მათი ცხინვალთან შეყვანის შემდეგ იმავე დღეში აღმოჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს საჰაერო სივრცე. ზალპური ცეცხლის Смерч-ები და ოპერატიულ-ტაქტიკური Точка-У-ები კი ოკუპირებული ცხინვალიდან და ახალგორიდან დაემუქრნენ დედაქალაქ თბილისსა და სამხედრო ბაზებს აღმოსავლეთ საქართველოში — ვაზიანსა და მარნეულში. დიდ მანძილზე მოქმედი საბრძოლო სისტემების ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შეტანით მოსკოვი, სავარაუდოდ, საქართველოსთან ახალი ომისთვის ემზადება...

*ირაკლი ალადაშვილი*
*თემურ ჩაჩანიძე*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
31.01.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 38-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს



# „ფანჯრიანი“ მჭიდები ავღანეთში მებრძოლი ბრიტანელებისათვის

ავღანეთში მყოფი დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ავტომატ SA80-ისთვის 100 ათას ახალ მჭიდს Magpul EMAG-ს მიიღებენ. ახალი მჭიდები სტანდარტულისგან შემცირებული წონით, მეტი გამძლეობითა და „ფანჯრიანი“ — გამჭვირვალე კორპუსით განსხვავდება, რაც სროლის დროს ვაზნების მარაგის ვიზუალური გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

Magpul EMAG-ის ტევადობა NATO-ს სტანდარტის 5,56X45 მმ-იანი 30 ვაზნით განისაზღვრა. ავტომატ SA80-ის ჩვეულებრივი მჭიდის მასა 249 გრამია, ხოლო ახლის კი — 130. ბრიტანელ ჯარისკაცთა აღჭურვილობაში 12 დატენილი მჭიდი შედის. ახალი მჭიდი საერთო წონას კილოგრამზე ცოტა მეტით ამსუბუქებს.

Magpul EMAG-ს, ყველა სიკეთესთან ერთად, აქვს დამცავი სარქველიც, რომელიც ტრანსპორტირებისას მჭიდში მტვრისა და ქვიშის მოხვედრას აბრკოლებს. ეს კი მისი გამოყენების ხანგრძლივობას საგრძნობლად ზრდის.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო უწყება უახლოეს ოთხ წელიწადში ავღანეთში გაგზავნის მილიონამდე ახალ მჭიდს, რომელთა საერთო ღირებულება 13 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ანუ 20,7 მილიონ დოლარს შეადგენს.

# „დედოვშჩინა“ გერმანულ სასწავლო იალქნიან ხომალდზე?



გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების სასწავლო იალქნიან ხომალდ Gorch Fock-ზე კადეტები ჯანყსა და დაუმორჩილებლობაში დაადანაშაულეს. თავის მხრივ, კურსანტები ირწმუნებიან, რომ მიზეზი ხომალდზე არსებული აუტანელი პირობებია — ოფიცრებისგან უდიერი მოპყრობა, დამცირება და სექსუალური ძალადობაც კი.

ხომალდზე არეულობის პირველი ნიშნები შარშან ნოემბერში გამოჩნდა, როცა „გორხ ფოკი“ ბრაზილიის ნაპირებთან დაცურავდა. კადეტებსა და ოფიცრებს შორის დაპირისპირება 25 წლის კურსანტის — სარა ლენა ზეევეს დაღუპვის შემდეგ გამწვავდა. ქალი-კურსანტი ანძიდან – 27 მ სიმაღლიდან ჩამოვარდა, გემბანს დაენარცხა და მოგვიანებით ჰოსპიტალში გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ კურსანტებზე იმოქმედა და ბევრმა მათგანმა ანძაზე ასვლაზე უარი განაცხადა, ხოლო რამდენიმემ სწავლა შეწყვიტა და შინ დაბრუნდა.



ბრძანებების შეუსრულებლობისა და განაწესის დარღვევისთვის რამდენიმე კადეტი სასწავლო კურსიდან დაითხოვეს და ოფიცრის წოდებაზე პრეტენდენტობის უფლება ჩამოართვეს, რასაც კიდევ უფრო დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

კონფლიქტი მხოლოდ მას შემდეგ ამოიწურა, რაც გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობამ „გორხ ფოკზე“ სწავლის პროცესი შეაჩერა.

გერმანიაში დაბრუნებულები ხომალდზე კადეტთა უფლებების დარღვევის ფაქტებს ჰყვებიან. მათი თქმით, ოფიცრები განურჩევლად ყველა კურსანტს აიძულებდნენ ანძაზე ასვლას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ მოვალეობაში არ შედიოდა და წესით, ნებაყოფლობითი იყო.

ერთ-ერთმა კურსანტმა ისიც აღიარა, რომ უფროსი კურსის კადეტებისგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. როგორც ამბობს, საშხაპეში ერთბაშად სამნი დაესხნენ თავს და იძულებული გახდა, გაქცეულიყო.

სასწავლო იალქნიან გემზე მომხდარ ამ და სხვა ფაქტების დეტალურად შესწავლა გერმანიაში უკვე დაიწყო და საჭიროების შემთხვევაში საქმე პროკურატურას გადაეცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერაყისა და ავღანეთის ომების ვეტერანმა მედლების გაყიდვა გადაწყვიტა



ბრიტანეთის არმიის სადესანტო დივერსიული ქვედანაყოფის ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ ალან ოუენსმა ერაყისა და ავღანეთის ომებში მიღებული ყველა ჯილდო და მედალი ონლაინაუქციონ **eBay**-ზე გასაყიდად გამოიტანა.

მთავარი სავაჭრო ლოტი იყო „სამხედრო ჯვარი", რომელიც მან 2009 წლის მარტში ავღანეთის ომში გამოვლენილი მამაცობისა და თავდადებისთვის დაიმსახურა.

ყოფილმა სამხედრომ ამ უცნაური გადაწყვეტილების ახსნა არ ისურვა, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით კი ალან ოუენსი არმიიდან დათხოვნილია და როგორც ვეტერანსა და სამხედრო ჯილდოების მფლობელს, სრული უფლება აქვს, საკუთარ მედლებს ნებისამებრ მოეპყროს.

„სამხედრო ჯვრის" სასტარტო ფასი 25 ათასი გირვანქა სტერლინგით, ანუ 29 ათას დოლარზე მეტით განისაზღვრა.

საერთოდ, ბრიტანულ ინტერნეტაუქციონ **eBay**-ზე გასაყიდად სამხედრო ჯილდოების გამოტანა იშვიათობა არაა. ოღონდ, მედლები ძირითადად პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროინდელია. თანამედროვე მედლები კი ონლაინაუქციონზე გასაყიდად აქამდე არავის გამოუტანია.

# რეაქტიულ გამანადგურებლებს ქალბატონებს მალე ინდოელებიც ანდობენ

ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში პატრიარქატს ბოლო მოეღება. არა, ამ ქვეყნის ავიაციაში ქალები აქამდეც მუშაობდნენ, მაგრამ ისეთ მამაკაცურ საქმეში, როგორიც რეაქტიული გამანადგურებლის მართვაა, ცხვირს არ ყოფდნენ.

ჰოდა, როგორც სხვა სფეროებში, მშვენიერმა სქესმა აქაც იყოჩაღა და სულ რამდენიმე წელიწადში ინდოეთის ცის სამხედრო თვითმფრინავებით გადასერვაში მამაკაცებს ტოლს არ დაუდებენ.

„100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს ოთხ-ხუთ წელიწადში ქალები თანამედროვე გამანადგურებლებით იფრენენ. ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში რეაქტიული გამანადგურებლით ფრენისას ქალის ფიზიოლოგიური ასპექტების კვლევა უკვე დაწყებულია", — აცხადებს ამ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის ხელმძღვანელი ფალი ჰომი მეიჯორი.



ამ დროისთვის ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალები 10563 ოფიცერს ითვლის, სადაც 750-ზე მეტი ქალია. სუსტი სქესის წარმომადგენლებს სამხედრო ავიაციაში სამსახურის ნება 1992 წლიდან დართეს, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ სატრანსპორტო თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებზე ფრენის უფლება ეძლევათ.

გამანადგურებლის კაბინაში ქალის „შეშვების" პროცესი შესაძლოა ქორწინებასა და ფეხმძიმობასთან დაკავშირებულმა საკითხებმა შეაფერხოს, თუმცა ამ იდეის მხარდამჭერებს თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მაგალითი მოჰყავთ, სადაც ახალბედა მფრინავებს გამანადგურებელ F-16-ზე ფრენას ქალი-ინსტრუქტორები ასწავლიან.

კარგა ხანია პილოტი ქალების არსებობა აღარავის უკვირს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში, სადაც მათ ავღანეთსა და ერაყში საბრძოლო გაფრენებსაც კი ავალებენ.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# საღეჭი რეზინი — მებრძოლის სტიმულატორი



სულ მალე ისრაელის არმია („ცახალი“) მებრძოლთა საბრძოლო შემართებისა და ეფექტურობის ასამაღლებლად ახალ, ერთობ მნიშვნელოვან „იარაღს“ ფართოდ დანერგავს. ეს არც რაკეტა, ქვემეხი ან ჯავშნის ახალი სახეობაა — ეს არის სტიმულატორი კევი.

კოფეინით გაჯერებული კევი შეიარაღებულ ძალებში მფრინავთა და ჯარისკაცთათვის არის განკუთვნილი, რათა ხანგრძლივ ფრენასა თუ საომარ მოქმედებებში მათ აქტივობა და ბრძოლისუნარიანობა შეუნარჩუნოს.

„მებრძოლებს არცთუ იშვიათად სიფხიზლის შენარჩუნება ხანგრძლივი დროით მართებთ. აქ საქმე ძილისგან თავის შეკავებასთან ერთად ეფექტურად მოქმედებასაც შეეხება“, — განაცხადა „ცახალის“ სამედიცინო სამსახურის მაღალჩინოსანმა.

როგორც ირკვევა, სხვადასხვა ტიპის კოფეინის შემცველ კევზე ებრაელ სამხედრო სპეციალისტებს რამდენიმე თვე უმუშავიათ. მათ სტიმულატორი კევის ეფექტიანობა თავდაპირველად ქვეყნის საპარაშუტო-სადესანტო ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებზე მოსინჯეს.

თურმე თითო ასეთი კევი 100 მგ კოფეინს შეიცავს და მისი დაღეჭვით მიღებული ეფექტი დაახლოებით ექვსი ჭიქა ყავის ტოლფასია. მნიშვნელოვანია, რომ კევის კოფეინის 85%-ს ორგანიზმი ძალზე სწრაფად, რამდენიმეწუთიანი ღეჭვის შემდეგ ითვისებს.

# აქტიური კამუფლაჟი ტანკს მოძრაობაშიც შეუმჩნეველს გახდის

სამხედრო კამუფლაჟმა სხვადასხვა სიმკვეთრის მწვანე შეფერილობიდან თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ სისტემებამდე ხანგრძლივი გზა განვლო. ცნობილი ბრიტანული კომპანია **BAE Systems**-ი სწორედ ასეთ მაღალტექნოლოგიურ ელექტრონულ კამუფლაჟზე მუშაობს, რომლის შეფერილობას ელექტრომელანი **E-Ink**-ი განაპირობებს. მისი მეშვეობით, ჯავშანტექნიკის ზედაპირი ლანდშაფტის ფერებად „შეიღებება“ და მოწინააღმდეგისთვის თითქმის შეუმჩნეველი გახდება.



პროექტის თანახმად, ტანკის კორპუსზე ყველა მხრიდან დაყენებულია უამრავი ვიზუალური სენსორი და კამერა, რომელთა მეშვეობით სისტემა გარემოს სრულ სურათს ხატავს და მას ელექტრომელნის მეშვეობით ჯავშანზე ასახავს. რამდენადაც ეს პროცესი რეალურ დროში, მყისიერად ხდება, აქტიური კამუფლაჟის სისტემა ტანკს მაშინაც კი უხილავს ხდის, როცა ის დიდი სიჩქარით მოძრაობს.

კამუფლაჟის ახალ სისტემას არ ძალუძს ტანკი თვალთვალისათვის სრულიად შეუმჩნეველი გახადოს, რადგან ტანკის მოძრაობით გამოწვეულ ხმაურს, ძრავას გამონაბოლქვ აირებსა და მუხლუხოებისაგან ავარდნილ მტვერს ის ვერ უმკლავდება.

კომპანია პროექტისათვის ხორცშესხმას მოკლე დროში აპირებს და სისტემის პრაქტიკულ შემოწმებას ავღანეთში, ბრიტანულ ქვედანაყოფებში გეგმავს.

**BAE Systems**-ის წარმომადგენელთა თქმით, ასეთი კამუფლაჟის იდეა სწორედ ავღანეთში დაიბადა. ბრიტანელებს აწუხებთ, რომ ჰილმენდის პროვინციაში დისლოცირებული, უდაბნოს კამუფლაჟით „შემოსილი“ ბრიტანული ჯავშანტექნიკა გამწვანებულ რაიონებში ადვილად შესამჩნევია.

# თურქეთი 116 F-35-ით ძლიერდება



თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალები შეიარაღებაში Lockheed Martin-ის 116 გამანადგურებელ F-35 Lightning II-ს მიიღებს. ამის გარდა ჩვენი მეზობელი სამხედრო ავიაპარკისთვის კიდევ 30 გამანადგურებლის F-16 Fighting Falcon Block 50-ის შეძენას აპირებს.

ამრიგად, თურქეთმა პირველად დაასახელა შესაძენი ამერიკული ავიაგამანადგურებლების რაოდენობა. მანამდე სხვადასხვა მონაცემით საუბარი ასამდე აპარატზე იყო. F-35-ის პროგრამაში მონაწილე ცხრა ქვეყნიდან ერთ-ერთი თურქეთია.

# „ტოჩკები“ წერტილოვანი დარტყმებისთვის...

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში აგრესორები განაგრძობენ დამატებითი ძალებისა და შემტევი შეიარაღების შემოტანას და ამას ახალი ომის აცილების მიზეზით ხსნიან.

ცხინვალის რეგიონში უკვე შემოვიდა „სმერჩების“ დივიზიონი, მაგრამ ეს საკმარისად არ ჩაითვალა და მას ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექს Точка-У-თი დაკომპლექტებული მეორე დივიზიონი დაემატა.



კომპლექსის გათვლა „ტოჩკას“ გასაშვებად ამზადებს

საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის შემტევი შეიარაღებით აღჭურვა ისეთ „პროგრესს“ განიცდის, რომ მომდევნო ეტაპზე ბირთვული ქობინებისა თუ მასობრივი განადგურების სხვა საშუალებათა შემოტანას უნდა ველოდოთ.

ეს პროცესი იმის მანიშნებელია, რომ მეზობელი ქვეყნის გენშტაბში უკვე დამუშავებულია საქართველოსთან მომავალი ომის შესაძლო სხვადასხვა სცენარი.



„ტოჩკას“ სტარტი

ცხინვალის რეგიონის შეზღუდული ტერიტორია და რუსეთთან მიბმული სუსტი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ომის შემთხვევაში რუსეთის არმიას მოკლე დროში (რამდენიმე საათში) სახმელეთო გზებით ჯარებისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოყვანის საშუალებას არ აძლევს.

მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება ზამთარში, როცა თოვლის გამო როკის გვირაბთან მისასვლელი გზები დროდადრო იკეტება და უამინდობის გამო ავიაციის გამოყენებაც ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

ასეთ შემთხვევაში რუსები საქართველოს ტერიტორიაზე სამიზნეთა (სამხედრო ბაზები, მართვის პუნქტები, სამრეწველო ობიექტები და სხვ.) მწყობრიდან გამოყვანას ე.წ. წერტილოვანი სარაკეტო დარტყმებით შეეცდებიან.

მოსკოველი სტრატეგები მომავალ საბრძოლო მოქმედებებში მთავარ აქცენტს მაინც უკონტაქტო ომზე აკეთებენ, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება-დემორალიზაციას „სმერჩების“, „ტოჩკებისა“ და ავიაციის გამოყენებით აპირებენ.

2008 წლის ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, შეეცდებიან ნაკლებად დაზიანდეს სარკინიგზო მაგისტრალები და მეზობელი სომხეთი იზოლირებული არ დარჩეს.

სარეკლამო ბუკლეტებში „ტოჩკა“ მაღალი სიზუსტის იარაღად არის



2008 წლის აგვისტო — ჩრდილო ოსეთიდან რუსები საქართველოს „ტოჩკებს“ ესვრიან

„ტოჩკების“ სხვადასხვა მოდიფიკაციის რაკეტები



ფოთში ჩამოვარდნილი და აფეთქებული **Точка-У** ძრავას ნაწილი



დახასიათებული და ტექნიკური მონაცემებით სამიზნიდან გადახრა 300 მეტრს არ აღემატება.

ყველანაირი იარაღი და მათ შორის — „ტოჩკაც“ სამხედრო სამიზნეს სამოქალაქოსგან ვერ ასხვავებს და კომპლექსის გამოყენების დღემდე ცნობილი შემთხვევებიდან სამხედროებზე მეტად მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა.

კომპლექსს რუსეთის 58-ე არმია ჩეჩნეთის მეორე ომის დროს მასობრივად იყენებდა. ამერიკელთა შეფასებით ჩეჩნურ ფორმირებებს ჩრდილოკავკასიელმა მერაკეტეებმა დაახლოებით 130-მდე „ტოჩკა“ ესროლეს.

სამიზნეთა გამოვლენისათვის რუსი სამხედროები კოსმოსური დაზვერვის ფოტოებით სარგებლობდნენ და რაკეტას ესროდნენ იმ ადგილებს, სადაც ადამიანთა მასობრივი თავშეყრა შეიმჩნეოდა.

ცნობილია, რომ 58-ე არმიამ „ტოჩკები“ გროზნოსა და ბამუტის აღებისას მრავალგზის გამოიყენა, მაგრამ უცნობი დარჩა მისი ეფექტურობა.

კოსმოსიდან დანახული აფეთქების ადგილების ორმოებით ძნელი შესაფასებელია ჩეჩნურ შეიარაღებულ ფორმირებათა დანაკარგი, მაგრამ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლზე ერთი ინფორმაცია არსებობს.

1999 წლის 21-22 ოქტომბერს ღამით გროზნოს ცენტრალურ ბაზარში, სავარაუდოდ, 5-6 „ტოჩკა“ ჩამოვარდა და ჩეჩნური მონაცემებით 140-მდე კაცი დაიღუპა და 250-მდე კი დაიჭრა.

მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მიუთითებს, რომ რაკეტის ქობინი მსხვრევადი ან კასეტური ელემენტებით იყო დატენილი.

ბაზარი სამხედრო სამიზნე არ არის და მსხვერპლის მეტ ნაწილს მშვიდობიანი მოსახლეობა შეადგენდა, ამიტომაც რუსმა სამხედროებმა ამ შემთხვევასთან კავშირი უარყვეს და აფეთქება ჩეჩნებს გადააბრალეს.

„ტოჩკამ“ არც უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობა დაინდო. 2000 წლის 20 აპრილს ჩერნიგოვის ოლქში მდებარე პოლიგონ „გონჩარევსკაიადან“ გასროლილი რაკეტა კურსიდან გადაიხარა, საცხოვრებელ სახლს დაეცა და მეცხრედან მეორე სართულამდე ჩაანგრია. დაიღუპა 3 და დაიჭრა 5 კაცი. საბედნიეროდ, სასწავლო რაკეტა გამოდგა საბრძოლო ქობინის გარეშე, თორემ მსხვერპლი ბევრად მეტი იქნებოდა.

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლ-



რუს მერაკეტეთა მიერ შერჩეული დასაბომბი სამიზნე რაჭის ტყეში უკაცრიელი ადგილი აღმოჩნდა



ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსი **Точка** სტარტის წინ

კომპლექს **Точка (9K79)/SS-21 SCARAB**-ს 1975 წლიდან ყაზახეთში ქალაქ პეტროპავლოვსკის მძიმე მანქანათმშენებელი ქარხანა ამზადებდა და საბჭოთა არმიის სატანკო-მოტომსროლელი სარაკეტო დივიზიონების შეიარაღებაში შედიოდა.

1984-88 წლებში კომპლექსს სროლის სიშორისა და სიზუსტის გასაზრდელი სამოდერნიზაციო-საცდელი სამუშაოები ჩაუტარდა.

1989 წლიდან ბურიატიაში ვოტკინის მანქანათმშენებელი ქარხანა ახალი კომპლექსის **Точка-У (9M79-1/9M791)/SS-21B SCARAB-B**-ის სერიულ წარმოებაზე გადავიდა.

კომპლექსში შემავალი რაკეტის საბრძოლო ნაწილი შეიძლება აღიჭურვოს ბირთვული (10 კილოტონა სიმძლავრის), ქიმიური ან ჩვეულებრივი 482 კგ-იანი საბრძოლო ნაწილით.

ამ უკანასკნელში მსხვრევად-ფუგასური (14500 სხვადასხვა ზომის ნამსხვრევი) ან კასეტური (15800 კასეტური ელემენტი) შეიარაღებაა გამოყენებული და 3-7 ჰა-ს ფარავს.

რაკეტის სამოქმედო რადიუსი 15-120 კმ-ია და შესაბამისად, ფრენის დრო 43-163 წამს შეადგენს. ეს იმდენად მცირე დროა, რომ რაკეტების გადაჭრისათვის კოსმოსური დაზვერვის საშუალებებით მუდმივ დაკვირვებასა და საქართველოს ტერიტორიაზე თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემათა განლაგებას მოითხოვს.

„ტოჩკა“ უკვე გამოჩნდა მეზობელი აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. 2008 წელს ბაქომ უკრაინისაგან 3 კომპლექსი შეიძინა.

ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე კომპლექსიც სომხეთის არმიის განკარგულებაშია, რაც ცოტა საეჭვოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქის (ახლა სამხრეთის სამხედრო ოლქია) იმავე 58-ე არმიამ 2008 წლის საქართველოსთან ომში დაახლოებით ორ ათეულზე მეტი „ტოჩკა“ გამოიყენა.

2007 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში ე.წ. რუსეთის „სამშვიდობო ძალებს“ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 1-ელი სარაკეტო ბრიგადა დაემატა.

2008 წლის 8-9 აგვისტოს ღამით ოჩამჩირის რაიონიდან ბრიგადის მერაკეტეებმა ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზასა და სამოქალაქო პორტს 3 „ტოჩკა“ ესროლეს.

სარაკეტო თავდასხმები მძიმე შედეგით დასრულდა — 6 სამხედრო მეზღვაური დაიღუპა და ორ ათეულზე მეტი მძიმედ დაიჭრა-დასახიჩრდა. რამდენიმე თანამშრომელი სამოქალაქო პორტმაც დაკარგა.

სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში რუსებმა მსხვრევად-ფუგასური ქობინი გამოიყენეს, რომელიც პირველ რიგში ცოცხალი ძალის მწყობრიდან გამოყვანაზეა გათვლილი.

8-12 აგვისტოს ჩრდილო ოსეთის ტერიტორიიდან 58-ე არმიის 464-ე სარაკეტო ბრიგადამ საქართველოს „ტოჩკებით“ ორ ათეულამდე სარაკეტო დარტყმა მიაყენა (აგრესიის დამადასტურებელი კიდევ ერთი ფაქტი) — რაკეტები რაჭის, იმერეთისა და ცხინვალის რეგიონის დასახლებებიდან მოშორებით ჩამოვარდა და საბედნიეროდ, მრავალრიცხოვან მსხვერპლს გადავურჩით.

2008 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში კი „ტოჩკების“ დივიზიონი ცხინვალის რეგიონში შემოვიდა და რუსმა მერაკეტეებმა პირველად, ალბათ, მიზანში თბილისი ამოიღეს.

„ტოჩკების“ სარაკეტო დივიზიონი 2-3 ბატარეისგან შედგება, ხოლო ბატარეა კი 2-3 გამშვებ დანადგარს ითვლის, ანუ დივიზიონში შეიძლება გამშვებ დანადგართა რაოდენობა 4-9-ის ფარგლებში ვარირებდეს.



Искандер-М-ებით მალე Точка-У-ებს ჩაანაცვლებენ, რის შემდეგაც ოკუპირებული ცხინვალიდან და გალის რაიონიდან 500 კმ-ის ფარგლებში ბირთვულქობინიან „ისკანდერებს“ NATO-ს წევრი თურქეთის ნახევარი ტერიტორიის დაფარვა შეეძლებათ...

**რა პოლიტიკური მიზნები შეიძლება ჰქონდეს რუსული „ტოჩკების“ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე შემოტანას?**

დასავლეთი და მათ შორის თურქეთიც ყბადაღებულ შეშფოთებასა და აღშფოთებასაც კი აღარ ამჟღავნებს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სერიოზული რუსული შეიარაღების შემოტანასთან დაკავშირებით.

არადა, **NATO**-ს წევრ თურქეთში მაინც უნდა ხვდებოდნენ, რომ თუკი დღეს რუსული „ტოჩკები“ ცხინვალიდან მხოლოდ თბილისს სწვდება, ხვალ სიტუაცია შეიცვლება და საფრთხე თურქეთსაც დაემუქრება.

რუსეთის 1-ელი და 464-ე სარაკეტო ბრიგადები, რომლებიც ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში შედიოდა და რომელთა ნაწილიც ოჩამჩირესა და ცხინვალთან გადმოისროლეს, უკვე გადადიან გადაიარაღების უფრო თანამედროვე სარაკეტო სისტემებზე **Искандер**-ებზე. თუკი უკვე მოძველებული **Точка-У**-ს მოქმედების მაქსიმალური მანძილი მხოლოდ 120 კმ იყო, Искандер-М-ის მოდიფიკაცია უკვე 500კმ-ს სწვდება!

დიდი ანალიზი არ სჭირდება იმის დადგენას, რომ ცხინვალთან დაბინავებული რუსული სარაკეტო დივიზიონი რამდენიმე წელიწადში სწორედ 500კმ-რადიუსიანი „ისკანდერებით“ გადაიარაღდება. ამიტომაც ანკარაში, თურქეთის გენშტაბში, თუკი რუკებს დააკვირდებიან, აღმოაჩენენ, რომ ოკუპირებული ცხინალიდან „ისკანდერებით“ რუსეთი თურქეთის ტერიტორიის მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს დაფარავს, ხოლო ასევე ოკუპირებული გალის რაიონიდან თურქეთის შუაგულამდე მიაღწევს.

თუკი **NATO**-ს წევრი პოლონეთი ფიქრობს, რომ კალინინგრადის ოლქში განლაგებული რუსული ბირთვულქობინიანი „ისკანდერები“ მისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რატომ არ შეიძლება, იმავე „ისკანდერებით“, ოღონდ ოკუპირებული ქართული მიწებიდან, **NATO**-ს წევრ თურქეთსაც სერიოზული საფრთხე დაემუქროს?

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფეთქება მოსკოვის აეროპორტში

24 იანვარს მოსკოვში მორიგი ტერაქტი მოხდა. ამჯერად ტერორისტების სამიზნე დომოდედოვოს აეროპორტი გახდა. თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აეროპორტის საერთაშორისო ზონის მოსაცდელ დარბაზში აიფეთქა. ტერაქტს 35 კაცი ემსხვერპლა, 150-ზე მეტი კი დაიჭრა. დაღუპულებს შორისაა რუსეთის მოქალაქე ქართველიც, გვარად ლომჟარიძე (რუსული მედიის ვერსიით) ან ლობჟანიძე.



ჯერ დომოდედოვოს აეროპორტის თავზე კვამლი გაფანტულიც არ იყო, რომ რუსეთში „კავკასიური კვალის" ძებნა დაიწყეს. უფრო ზუსტად, ჯერ რუსულმა მედიამ თვითმხილველებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს აეროპორტში თავი კავკასიიდან ჩასულმა არაბმა აიფეთქა. თუმცა რატომღაც არავინ დაინტერესებულა, საიდან დაადგინეს თვითმხილველებმა, რომ ზემოხსენებული არაბი მაინცდამაინც კავკასიიდან იყო ჩასული.

შემდეგ „კავკასიელი არაბი" ჩეჩნებმა „ჩაანაცვლეს". კერძოდ, რუსულმა მედიამ გაავრცელა რუსეთის შსს-ს სპეცდეპეშა, რომლის მიხედვითაც, ეფ-ეს-ბესა და ეს-ვე-ერის (საგარეო დაზვერვის სამსახური) ინფორმაციით, 2010 წლის ნოემბერში მოსკოვში ჩავიდა 3 ჩეჩენი, რომლებიც რუსეთის დედაქალაქში ტერაქტს გეგმავდნენ. იქვე ნათქვამია, რომ რუსეთში დაღესტნელ ტერორისტებსაც ელოდებიან, რომლებიც პაკისტანიდან რუსეთში შეღწევას ირანის, თურქეთისა და საქართველოს გავლით შეეცდებიან.

ამ ვერსიის მიხედვით, ერთ-ერთ ჩეჩენს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაში 2010 წლის 31 დეკემბერს შემთხვევით აუფეთქდა. მიუხედავად ამისა, ტერორისტებმა მზადება განაგრძეს და დომოდედოვოს აეროპორტი სამიზნედ შემთხვევით არ აურჩევიათ. კერძოდ, ახალი წლის წინა დღეებში კადრებმა, რომლის მიხედვითაც დომოდედოვოს აეროპორტი გადაჭედილი იყო და ათასობით მგზავრს იატაკზე ეძინა, მთელი მსოფლიო მოიარა.

რუსი ჟურნალისტები ძალოვან სტრუქტურებზე დაყრდნობით ამტკიცებენ, რომ ტერორისტებმა ქალაქ ზელინოგრადში დაიქირავეს ბინა და იქ ამუშავებდნენ მომავალი აფეთქების დეტალებს. ეფ-ეს-ბე ამ ბინას 20 იანვარს მიადგა, თუმცა ტერორისტებმა გაასწრეს და მიიმალნენ.

ამავე ინფორმაციით, 24 იანვარს დომოდედოვოში სამი ტერორისტი შევიდა: ერთი შემსრულებელი, სამი კი გამცილებელი იმ შემთხვევისთვის, თუ შაჰიდი თავის აფეთქებას გადაიფიქრებდა. გამცილებლებმა აეროპორტი აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვეს.

ზემოხსენებული ვერსია რუსულ სპეცსამსახურებს არც დაუდასტურებიათ და არც უარუყვიათ. თუმცა არის ერთი დეტალი, რამაც ტერაქტის ისლამურ-კავკასიური ვერსია შეიძლება თავდაყირა დააყენოს. კერძოდ, რუსული წყაროების ცნობით, თვითმკვლელი-ტერორისტის ნივთებში ეფ-ეს-ბეს თანამშრომლებმა ბიბლია და სხვა ქრისტიანული რელიკვია იპოვეს.

რუსეთში ნებისმიერი ტერაქტის შემდეგ კრემლის კონტროლირებადი მედია „ქართულ კვალსაც" ეძებს. ასე მოხდა ამჟამადაც. თუმცა „მოსკოვსკი კომსომოლეცს" დომოდედოვოს აფეთქება პირდაპირ არ დაუბრალებია ქართული მხარისთვის. თუმცა ზოგჯერ რუსული პროპაგანდისთვის მთავარია, ტერაქტის კონტექსტში საქართველოც მოიხსენიოს და დანარჩენი უკვე მკითხველის წარმოსახვაზეა დამოკიდებული.

კერძოდ, გაზეთმა გამოაქვეყნა ასაფეთქებელი მოწყობილობების ანონიმური სპეციალისტის კომენტარი, სადაც ის აცხადებს, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ღია პლასტიტი იყო (მანამდე რუსეთში 5 კილოგრამ ტროტილზე ლაპარაკობდნენ), რომელიც რკინის ელემენტებით იყო გატენილი. მისი მტკიცებით, პლასტიტი რუსეთში, „კავკასიაში სამხედრო საწყობების ძარცვის შემდეგ", ე. წ. სამხრეთ ოსეთის გავლით მოხვდა. მისი თქმით, თუ დომოდედოვოში რუსული პლასტიტის ამერიკული ანალოგი C4 აფეთქდა, მაშინ მას რუსეთში ან საქართველოდან, ან აზერბაიჯანიდან შეიტანდნენ.

როგორც ჩანს, ამ სპეციალისტს (თუ მართლა მისი კომენტარია და არა ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფი), დაავიწყდა, რა ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც თუ ფული გაქვს, საზღვარგარეთიდან შეიარაღების თრევა არ დაგჭირდება, რუსული სამხედრო ნაწილებიდან მინიარმიას შეაიარაღებ.

რუსეთმა უცნაური ქვეყნის სტატუსი იმითაც განიმტკიცა, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა ქვეყნის პირველმა პირებმა დააკისრეს დომოდედოვოს აეროპორტის ხელმძღვანელობას და არა ეფ-ეს-ბეს (რომელსაც ერთ-ერთი ვერსიით, ტერორისტები გაექცნენ) და შსს-ს (რომელმაც თურმე იცოდა, რომ მოსკოვში ტერორისტები ფუთფუთებდნენ).

სამაგიეროდ, რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი აისრულებს დიდი ხნის ოცნებას — კიდევ უფრო გაზრდის ეფ-ეს-ბეს უფლებამოსილებებს და ამჯერად, რუსი საზოგადოება მას უსიტყვოდ დაუჭერს მხარს. შესაბამისი საინფორმაციო ფონი რუსეთში უკვე შეიქმნა. მეტიც, იმასაც ელიან, რომ ეფ-ეს-ბეს უმცროსი ძმა — ეს-ვე-ერიც შეუერთდება და ეს სპეცსამსახური საბჭოური სუკ-ის სრულფასოვანი სამართალმემკვიდრე იქნება.

თუმცა საეჭვოა, ამის შემდეგ რუსეთში ტერაქტები შემცირდეს.

**P.S.** ტერორისტი კამიკაძის დასახიჩრებული თავის მიხედვით გამოძიებამ მისი ფოტორობოტი შექმნა. 31 იანვრის ინფორმაციის თანახმად კი დაკავებულია რამდენიმე ეჭვმიტანილი, რომლებიც დაღესტნელი „ბოევიკის" დაუდოვის ჯგუფში შედიოდნენ.

***გიორგი კვიტაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა შპიონაჟის „ბუდე“ მოსკოვში ლიუბიანკაზე მდებარეობს

# იტალია კა-გე-ბეს არქივებში

თავმომწონე იტალიელთა უდიდესმა ნაწილმა შეიძლება არც იცოდეს, რომ მათი ლამაზი ქვეყნის პოლიტიკური მომავალი ათწლეულების მანძილზე მოსკოვში იგეგმებოდა. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა სპეცსამსახურები იტალიაში იმდენად თავისუფლად გრძნობდნენ თავს, რომ ეს ქვეყანა სპეცოპერაციების დაგეგმვის და ჩატარების ერთგვარ შტაბბინად გადააქციეს. რომიდან, ტურინიდან და მილანიდან იმართებოდა სპეცოპერაციები დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, აშშ-ისა და NATO-ს სხვა წევრი ქვეყნების წინააღმდეგ. თვითონ იტალიაში საბჭოთა სპეცსამსახურებს დიდი არჩევანი ჰქონდათ აგენტინფორმატორების, გავლენის აგენტების თუ სანდო პირების მრავალრიცხოვან კანდიდატს შორის. მათგან მოსკოვს უმთავრესად „გავლენის აგენტები“ აინტერესებდა, რადგანაც სწორედ მათ ხელში იყო ან მოკლე პერიოდში აღმოჩნდებოდა იტალიის პოლიტიკური სისტემის მართვის სადავეები.

საბჭოთა სპეცსამსახურების დეზინფორმაციული მუშაობის წყალობით 60-იანი წლების ბოლოს მთელ მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია, თითქოს იტალიის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო საბჭოთა პოლიტიკა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა კრემლთან. ამ ფაქტს იტალიის კომპარტიის ლიდერების განცხადებებიც ადასტურებდა. იმ პერიოდში პარტიის ლიდერმა ენრიკო ბერლინგუერმა ერთ-ერთ ინტერვიუში საჯაროდ „აღიარა“, რომ მიესალმება იტალიის NATO-ს წევრობას და მკაცრად გააკრიტიკა მოსკოვის იმპერიალისტური და მილიტარისტული პოლიტიკა. მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ეს ინტერვიუ მოსკოვში, „ლუბიანკაზე“ იყო შედგენილი.

საბჭოთა კავშირის დაზვერვის ეკონომიკური შპიონაჟის ისტორიიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია კა-გე-ბეს აქტიური მონაწილეობა ე.წ. „საუკუნის პროექტის“ — იტალიური კონცერნ „ფიატის“ მიერ საბჭოთა კავშირში საავტომობილო ქარხნის მშენებლობის დაწყებაში.

ხელშეკრულება 1966 წლის 16 აგვისტოს გაფორმდა კა-გე-ბეს რომის რეზიდენტურის თანამშრომლის, იმავდროულად ვითომდა საბჭოთა გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტის ლეონიდ კოლოსოვის აქტიური მონაწილეობით საავტომობილო ქარხნის მშენებლობისთვის საჭირო ფინანსური რესურსები სესხის სახით იტალიურ მხარეს უნდა გამოეყო და მათვე უნდა ეწარმოებინათ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. იტალიური მხარისათვის ხელსაყრელი იყო კრედიტის 7%-ად გაცემა, საბჭოთა მხარე კი ჯიუტად მხოლოდ 5%-ზე იყო თანახმა. როდესაც დიპლომატები ვერ შეთანხმდნენ, საქმეში საბჭოთა დაზვერვა ჩაერთო. იტალიის პარლამენტსა და მთავრობაში მოქმედი მრავალრიცხოვანი აგენტურის, უპირველესად კი კომპარტიის ლიდერის პალმირო ტოლიატის აქტიურობის წყალობით კრემლმა სასურველ მიზანს მიაღწია — კრედიტი მინიმალური პროცენტით მიიღო და ამით იმ დროისთვის დიდი თანხა — 40 მლნ დოლარზე მეტი დაუზოგა საბჭოთა იმპერიას, თანაც ქვეყანაში ახალი და იაფი „ჟიგულები“ მომრავლდნენ.

იტალიის სოციალისტური პარტიაც, კომუნისტურ პარტიასთან ერთად, ათწლეულების მანძილზე კრემლის ფარული მიზნების ყველაზე აქტიური შემსრულებელი იყო. ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო არენაზე სოცპარტიის ერთ-ერთი ლიდერი ფრანჩესკო დე მარტინო პროსაბჭოთა პოზიციის აქტიურ გამტარებლად გვევლინებოდა. ეს გასაკვირი არ იქნება, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ 1972 წელს ბატონი ფრანჩესკო სოცპარტიის ლიდერი კა-გე-ბეს დიდი ძალისხმევით გახდა. შემდგომ პერიოდში იყო იტალიის მთავრობის ვიცე-პრემიერი და პრეზიდენტობის კანდიდატიც(!).

ფრანჩესკო დე მარტინო მოსკოვის კარნახით ცდილობდა სოციალისტური და კომუნისტური პარტიების საპარლამენტო გაერთიანების შექმნას, რის შემდეგადაც პრემიერ-მინისტრიც თავად უნდა გამხდარიყო. მას ხელს უწყობდა ის, რომ იტალიელი სოციალისტების გაზეთს „ავანტის“ და სოციალისტ მინისტრებს ფაქტობრივად კა-გე-ბე აკონტროლებდა. ფრანჩესკო დე მარტინოს მაშინ ცოტა დააკლდა, რომ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი პოსტი დაეკავებინა.

საბჭოთა სპეცსამსახურები აფინანსებდნენ, წვრთნიდნენ და წარმართავდნენ ტერორისტული ორგანიზაცია „წითელი ბრიგადების“ მთელ საქმიანობას. არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრ ალდო მოროს მოტაცება და ლიკვიდაცია სწორედ კრემლში დაიგეგმა.

საბჭოთა სპეცსამსახურების საქმიანობა იტალიაში გასცდა მხოლოდ შპიონაჟის საზღვრებს და სხვა, სუვერენული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. ცხოვრების აქტიურ მანიპულაციად იქცა.

დღეს „არსენალის“ მკითხველს საბჭოთა კომპარტიისა და კა-გე-ბეს საიდუმლო საარქივო დოკუმენტის შინაარსს გავაცნობთ.

1970 წლის აგვისტოს სკკპ ცკ-ს

პოლიტბიურომ გრიფით „სრულიად საიდუმლო“ მიიღო ოქმი №171, რომელიც იტალიელი კომუნისტების მოსკოვში ფარულ მომზადებას ეხებოდა. ამ დადგენილებით კა-გე-ბეს დაევალა იტალიელი რადისტების მომზადება და იტალიის კომპარტიისთვის ხუთი პორტატიული რადიოგადამცემი „სელენგას“ ფარულად მიწოდება.

1974 წლის 5 მაისს №136 ოქმის საფუძველზე კა-გე-ბეს დაევალა 19 იტალიელი კომუნისტის მოსკოვში სამთვიან სპეცმომზადების კურსებზე მიღება. 17 იტალიელი აქტივისტი ფარული რადიოგადაცემებისა და დაშიფვრის ტექნიკაში უნდა მოემზადებინათ, ხოლო ორი „გარეგნობის შეცვლის“ ხელოვნებას უნდა დაუფლებოდა კა-გე-ბეს მეშვიდე სამმართველოში.

ამ „სრულიად საიდუმლო“ დოკუმენტიდან (რომელიც წლების მანძილზე ასევე საიდუმლოდ ე.წ. „განსაკუთრებულ საქაღალდეში“ ინახებოდა) ირკვევა, რომ კა-გე-ბეს „ჯადოქრებმა“ იტალიელ კომუნისტებს გადასცეს საზღვარგარეთის პასპორტის 500 სუფთა ბლანკი, ხოლო 50 ყალბი პასპორტი იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელებისთვის იყო შევსებული. ყალბი პასპორტები საფრანგეთისა და შვეიცარიის მოქალაქეების გვარებზე იყო გამოწერილი.

ყალბ დოკუმენტებთან ერთად იტალიელ კომუნისტებს გადაეცათ გარეგნობის შეცვლისთვის აუცილებელი ნივთები (პარიკები, ხელსაწყოები და ა.შ.).

იტალიის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების აქტივისტების მომზადება კა-გე-ბეში შემდგომშიც გრძელდებოდა.

იტალიელი კომუნისტები და სოციალისტები საბჭოთა სპეცსამსახურების „ყველაზე გემრიელი ლუკმა“ იყვნენ. დამატებითი ფულადი ანაზღაურება, უფასო დასვენება და მოგზაურობა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, რუსული ენის გრძელფეხება, ქერათმიანი მომხიბლავი მასწავლებლები და ა.შ. – ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ „მატერიალური წახალისებისა“, რასაც კრემლის „ერთგული“ იტალიელი პოლიტიკოსები იღებდნენ.

უმკაცრესი საბჭოთა სასაზღვრო რეჟიმის მიუხედავად, „დამჯერ“ იტალიელ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს სამშობლოში დაბრუნებისას უპრობლემოდ გაჰქონდათ უძველესი ხატები, ოქროს ნაკეთობები, სურათები და სხვა ძვირფასი ანტიკვარული ნივთები – მათთვის საბაჟო შემოწმება, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალური პროცედურა იყო. რა მოეთხოვებოდათ სანაცვლოდ ამ, ერთ-ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს? დიდი არაფერი – საბჭოთა კავშირის შესახებ უნდა ეწერათ მხოლოდ დადებითი, მკაცრად გაეკრიტიკებინათ აშშ და მისი მოკავშირე ქვეყნები და საერთოდ, საბჭოთა რეალობა უნდა შეეფასებინათ მხოლოდ გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატიების მიხედვით.

ფაქტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საბჭოთა სპეცსამსახურების პოზიცია ამჟამად უკვე რუსეთის დაზვერვამ დაიკავა.

## რატომ მალავენ იტალიაში „მიტროხინის არქივს“?

ვასილი მიტროხინი, კა-გე-ბეს პოლკოვნიკი, 1972-1984 წლებში ამ სპეცსამსახურის საარქივო განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომელი იყო. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ წყნარად გავიდა პენსიაზე და მოსკოვის მახლობლად მდებარე პატარა საბაღე ნაკვეთში თავისთვის ფუსფუსებდა.

არავინ ელოდა, რომ მიტროხინი კარტოფილისა და პომიდვრის მოსავალთან ერთად რამდენიმე წელში სხვა, გაცილებით ძვირფას „მოსავალსაც“ აიღებდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისების მიზეზი გახდებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ არქივის უფროსი წლების მანძილზე ხელით იწერდა კა-გე-ბეს სხვადასხვა საიდუმლო დოკუმენტს, მალავდა წინდებსა და საცვალში, ასე გამოჰქონდა „ლუბიანკიდან“ და შემდეგ აგარაკზე, მიწაში მარხავდა. გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ და 1991 წელს საბჭოთა კავშირში განვითარებულმა მოვლენებმა მიტროხინს მშვენიერი „ამინდი შეუქმნა“ ყველაზე ძვირფასი „მოსავლის“ ასაღებად და მან კა-გე-ბეს აგენტურის კარტოთეკის მყიდველთა ძებნა დაიწყო. წინდახედული პოლკოვნიკი ლატვიის დედაქალაქში ჩავიდა და აშშ-ის საელჩოში ცსს-ს რეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვა. ამერიკელმა მზვერავებმა ჩვეულებისამებრ ქედმაღლურად მიიღეს კა-გე-ბეს პენსიონერი, ხოლო მიწაში ჩაფლული არქივების ამბავი სასაცილოდაც არ ეყოთ.

ამერიკელებისაგან გაწბილებული მიტროხინი შორს აღარ წასულა და იქვე, რიგაში, ბრიტანელებს მიადგა. ჯეიმს ბონდის თანამემამულეებმა ყურადღებით მოუსმინეს მოხუცს, შოტლანდიური ვისკიც დაალევინეს და 1992 წელს ინგლისში პოლიტიკური თავშესაფარიც გაუხერხეს. მაგრამ მთავარი — კა-გე-ბეს არქივის ნაწილი კვლავ მოსკოვთან ახლოს, მიწაში ღრმად ჩაფლული რჩებოდა. MI-6-მა ოპერაციაში მოსკოვის რეზიდენტურა ჩართო და მალე არქივი ლონდონში იყო.

„მიტროხინის დოსიემ“ გამოააშკარავა ბევრი აგენტი, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ათწლეულების მანძილზე მოქმედებდნენ.

„მიტროხანის არქივებში“ სულ 260 იტალიელის გვარი იყო აღნიშნული, ბუნებრივია, ყველანი კატეგორიულად უარყოფდნენ კა-გე-ბესთან თანამშრომ-

**იტალიური „ფიატის“ გამოშვება ლიცენზიით, „ჟიგულის“ სახელით, მოსკოვმა ეკონომიკური შპიონაჟითაც შეძლო**





ბევრი ექსპერტი და ანალიტიკოსი პუტინ-ბერლუსკონის დიდი „ძმობა-მეგობრობის" მიღმა სხვა, ათეული წლების წინ დაწყებულ უფრო „მარტივ" და პროზაულ კვალზე ეძებს

ლობას. იტალიაში საზოგადოებრივი დაპირისპირება გამწვავდა. ამ სენსაციების „შემოქმედი" ვასილი მიტროხინი კი 2004 წლის იანვრის ბოლოს, 81 წლისა გარდაიცვალა ლონდონში.

იტალიაში მხოლოდ დიდი პოლიტიკური დებატების შემდეგ, 1999 წლის ოქტომბერში (ყურადღება მიაქციეთ — იმ დროს, როცა კრისტოფერ ენდრიუსა და ვასილ მიტროხინის წიგნი ევროპაში უკვე თავისუფლად იყიდებოდა), გადაწყვიტეს „მიტროხინის არქივის" ნაწილის გამომზეურება.

იტალიაში „მიტროხინის არქივის" ნაწილის გახსნასაც უდიდესი სკანდალი მოჰყვა. იქ სულ 260 იტალიელის გვარი იყო. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის მუშაობდა იტალიის პოლიტიკური ელიტის, დიპლომატიური კორპუსის (მათ შორის, იტალიის ყოფილი ელჩი მოსკოვში), პრეზიდენტის კანცელარიის, მასმედიის, სამართალდამცავი სტრუქტურების, ბიზნესის და ა.შ. ათეულობით წარმომადგენელი. დასახელდა კონკრეტული გვარებიც.

არქივის „იტალიურ მონაკვეთში" კონკრეტულ გვარებზე გაცილებით მეტი ოპერატიული ფსევდონიმებია დასახელებული და იტალიელი აგენტები, უპირველესად კი პოლიტიკოსები მოიხსენიებიან როგორც „კონფიდენციალური კონტაქტები". ეს კი ართულებს მათი ვინაობის დადგენას.

დასაეჭვებელია ის ფაქტი, რომ იტალიის სპეცსამსახურებს, რომლებსაც რამდენიმე წელია ხელთ ჰქონდათ „მიტროხინის არქივის" იტალიური ნაწილი, არაფერი გაუკეთებიათ კა-გე-ბეს აგენტურის გამოსავლენად. ეს პერიოდი სილვიო ბერლუსკონის პრემიერ-მინისტრობას ემთხვევა. ბევრი ექსპერტი და ანალიტიკოსი პუტინ-ბერლუსკონის დიდი „ძმობა-მეგობრობის" მიღმა სხვა, ათეული წლების წინ დაწყებულ უფრო „მარტივ" და პროზაულ კვალზე ეძებს. ამ მეგობრობის იმედით ორიოდე წლის წინ იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბერლუსკონიმ რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს „პატარა" დახმარება სთხოვა - იქნებ კა-გე-ბეს იმ არქივებში ჩამახედო, ჩემს ლამაზ ქვეყანაზე რაიმე „კარგი" ხომ არ არისო. ვითომ ასეთი „მიამიტია" გოგონების „რისხვა, მარადჭაბუკი სილვიო"? თუ ამ თხოვნით ალიბის იქმნის? ამ არქივში ხომ არ უნდა ვეძებოთ ბერლუსკონის რუსეთისადმი სიყვარულის ნამდვილი მიზეზი?

***ბესიკ ალადაშვილი***




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80



*1. გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენ ხანში ერთხელ უნდა გაიაროს პროფესიული ტესტირება თავდაცვის სამინისტროს ოფიცერმა?*

ატესტაციას სამხედრო მოსამსახურე ექვემდებარება:

3 კალენდარულ წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი), მიუხედავად იმისა, რა პერიოდია გასული სამხედრო სამსახურში ბოლო გაწვევიდან, მნიშვნელობა არ ენიჭება. ასევე 3 კალენდარული წლის განმავლობაში რა პერიოდი აქვს სამხედრო მოსამსახურეს ნამსახურები;

სამსახურებრივი დაწინაურებისას.

*2. ვინ არის უფლებამოსილი ჩაატაროს ოფიცერთა ატესტაცია?*

სამხედრო მოსამსახურეთა ატესტაცია ევალება საატესტაციო კომისიას, რომელიც მინისტრის ბრძანებით იქმნება. ასევე შესაძლებელია საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის პროფესიული ან ტერიტორიული პრინციპით შექმნა.

კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ დამოუკიდებელი ექსპერტები.

*3. როგორი ფორმით ტარდება სამხედრო მოსამსახურეთა ატესტაცია?*

ატესტაცია შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ფორმით: ტესტირება, წერითი დავალება, გასაუბრება. ტესტირების ჩატარების ფორმას, მეთოდს და თემატიკას სამხედრო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობისა და/ან წოდების გათვალისწინებით საატესტაციო კომისია განსაზღვრავს.

თემატიკა ატესტაციის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე უნდა გამოიკრას სამხედრო მოსამსახურისთვის თვალსაჩინო ადგილას ან პირადად გაეცნოს ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს.

*4. თავისუფლდება თუ არა ატესტაციისგან მივლინებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე?*

მივლინებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე არ თავისუფლდება ატესტაციის ჩაბარებისგან. პირი, რომელიც ატესტაციის პერიოდში იმყოფება შვებულებაში (მათ შორის სამკურნალო შვებულებაში), დროებით შრომისუუნარობის ფურცელზე ან მივლინებაში ატესტაციას ექვემდებარება სამსახურში გამოსვლის დღიდან არანაკლებ 2 კვირის შემდეგ.

*5. რა შეიძლება მოჰყვეს ატესტაციისთვის თავის არიდებას?*

იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ატესტაციის ჩასაბარებლად, საატესტაციო კომისია მის მიმართ გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომ სამხედრო მოსამსახურე არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან/და მინიჭებულ წოდებას.

*6. ექვემდებარება თუ არა ატესტაციას პოლკოვნიკის წოდების მქონე სამხედრო ოფიცერი?*

ატესტაციას არ ექვემდებარება:

სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი;

უმაღლესი ოფიცრის წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურე;

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამხედრო წოდება — პოლკოვნიკის მქონე პირი ექვემდებარება ატესტაციას.

*7. შესაძლებელია თუ არა სამხედრო მოსამსახურე დათხოვნილ იქნეს შეიარაღებული ძალებიდან იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციას წარმატებით ვერ გაივლის?*

ატესტაციის ჩატარების შემდეგ საატესტაციო კომისია ტესტირების შედეგს აცნობებს თავდაცვის მინისტრს. კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში მინისტრი იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

სამხედრო მოსამსახურის დაწინაურების შესახებ;

სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ;

სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითების ან/და სამხედრო მოსამსახურის თანამდებობრივი დაქვეითების შესახებ.

*8. შესაძლებელია თუ არა საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება?*

საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი და საატესტაციო ფურცელი) არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სასამართლოში ადმინისტრაციული წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ მათ საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-ბრძანება.

# გაჟონვა — მანევრი, ზედგამოჭრილი საქართველოსთვის

*„მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა არ არის საკმარისი: მას თავგზა უნდა აუბნიო, მიიყვანო იმ მდგომარეობამდე, როდესაც დეზორგანიზებულია, აღკვეთილი აქვს თავისუფლად გადაადგილების საშუალება, ხოლო მისი ძალები დაქსაქსულია".*

*ბრიტანელი სამხედრო თეორეტიკოსი ლიდელ ჰარტი*



გაჟონვა (ინფილტრაცია) დიდი ხანია განიხილება როგორც საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მანევრის ფორმა. ის გამოიყენება მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად, პარტიზანულ ოპერაციებში, მოწინააღმდეგის გამოსაფიტად, დაზვერვაში, აგრეთვე, უშუალოდ შეტევაში. როგორც წესი, გაჟონვას აკეთებენ მცირე ზომის დანაყოფები ან ჯგუფები 4-6 კაცის შემადგენლობით, თუმცა მეორე მსოფლიო და კორეის ომების დროს იყო შემთხვევები, როდესაც მთლიანი ნაწილები და შენაერთებიც კი (დივიზიები) მიმართავდნენ ამ მანევრს.

ეს ტაქტიკა საბრძოლო ხელოვნებაში უხსოვარი დროიდან გამოიყენება, თუმცა მისი ჩამოყალიბებული ფორმა და თეორიული საფუძველი სათავეს იღებს პირველი მსოფლიო ომის ბოლო პერიოდიდან და მას გუტიერის ტაქტიკა ჰქვია, გენერალ ოსკარ ფონ გუტიერის სახელის მიხედვით. ამ ტაქტიკის გამოყენების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1916 წელს ბრუსილოვის გარღვევა, 1917 წლის სექტემბერში გერმანელების მიერ რიგის ალყა, კანადელთა იერიში ვაიმის მთაზე 1917 წელს და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სამხედრო ქრესტომათიაში შეტანილი კაპორეტოსთვის ბრძოლა, რომლის განმავლობაშიც ახალგაზრდა ერვინ რომელმა არასრული ბატალიონის ღამის შეტევითა და გაჟონვით ერთ-ერთი სიმაღლის დაკავებისას ტყვედ აიყვანა 150 იტალიელი ოფიცერი, 7000 რიგითი და ხელში ჩაიგდო 81 საარტილერიო დანადგარი.

გაჟონვა ხშირად გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის, კორეისა და ვიეტნამის ომების დროს (მაგალითად, დიენ ბიენ პფუსთან ფრანგთა მე-6 კოლონიური პარაშუტისტთა ბატალიონის ორი ასეულის იერიში ვიეტნამელთა ღრმად ფორტიფიცირებულ პოზიციებზე ელენეს სიმაღლის უკან დაბრუნების მიზნით).

გაჟონვა ჩეჩენი ბოევიკებისა და სხვა პარტიზანული ტიპის დაჯგუფებების ძირითადი ტაქტიკური მეთოდიც არის.

***მაგალითი საქართველოს უახლოესი წარსულიდან: 1992 წელს, სოხუმის დაცვის ბოლო დღეებში, აფხაზები 3-5-კაციანი დაქსაქსული ჯგუფებით მალულად შედიოდნენ ქალაქის გარეუბნებში, სადაც მათ ზოგიერთი არაქართველი ეროვნების მოღალატის სახლებში სამალავები და იარაღის საწყობები ჰქონდათ, დათქმულ დროსა და ადგილას ამ ჯგუფებს აერთიანებდნენ და ზურგში ურტყამდნენ ქართულ თავდაცვით პოზიციებს.*** მათ წარმატებას ხელს უწყობდა ორივე მხარის მებრძოლების ერთნაირი სამხედრო ფორმა, მოშლილი თავდაცვის სისტემა, დეზორგანიზებული საკომენდანტო სამსახური (ქალაქს ღამით ისე გაივლიდი, რომ საბუთის შემმოწმებელი არავინ იყო), მტრის ჯგუფებში გამყოლებად ქართული ენისა და სოხუმის ქუჩების მცოდნე მოღალატეების გამოყენება.

აშშ-ის სამხედრო ტერმინების ლექსიკონში გაჟონვა განმარტებულია როგორც მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე შეღწევა მცირე ჯგუფებით, დროის არათანაბარი ინტერვალებით.

ჩვეულებრივ, ბრძოლაში მანევრის სხვადასხვა ფორმა იზოლირებულად არ გამოიყენება, ხოლო მაქსიმალური შედეგის მომტანი სწორედ მათი შერწყმა და გონივრული გამოყენებაა.

გაჟონვის მიზანია მოწინააღმდეგის ზურგში ჯარების მნიშვნელოვანი ძალების გაყვანა დასახული ამოცანის შესასრულებლად, ამასთან, მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ საკუთარი ძალების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს მოქცეული. ამ დროს შეტევაზე გადასული მხარე მოწინააღმდეგის თავდაცვის რაიონს გადამწყვეტი შეტაკებისგან თავის არიდებით გაივლის და მისი განლაგების სიღრმეს მალულად მიაღწევს. გაჟონვის შემსრულებელ დანაყოფებს თავიანთი ამოცანის შესრულება შეუძლიათ მოწინააღმდეგის კომუნიკაციებსა და მოწინავე ეშელონის ზურგის რაიონის მნიშვნელოვან ობიექტებზე მოულოდნელი დარტყმებით ან მნიშვნელოვანი სიმაღლის, გადასასვლელის ან დეფილეს დაკავებითა და შენარჩუნებით. შეიძლება ითქვას, რომ გაჟონვა არის ქვეითების შეტევითი მოქმედებების უმაღლესი ფორმა, შესრულებული მალულად ან საცეცხლე მხარდაჭერით.

გაჟონვის გადამწყვეტი ფაზაა იერიში. ამ დროს სიღრმეში მოქმედი ძალების მხარდაჭერას ჰაერიდან და მოწინავე ხაზზე მოქმედი ჯარებით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რათა მოწინააღმდეგეს გონზე მოსვლისა და საგანგებო ზომების მიღების საშუალება არ მიეცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჟონვა შეიძლება შესრულდეს სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი მოიცავს დანაყოფების მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი ეშელონის საბრძოლო წყობის გავლას შეტაკებების თავიდან აცილებით;
- მეორე — წინასწარ მონიშნულ რაიონში თავმოყრასა და იერიშისათვის მომზადებას;
- მესამე — თავად იერიშს.

გაჟონვის შესრულებისას აუცილებელია საბრძოლო ძალისხმევის მაქსიმუმის მხოლოდ მას შემდეგ გამოყენება, რაც მოწინააღმდეგის პოზიციები გავლილი იქნება, ხოლო შემტევი ძალები თავმოყრილი და იერიშისათვის მომზადებული. ამ მანევრის არჩევაზე დიდ გავლენას ახდენს ადგილმდებარეობისა და საბრძოლო მოქმედებების ხასიათი.

გაჟონვა უნდა შესრულდეს იმ შემთხვევაში, თუკი:

(1) მოწინააღმდეგე გაშლილია დიდ ფართობზე და მის საბრძოლო წყობაში არის სიცარიელეები, რომელთა გამოყენება შეიძლება ჯეროვანი საცეცხლე მხარდაჭერითა და მოწინააღმდეგის სათვალთვალო საშუალებების „დაბრმავებით".

(2) როდესაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს რთული, დახურული რელიეფისა და მცენარეული საფარის პირობებში. რაც უფრო ძნელად გასავლელია გარემო, რაც უფრო ძნელად მისადგომია მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმე, მით მეტი საფუძველია გაჟონვის შესასრულებლად. როგორც წესი, ასეთი რაიონები დაცულია მცირერიცხოვანი ძალებით, რაც კიდევ უფრო ზრდის გაჟონვის შემსრულებელი დანაყოფების შეუმჩნევლად მოძრაობის შანსს.

ამ მანევრის შესრულება დამოკიდებულია შემდეგ ასპექტებზე:

***წარმატების აუცილებელი პირობაა ამოცანის ღრმა ანალიზსა და გარემო პირობების სწორ შეფასებაზე დაფუძნებული დეტალური დაგეგმვა;***

უმეტეს შემთხვევაში ამოცანის ხასიათი საშუალებას აძლევს მეთაურს, შეარჩიოს მისი შესრულების ხერხი;

გაჟონვის მარშრუტებისა და იერიშის ობიექტების შერჩევა ხდება გარემოს, მოწინააღმდეგის განლაგების შესწავლისა და თავმოყრის რაიონებში გასვლამდე ბრძოლის თავიდან არიდების მიზნით.

იერიში მონიშნულ ობიექტზე შესაძლებელია ორი მიმართულებიდან: გაჟონილი დანაყოფებითა და ფრონტიდან მოქმედი ძალების ერთდროული მოქმედებით. ნებისმიერ ამ მიმართულებაზე საჭიროა ძირითადი ან მხარდამჭერი დარტყმები. საუკეთესო შედეგი მიიღწევა შემხვედრი მოქმედებების სრული კოორდინაციით.

***წარმატების მეორე წინა პირობაა შეტევითი სულისკვეთება, მოქმედებების შეტევითი ხასიათი.*** გაჟონვის შემსრულებელი მებრძოლები, როგორც წესი, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იქნებიან მოწინააღმდეგის ძალებით, ამიტომ ამ პირობებში შემტევი მოქმედების შესასრულებლად მებრძოლებისათვის აუცილებელია მორალური მომზადება, მეთაურების ინიციატივა და ქვემდგომების მაღალი ნდობა.

გაჟონვა არ უნდა იქნეს განხილული როგორც მხოლოდ დამხმარე მანევრი. ის არის საბრძოლო მოქმედების ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და შეიძლება ითქვას, თავზე ხელაღებული ფორმა. ყველა სხვა მოქმედებებისაგან განსხვავებით, ის იძლევა მოწინააღმდეგის ყველაზე მოწყვლად წერტილებზე დარტყმის საშუალებას და მის სრულ დეზორგანიზებას: მოწინააღმდეგე მოკვეთილია კომუნიკაციის ხაზებისგან, მოშლილი აქვს მომარაგება, შეზღუდული აქვს უკან დახევისა და დახმარების მიღების შესაძლებლობა; იძულებულია ბრძოლა აწარმოოს სხვადასხვა მიმართულებით და საფრთხეს უქმნის თავის მართვის ორგანოებს.

***გაჟონვის დიდი ძალებით შესასრულებლად აუცილებელია პირველ ყოვლისა, მოქმედების გაბედულება და ინიციატივის უფლება.*** ეს სულაც არ ნიშნავს გაჟონვის შესრულებას გაუაზრებლად ან მოწინააღმდეგის თვალწინ. ამ შემთხვევაში უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს საზრიანობა და გამომგონებლობა.

***კარგად ორგანიზებული დაზვერვა, სადაზვერვო პატრულირება, მანევრის მალულად შესრულება,*** მოწინააღმდეგის სათვალთვალო პუნქტების სწრაფად განეიტრალება გაჟონვისთვის ყველაზე ხელსაყრელი გასავლელებისა და მიმართულებების შერჩევის წინა პირობაა. დიდი ძალების ფარულად, მოწინააღმდეგესთან შეუხებლად თავდაცვის ზოლში გატარებისთვის მზირებს უნდა შეეძლოთ მოწინააღმდეგის თვალთვალისგან დაფარული სექტორების სწრაფად შერჩევა.

რა თქმა უნდა, ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ მომზადებას, რომელიც ისედაც არის საბრძოლო მომზადების განუყოფელი ნაწილი. მოწინააღმდეგის განლაგებაში რთულად გასასვლელი მონაკვეთები (ჭაობები, კლდეები, დასახლებული პუნქტების ნანგრევები და ა.შ.) მებრძოლებისგან მოითხოვს აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალის ზურგით გადატანას. ***საცეცხლე ძალის შესაძლებლობები, რომ შენარჩუნდეს, გამჟონი ძალები უნდა შეიარაღდნენ მეტი ნაღმსატყორცნებითა და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით*** (შესაბამისად, მათი ნაღმებისა და რაკეტების ნორმატიულზე მეტი რაოდენობა უნდა გადანაწილდეს პირად შემადგენლობაზე), ასევე რამდენიმე დღეზე გათვლილი კვების პროდუქტებით. ეს თითოეული მებრძოლისგან მოითხოვს დიდ გამძლეობასა და კარგ ფიზიკურ მომზადებას.

***აუცილებელია დროის სწორად შერჩევაც. მოწინააღმდეგის პოზიციების მალულად გადალახვისთვის საუკეთესოა ცუდი ხედვის, ძლიერი წვიმის, თოვლის, აგრეთვე ღამის პერიოდები.*** თუკი გაჟონვა უნდა შესრულდეს განმეორებით, აუცილებელია დაწყების დროის შეცვლა. თუკი გაჟონვა წარიმართება საცეცხლე მხარდაჭერით, მაშინ ის უნდა დაიწყოს სიბნელის დადგომისთანავე. როდესაც მოწინააღმდეგის დაცვა აღჭურვილია რადიოლოკაციური თვალთვალისა და სიგნალიზაციის საშუალებებით, აუცილებელია მათი ჩასახშობი ზომების მიღება.

მოწინააღმდეგის დაზვერვამ რომ არ დაადგინოს გამჟონი ძალების მოძრაობის მიმართულება და მათი რიცხოვნობა, საჭიროა დაცვის გაძლიერებული პატრულები და არტილერიის მაქსიმალური საცეცხლე მხარდაჭერა.

***გაჟონვა არის მანევრი, რომლის შედეგი დამოკიდებულია გაბედულ, მომზადებულ, ტერიტორიის კარგად მცოდნე და სათანადოდ აღჭურვილ ძალებზე, თანაც არ არის საჭირო ჯავშანტექნიკასა და ავიაციაში გადამწყვეტი უპირატესობა. აქედან გამომდინარე, ქართულ შეიარაღებულ ძალებში უნდა შემუშავდეს ამ მეთოდის ქართულ სინამდვილესთან ინტეგრირებული კონცეფცია, ხოლო დანაყოფები მოემზადონ საჭიროების შემთხვევაში არა მარტო გაჟონვის შესასრულებლად, არამედ ამ მანევრის გამომყენებელ მტერთან საბრძოლველადაც.***

***ვახტანგ კაპანაძე***
***ბრიგადის გენერალი,***
***გენერალური შტაბის***
***ყოფილი უფროსი***

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრორუსული კადრები პოსტსაბჭოური ქვეყნების სპეცსამსახურების სათავეში

## 2010 წლის საკადრო ცვლილებები და საგარეო-პოლიტიკური პროგნოზი



პოლონეთის პრეზიდენტს და მის მეუღლეს თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსვლა არ აცალეს, ერია თუ არა ამ ტრაგედიაში რომელიმე სპეცსამსახურის ხელი?!

ოდითგან ასე ყოფილა – ქვეყნის რეალური საგარეო-პოლიტიკური კურსი ხშირად დიპლომატების ლამაზ-ლამაზი სიტყვების მიღმა იმალება. ამიტომაც შეარქვეს დიპლომატებს ტყუილის თქმის დიდოსტატები.

თუმცა არსებობს ეროვნული უსაფრთხოების რამდენიმე სფერო, სადაც გატარებული საკადრო ცვლილებები ნათლად მიანიშნებს ნებისმიერი ქვეყნის საგარეო ორიენტირებს. ესაა თავდაცვის სამინისტროს და სპეცსამსახურების სტრუქტურა და კადრებით დაკომპლექტება. ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ სიმპათიებს უცბად მიხვდებით, თუ მისი უშიშროების, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების ბიოგრაფიებს გაეცნობით.

სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკა უტყუარი საშუალება და ერთგვარი კომპასია სიმართლის გასარკვევად.

გასული წელი მნიშვნელოვანი სიახლეებით აღინიშნა საქართველოს მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების სპეცსამსახურებსა და თავდაცვის უწყებებში. საკადრო ცვლილებები პოლონეთის, ისრაელის, აშშ-ის, ყაზახეთის, სომხეთის და უკრაინის უშიშროებისა და საგარეო დაზვერვის ორგანოებში შესაძლოა ამ ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური კურსის რადიკალური ცვლილების მომასწავებელი გახდეს.

### პოლონეთი

2010 წლის 10 აპრილს სმოლენსკთან მოხდა ავიაკატასტროფა, რომელმაც პოლონეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის უდიდესი ნაწილი იმსხვერპლა. ამ ტრაგედიამ შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს პოლონეთის საგარეო ვექტორი და ის ფარულად პრორუსული გახდეს. სმოლენსკის ტრაგედიის გამოძიების დროს რუსეთის მხარის მიერ შეგნებულად დაშვებული შეცდომებისა და გაყალბებული ნივთმტკიცებების მიუხედავად, სახეზეა პოლონეთის ახალი ხელმძღვანელობის სიმპათია რუსეთის „დემოკრატიული" ლიდერებისადმი.

პოლონეთში ახალი პრეზიდენტის, ბრონისლავ კომაროვსკის არჩევის შემდეგ ამ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის მოსალოდნელ ცვლილებებზე ექსპერტების პროგნოზი სრულად გამართლდა. გასული წლის ზაფხულში პოლონელ ჟურნალისტებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე კომაროვსკიმ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ოფიციალურად მხარი კი დაუჭირა, მაგრამ რამდენიმე იმგვარი მინიშნება გააკეთა, რომ უკვე ნათელია: საქართველოსთან მჭიდრო მეგობრულმა ურთიერთობამ შესაძლოა ჩაილურის წყალი დალიოს.

ეს ფრიად სამწუხაროა, რადგან შესაძლოა ბევრისთვის უცნობია, რომ პოლონეთის ხელისუფლება ისტორიულად (უპირველესად 1921-1939 წლებში) ყოველთვის აქტიურად უჭერდა მხარს კავკასიელი ხალხის ბრძოლას ბოლშევიკებთან, ამზადებდა მათ სამხედრო კადრებს, ქმნიდა სადაზვერვო სტრუქტურებსა (ორგანიზაცია „პრომეთე") და პოლიტიკურ ორგანიზაციებს („კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია"), აფინანსებდა ჟურნალების (მაგ. „პრომეთე") დაბეჭდვას და ა.შ.

საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ პოლონეთში პოლიტიკური და სამხედრო ელიტის მთლიანად შეცვლის მიუხედავად, ქართულ-პოლონური ურთიერთობა არ შეიცვლება, თუმცა რეალობა საპირისპიროს გვიჩვენებს.

### ყაზახეთი – ნაზარბაევის რთული თამაში

ყაზახეთის უცვლელი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რომელმაც სულ ახლახან უვადოდ გაიგრძელა ამ პოსტზე ყოფნა, ჭკუითა და აღმოსავლური ეშმაკობით ყოველთვის გამოირჩეოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ოცი წელი პრეზიდენტის სავარძელში ნამდვილად ვერ გაძლებდა. მთელი ეს პერიოდი ნაზარბაევი რთულ „პოლიტიკურ ჭადრაკს" თამაშობს – ერთდროულად რუსეთთანაც უნდა მეგობრობა და აშშ-თანაც. ეს ჯერჯერობით კარგად გამოსდის. რესურსებით უმდიდრესი ქვეყნის მართვა მართლაც უძნელესი საქმეა. ბევრ გარეშე თუ შინაურ „მოკეთეს" უჭირავს თვალი პრეზიდენტის კაბინეტზე, ამიტომაც „სტეპების მგელი" (როგორც

პრეზიდენტი ნაზარბაევი დიდ ყურადღებას აქცევს ყაზახეთის სპეცსამსახურებს



ნაზარბაევს შეარქვეს) ცდილობს, არ გაიმეოროს „თეთრი მელას“ (მგონი, ახსნა არ სჭირდება, ვინ იგულისხმება) შეცდომები და დაბალანსების პოლიტიკით მოსკოველი „დათვიც“ კმაყოფილი ჰყავდეს და ვაშინგტონელი „არწივიც“.

გასული წლის ზაფხულში ნაზარბაევმა ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა 63 წლის გენერალ-მაიორი ნურთაი აბიკაევი, რომელსაც ეს პოსტი 1998-1999 წლებში უკვე ეკავა. შემდეგ 2006 წლის თებერვლამდე ყაზახეთის სენატს თავმჯდომარეობდა. 2006-2008 წლებში ყაზახეთის ელჩი იყო რუსეთში, ბოლოს კი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

აბიკაევის პრორუსული განწყობა საიდუმლო არავისთვის არ არის, ამიტომაც უშიშროების შეფად მისი დანიშვნა ყველაზე მეტად მოსკოვში გაუხარდათ. ყაზახეთი საქართველოსთვის ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორი. ის ამჟამადაც აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ, სამშენებლო და სასტუმრო ბიზნესში და ჩვენთვის სულერთი ნამდვილად არ არის, რა საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებს მიანიჭებს უპირატესობას ეს ქვეყანა. დაველოდოთ და დრო ყველაფერს გვიჩვენებს, თუმცა პირველი სიგნალი აშკარად ნეგატიურია.

## სომხეთი

2010 წლის ივლისის დასაწყისში ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის სომხეთის დაზვერვის უფროსი არმენ დარბინიანი სომხურმა მასმედიამ რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულა, ხოლო 20 ნოემბერს სომხეთის პრეზიდენტმა დარბინიანი გაათავისუფლა თანამდებობიდან და ამ გადაწყვეტილებით ფაქტობრივად დაადასტურა ეს ბრალდება. სკანდალში გახვეული დარბინიანის ნაცვლად სომხეთის საგარეო დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსად გარეგინ მხითარიანი დაინიშნა.

სომხეთის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი სამხრეთ კავკასიაში ამჟამად ცალსახად რუსეთისკენაა მიმართული და სომხეთის დაზვერვის მეშვეობით რუსეთი მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციას იღებს საქართველოს შესახებ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სომხეთის „პირველი შტირლიცის“ კანდიდატურაც „ლუბიანკასთან“ იქნებოდა შეთანხმებული და ეს საკადრო ცვლილებაც კვლავ რუსეთის ინტერესების სამსახურისკენ არის მიმართული.

## საით წავა უკრაინა?

ძალზე საინტერესო რეალობა იკვეთება უკრაინაშიც. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ერთი კითხვა გახდა ყველაზე აქტუალური: საით წავა უკრაინა?


სომხეთის სპეცდანიშნულების რაზმი სპეცოპერაციას ახორციელებს

ამ ქვეყანას ევროპის საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, უკრაინა (აზერბაიჯანთან ერთად) ბოლო წლებში საქართველოს ყველაზე რეალური მოკავშირე იყო მთელ დსთ-ის სივრცეში. უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რადიკალური ცვლილებები უკრაინის საგარეო პოლიტიკაში, სამხედრო ორიენტირებსა თუ მტერ-მოყვრის არჩევაში სახეზეა.

2010 წლის მაისის ბოლოს უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ ნატოში უკრაინის შესვლა ამ ეტაპზე მოხსნილია დღის წესრიგიდან. მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად კი რუსეთი დაასახელა.

ყველა ქვეყნისთვის საკვანძო – უშიშროების სამსახურის უფროსის პოსტზე იანუკოვიჩმა საპრეზიდენტო ბრძოლაში გამარჯვებისთანავე 2010 წლის მარტში იუშჩენკოს კადრის ვალენტინ ნალივაიჩენკოს ნაცვლად 41 წლის მილიონერი ვალერი ხოროშკოვსკი დანიშნა. მას საინტერესო ბიოგრაფია აქვს: იყო ბიზნესმენი, უკრაინის რადის დეპუტატი, პრეზიდენტ კუჩმას ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ეკონომიკის მინისტრი. საქართველოში კარგად ცნობილი მედიაკომპანია „ინტერის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის საბაჟოს უფროსი; უკანასკნელი ერთი წელი უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე. როგორც ვხედავთ, ხოროშკოვსკი სპეცსამსახურებში მუშაობის გამოცდილებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის.

გასული წლის ივნისის შუა რიცხვებში კი უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა არმიის გენერალი ნიკოლაი მალომუჟი გაათავისუფლა უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან და ამ პოსტზე დანიშნა გენერალ-მაიორი გრიგორი ილიაშოვი.

შეგახსენებთ, რომ ნ. მალომუჟი 2005 წლამდე უკრაინის ექსპრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მრჩეველი იყო საზოგადოებრივ საწყისებზე, ხოლო 2005 წლის აპრილიდან 2010 წლის ივნისამდე უკრაინის საგარეო დაზვერვას ხელმძღვანელობდა. მას უშიშროებისა და დაზვერვის ორგანოებში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

გენერალ-მაიორმა გრიგორი ილიაშოვმა 1990 წელს დაამთავრა სსრკ სუკ-ის უმაღლესი კურსები ნოვოსიბირსკში და ჯერ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, 1992-2005 წლებში კი უკრაინის უშიშროების სამსახურის ლუგანსკის ოლქის სამმართველოში მუშაობდა. იუშჩენკოს პრეზიდენტობისას კი კადრების განკარგულებაში გაუშვეს. ამიტომაც ილიაშოვმა თავისი პოლიტიკური მომავალი იანუკოვიჩის „რეგიონების პარტიას“ დაუკავშირა და როგორც ვხედავთ, არ შემცდარა.

გ. ილიაშოვი იანუკოვიჩის ერთგული კადრია. ის „რეგიონთა პარტიიდან“ გახდა სახალხო დეპუტატი და 2007 წლის ნოემბრიდან ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის კომიტეტის სახელმწიფო ანტიკორუფციული პოლიტიკის ქვეკომიტეტს ხელმძღვანელობდა. ილიაშოვის მთელი კარიერა კონტრდაზვერვას უკავშირდება და საგარეო დაზვერვაში რა წარმატებები ექნება, ძნელი სათქმელია. ერთი კი ნათელია, ამ საკადრო ცვლილებებს უკრაინის სპეცსამსახურების საქმიანობის ძირეულად შეცვლა მოჰყვა.

***ბესიკ ალადაშვილი***

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# „დეზერტირი", რომელიც სამხედრო უწყებას ფრონტზე „გაექცა"



სიკვდილს გადაურჩი, მაგრამ დღემდე მკურნალობა მიწევს

## 17 ტყვია, განადგურებული ჯანმრთელობა და დაუსრულებელი ოპერაციები

ოცამდე ოპერაცია, შერყეული ჯანმრთელობა და სამკურნალო თანხის დაუსრულებელი მოლოდინი — ასეთია აფხაზეთის ომის ვეტერანის, კაპიტან ლევან ბლუიშვილის ცხოვრება. ის ომში 19 წლისა წავიდა და ერთ-ერთი შეტაკების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. თანამებრძოლებმა გაგრის მორგში მიაგნეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მას შემდეგ რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს, ზოგი — საქართველოში, ზოგიც — საზღვარგარეთ. მარცხენა ხელი ამპუტირებული აქვს და თავისუფლად ვერც მარჯვენას ამოძრავებს. დაზიანებული წვივების მიუხედავად, კოჭლობით, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად დადის.ვინაიდან დიდი თანხა იყო საჭირო, ვერც მკურნალობის ბოლო კურსი დაასრულა...

ბოლო ოპერაცია თურქეთში, ანკარის სამხედრო კლინიკა „გათაში" გაუკეთეს, ხარჯი მთლიანად თურქულმა კლინიკამ დაფარა. ოპერაციის შემდგომ პაციენტს მარჯვენა ხელის დამორჩილება უნდა შესძლებოდა, მაგრამ რადგან ომის ვეტერანს კვებისა და სასტუმროში დარჩენისთვის საჭირო თანხა არ ჰქონდა, მკურნალობის კურსის დაუსრულებლად შინ დაბრუნებამ მოუწია. ვეტერანი სამხედრო აფხაზეთის ომსა და მოუგვარებელი პრობლემებით სავსე ცხოვრებაზე თავად მოგვითხრობს:

— 19 წლის ვიყავი, როცა აფხაზეთის ომი დაიწყო. ბიჭებმა მოვილაპარაკეთ, წავსულიყავით და სამშობლოს დაცვაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა. მაშინ სამშობლოს სიყვარული ალალად, ყველანაირი ქვენაგრძნობის გარეშე გვესმოდა და მიგვაჩნდა, რომ ვისაც მკლავში ძალა ჰქონდა, უნდა წასულიყო, მერე ერთმანეთისთვის თვალებში თამამად რომ შეგვეხედა. ამ განწყობილებით ბევრი წავიდა აფხაზეთში, მაგრამ ომის სისასტიკემ რეალობა სხვაგვარად დაგვანახვა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1992 წელს, სამხედრო სამსახურს ორთაჭალაში გვარდიის მთავარ სამმართველოში ვიხდიდი, იქიდან კი პირდაპირ „შავნაბადას" ბატალიონში გადავედი. ორთაჭალის გვარდიის სამმართველოდან ჯერ ფოთში, მალთაყვაში ვიყავით, სადაც საწვრთნელ ბაზაში რამდენიმე ხანს დავრჩით, იქიდან ხობში გადაგვიყვანეს და შემდეგ ისევ ფოთში დაგვაბრუნეს.

ფოთიდან კი აფხაზეთში გემით წაგვიყვანეს. ბატალიონი იმ დროისათვის, ასე თუ ისე, კარგად მომზადებულ-ეკიპირებული იყო.

„შავნაბადას" მეთაური აკია ბარბაქაძე იყო, ცოტა მოგვიანებით კი კობა კობალაძემ შეცვალა.

მახსოვს, „შავნაბადას" და კიდევ სხვა ქვედანაყოფის მებრძოლები შეგვაგროვეს და 15 აგვისტოს, გამთენიისას, გემით გაგრისკენ გაგვგზავნეს.

მოწინააღმდეგე ამის შესახებ უკვე ინფორმირებული იყო და 3 საათი უშედეგოდ ვცდილობდით იქ შეღწევას — აფხაზები ნაპირთან მიახლოების საშუალებას არ გვაძლევდნენ.

დესანტირება მოხერხდა სოფელ განთიადთან, სადაც გაგრის ბატალიონი და „ლესელიძელების საძმო" (თუ არ ვცდები, ასე ერქვა ლესელიძელთა ფორმირებას) შემოგვეშველა.

რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ რუსეთის საზღვართან გასვლა შევძელით და ფსოუზე ქართული დროშა აღვმართეთ.

ამ დროს გაგრაში სიწყნარე იყო, მაგრამ მალე ქალაქმა სტრატეგიული მდებარეობის გამო გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა და დაცვის გასაძლიერებლად ზღვითა თუ საჰაერო გზით რამდენიმე ფორმირება მცირე რაოდენობით ჯავშანტექნიკასთან ერთად შემოვიდა.

ქვედანაყოფების ერთ ნაწილში უდისციპლინობა იყო. პოზიციებიდან თვითნებურად მიდიოდნენ, რაც ისედაც დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა.

ამიტომაც გაგრის ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილის ინიციატივით, 1992 წლის აგვისტოში, ჩამოყალიბდა ეროვნული გვარდიის მოხალისეთა ბატალიონი, რომელსაც სათავეში გაგრის მკვიდრი, გადამდგარი პოლკოვნიკი სერგო გულორდავა ჩაუდგა. ბატალიონი დაახლოებით 200-350 კაცისგან შედგებოდა და მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღით (ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარსატყორცნები) იყო შეიარაღებული. 18 აგვისტოს ბატალიონის პირველი დანაყოფები მეფრინველეობის ფაბრიკიდან სოფელ კოლხიდამდე 3-კი-

ლომეტრიანი სანაპირო ზოლის დაცვა-პატრულირებას შეუდგნენ.

ომის პირველ დღეებში იარაღისა და ტყვიის ნაკლებობა არ გვიგრძნია, მაგრამ შემდეგ, როცა ბრძოლები აქტიურ ფაზაში შევიდა, პრობლემებმაც მოიმატა.

მებრძოლები მეტწილად მშივრები იყვნენ. ხშირად მსუბუქი ჭრილობის გადახვევის საშუალებაც კი არ ჰქონდათ და რამდენჯერმე გამოყენებულ ბინტს ვინ იცის მერამდენედ იყენებდნენ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ბევრმა პირველად იქ გაისროლა იარაღი და „კალაშნიკოვის" დაშლა-აწყობაც იქ ისწავლა. საბედნიეროდ, მე მოუმზადებელი არ წავსულვარ და არც საკვებისა თუ საბრძოლო მასალათა პრობლემა შემხებია. ბატალიონის მეთაურს ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა. მაგრამ სხვებისგან გამიგონია, რომ ზოგჯერ შეტაკების დროს ტყვია-წამალი არ ჰყოფნიდათ.

**— თქვენ სად დაგჭრეს?**

— კოლხიდაში... ჩვენი სამხედრო ნაწილები გაგრის მიდამოებში, ბზიფსა და კოლხიდაში გაწმენდით ოპერაციებს ვატარებდით. 1992 წლის 30 აგვისტოს ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ, ღლის თორმეტი ან პირველი საათი იქნებოდა, მივიღეთ ინფორმაცია, რომელიღაც აფხაზური დაჯგუფება უახლოეს საათებში ქართულ ქვედანაყოფზე თავდასხმას აპირებსო. ჩვენ თავდასხმის მოგერიება გვევალებოდა და სანამ აფხაზები მოქმედებას დაიწყებდნენ, რამდენიმე მეომარი შეტევაზე გადავედით. ვიცოდით, რომ რიცხობრივი განსხვავება დიდი იყო, მაგრამ სხვა არჩევანი არ გვქონდა, ასობით მეომრის დაკარგვას, ვამჯობინეთ რამდენიმე კაცს გაგვეწირა თავი. ჩვენს ცეცხლს აფხაზების საპასუხო სროლა მოჰყვა. ის პოზიცია კი დავიკავეთ, მაგრამ შეტაკების დროს ძალიან მძიმედ დამჭრეს, 17 ტყვია მომხვდა: სამი „ესვე-დე" და როგორც მითხრეს, მიწაზე დავარდნის შემდეგ გონდაკარგულს „აკაემის" ავტომატის მთელი ჯერი გადამატარეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჩემგან 15-20 მ რადიუსში ნაღმი აფეთქდა და მისი ნამსხვრევები მომხვდა.

**— როგორ გადარჩით?**

— ვაი, ასეთ გადარჩენას, დღემდე მკურნალობა მიწევს. ერთადერთი, სადაც ტყვია არ მომხვედრია, თავი იყო...

ორმხრივი შეტაკება კარგა ხანს გაგრძელდა და თანამებრძოლებს ჩემი გამოყვანა გაუჭირდათ, მაგრამ ვისაც ამ ომზე რაიმე სმენია, მიხვდება, ალბათ, რომ „შავნაბადას" ბატალიონში ნამდვილი მეომარი ბიჭები იყვნენ და როგორღაც გამომიყვანეს.

ცხადია, უგონოდ ვიყავი. ყველას მკვდარი ვეგონე და მორგში გადამიყვანეს, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა და გადავრჩი. ცოცხალი რომ ვარ, ჩემი თანამებრძოლების დამსახურებაა. ომის შემდეგ გაირკვა, რომ „შავნაბადას" ყველაზე დიდი დანაკარგი ჰქონდა, უფრო სწორად — იმ ნაწილიდან თითქმის არავინ გადარჩენილა. გაგრის საავადმყოფოში გონს მხოლოდ მაშინ მოვედი, ისიც რამდენიმე წუთით, როცა სამხედრო შვეულმფრენით თბილისში მოვყავდი. აზროვნება ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში დამიბრუნდა. იქ მიყვანიდან რამდენიმე დღეში კი სამხედრო პროკურატურის თანამშრომლები დამადგნენ თავს.

**— რატომ?**

— დეზერტირობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. მაშინ, როცა აფხაზეთში ვიბრძოდი, დიდუბე-ჩუღურეთის შტაბის სამხედრო კომისარმა თენგიზ წიკლაურმა სამხედრო პროკურატურას „გადამცა", — აფხაზეთის ომში წასვლისგან თავის არიდებაში მადანაშაულებდა.

**— კი მაგრამ ამ დროს ხომ ომში იყავით?**

— დიახ, როცა სახლში უწყება მოვიდა, მე უკვე გაგრის საავადმყოფოში უმძიმესი ჭრილობებით ვიწექი... სამხედრო პროკურატურის თანამშრომლებმა დეზერტირობაში ეჭვმიტანილი კაცი ტყვიებით დაფლეთილი რომ მნახეს, გაოცდნენ. ახსნა-განმარტების მიცემა კი არა, განძრევა არ შემეძლო. ჩემს სათქმელს ჭრილობები ამბობდნენ და საქმე დაიხურა. ამის შემდეგ დაიწყო დაუსრულებელი ოპერაციები, ზოგი — შედეგიანი, ზოგიც — უშედეგო. ექიმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მარცხენა კიდური ვერ შემინარჩუნეს.

**— რა სახის დაზიანებები მიიღეთ?**

— მარჯვენა ფეხის წვივის ძვალი ჩამსხვრეული მქონდა და ნამსხვრევები სისხლძარღვებსა და კუნთებს აზიანებდა. სანქტ-პეტერბურგში მკურნალობაზე უარი მითხრეს, ძალიან რთული ოპერაცია გჭირდება და გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ფეხი მოსაჭრელი არ იქნებაო. მერე იტალიაში წავედი. იქ კი გამიკეთეს ოპერაცია, მაგრამ უშედეგოდ, მალე ძვლის დაშლა დამეწყო და კიდევ ერთი ოპერაცია დამჭირდა. თავდაცვის სამინისტროს ძალისხმევით თურქეთის სამხედრო-სამედიცინო აკადემია „გათაში", მათივე ხარჯებით, 4 ოპერაცია გამიკეთეს.

**— ამჟერად რა ეტაპზეა თქვენი მკურნალობა?**

— „წვრილმან" რაღაცებს არ ჩამოვთვლი... მარჯვენა ხელზე კიდევ ერთი ოპერაცია მჭირდება. სახსარში რამდენიმესანტიმეტრიანი რკინა მაქვს ჩადგმული და ის უნდა ამომიღონ, რომ ძვალი ჩამიდგან... ეს ოპერაცია თურქეთში უნდა გამიკეთონ, იქ წასასვლელად თავდაცვის სამინისტრო უკვე ორი ათასი დოლარი გადამირიცხა, მაგრამ დამატებით 2 ათასი დოლარი მჭირდება, რაც კვებასა და დამხმარეს (დამოუკიდებლად თავის მოვლა არ შემიძლია, მარჯვენა ხელის თითებს ვერ ვამოძრავებ) მჭირდება...

**ლევან ბლუიშვილის დედა, ზაირა ბლუიშვილი:**

— ჩემს შვილს ოჯახი არა ჰყავს და მე ვუვლი... თურქეთში მკურნალობისთვის რამდენიმე თვე მჭირდება და თან რომ გავყვე, სამსახური უნდა დავკარგო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშივრები დავრჩებით. საწოლს მიჯაჭვული კაცი ფეხზე დავაყენე, ამისთვის ბინაც კი გავყიდე, მაგრამ ვიცი, რომ მთელი ცხოვრება არ ვეყოლები ჩემს შვილს და ამიტომაც ვიბრძვი იმისთვის, რომ ის ერთი ხელი მაინც აამოძრაოს, რათა დამოუკიდებლად ჭამა შეძლოს. მარჯვენა ხელის გარდა, ლევანს უამრავი პრობლემა აქვს, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ დამოუკიდებლად სიარული შეუძლია. აუცილებელი მკურნალობის გარეშე მალე ამასაც ვერ შეძლებს.

**P.S.** საქართველოში ლევან ბლუიშვილის დიაგნოზის მქონე I ჯგუფის ინვალიდი და სამხედრო ვეტერანი დაახლოებით 1800 კაცია. ეს ცოტა არ არის, მაგრამ არც იმდენად ბევრი, რომ ასეთი თანხის გამო ტერიტორიული მთლიანობისთვის ჯანმრთელობადაკარგული მეომრები გავწიროთ.

*ლალი პაპასკირი*

ბევრმა აფხაზეთის ომში იარაღი პირველად „გაისროლა"



# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



აზერბაიჯანმა სნაიპერთა მომზადება რუსული იარაღითა და ტრენაჟორებით დაიწყო

## აზერბაიჯანი

● 10-13 მაისს სტამბოლში თავდაცვითი მრეწველობის საერთაშორისო გამოფენა IDEF-2011-ზე თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო ცალკე პავილიონით იქნება წარმოდგენილი. გამოფენაზე დაგეგმილია თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება.

● 17 იანვარს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის გამო ტერტერის რაიონში დაიღუპა აზერბაიჯანის არმიის ჯარისკაცი, 1990 წელს დაბადებული აზადალიევ მამედ რასიმ ოღლი.

20 იანვარს კი, საღამოს, მძიმედ დაიჭრა აზერბაიჯანის არმიის ოფიცერი შამილ ალი ოღლი სადიღოვი.

● „სნაიპერთა მოსამზადებლად აზერბაიჯანმა რუსეთში ტრენაჟორები და იარაღი შეიძინა", — განაცხადა სამხედრო-პატრიოტული და სპორტულ-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ნოვრუზალი ორუჯოვმა. გენერლის თქმით, სასწავლო სისტემა უკვე ჩამოტანილია და სნაიპერთა მოსამზადებელი კურსებიც მალე ამოქმედდება. ტრენაჟორებში სნაიპერული შაშხანები СВД და „კალაშნიკოვის" ავტომატებია გამოყენებული, ხოლო შეფასებას ელექტრონული სისტემა გააკეთებს.

● 2010 წელს ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, სამხრეთაფრიკულმა კომპანია Paramount Group-მა აზერბაიჯანის არმიის რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი ნაღმსაწინააღმდეგო ტრანსპორტიორად გადააკეთა და შემკვეთს დროულად დაუბრუნა.

## სომხეთი

● 25 იანვარს ერევანში შეხვედრისას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნოდარ ხარშილაძემ და სომხეთის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილე დავით ტონოიანმა განიხილეს საქართველო-სომხეთის თანამშრომლობა სამხედრო განათლებასა და სამშვიდობო ოპერაციებში, ასევე, ერთმანეთს გაუზიარეს სამხედრო რეფორმების გატარებაში მიღებული გამოცდილება. იმავე დღეს საქართველოს დელეგაცია ეწვია თავდაცვის სამინისტროს ვაზგენ სარქისიანის სახელობის სამხედრო ინსტიტუტს და შეხვდა თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანიანს.



თეთრწყაროში დაბადებულ გენერალ იური ხაჩატუროვს ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ

● 28 იანვარს სომხეთში არმიის შექმნის მე-19 წლისთავი აღინიშნა. 1992 წლის 28 იანვარს მთავრობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება „სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროზე" და თავდაცვის მინისტრის პირველი ბრძანება გამოიცა.

● გაზეთ „გრაპარაკის" ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანიანსა და მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ იური ხაჩატუროვს შორის უთანხმოებაა. მინისტრი ხაჩატუროვის თანამდებობიდან მოსახსნელად ყველაფერს აკეთებს, მაგრამ ამ უკანასკნელს პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის ძლიერი მხარდაჭერა პოზიციას უმყარებს. საპასუხოდ სეირან ოგანიანი ქმნის მთავარი შტაბის უფროსის ოპოზიციურ გუნდს, სადაც წამყვანი ფიგურა მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი ვლადიმერ გასპარიანია, რომელიც მინისტრთან დაახლოებულ პირად ითვლება.

● ევროსაბჭოში ადამიანის უფლებათა კომისარი ტომას ჰამერბერგი არმიაში ინციდენტებში მონაწილე პირთა დაუსჯელობას დაუშვებლად მიიჩნევს. ჰამერბერგის თქმით, 2010 წელს სომხეთის არმიაში არასაწესდებო ურთიერთობათა გამო რამდენიმე ინციდენტი მოხდა, რასაც სამხედრო მოსამსახურეთა მკვლელობა და თვითმკვლელობა მოჰყვა. მისი განცხადებით, საქმეების გამოძიებას ხელს თავად სამხედროები უშლიან და უარყოფითი შედეგის შიშით დაზარალებულებიც ხშირად დუმილს ამჯობინებენ. ჰამერბერგის აზრით, რომ თუ ჯარისკაცის უფლებები ირღვევა, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გასაჩივრების საშუალება.

● გაზეთ „გრაპარაკის" ინფორმაციით, 29 დეკემბერს ქელბაჯარის რაიონში ორ სომეხ სამხედრო მოსამსახურეს ნისლიან ამინდში გზა აერია, დანაღმულ ტერიტორიაზე მოხვდნენ და აფეთქდნენ. ორივემ საშუალო სიმძიმის ჭრილობები მიიღო.





აფხაზ სეპარატისტთა შეიარაღებული დანაყოფები სწავლებებზე

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● სოხუმში აფხაზეთის სომხური სათვისტომოს საბჭოს თავმჯდომარემ ხურენ კერსელიანმა ჩაატარა საბჭოს სხდომა, სადაც თავმჯდომარის სამი მოადგილე აირჩიეს: სერგეი მატოსიანი (კურირებს გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებს), ხაჩიკ მინასიანი (ჩააბარეს გაგრისა და გუდაუთის რაიონები, აგრეთვე კრასნოდარის მხარე) და გალუსტ ტრაპიზონიანი (პასუხისმგებელია სომხეთისა და ყარაბაღის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობებზე). სერგეი მატოსიანი და გალუსტ ტრაპიზონიანი — აფხაზეთის გმირები და სხვადასხვა დროს ბაგრამიანის სახელობის ბატალიონს მეთაურობდნენ.

● სეპარატისტთა შეიარაღებულ ძალებში 19-20 იანვარს მორიგი სამეთაურო-საწვრთნელი სწავლებები ჩატარდა, სადაც დამუშავდა მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაში გადასვლისას მართვის ორგანოების, შენაერთების, სამხედრო ნაწილებისა და სამხედრო კომისარიატებისათვის დაგეგმილ ღონისძიებათა შესრულება. სწავლებებს ხელმძღვანელობდა სეპარატისტთა გენშტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ასლან ანქვაბი.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● რუსების მიერ ოკუპირებულ რეგიონში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო და ცხინვალის კომისარიატთან პირველი 50 წვევამდელი გამოცხადდა. სულ კი გასაწვევი 18-დან 27 წლამდე ასაკის 60 ახალგაზრდაა. რამდენიმე შემცირების შემდეგ ცხინვალს დაახლოებით 1000-1200-კაციანი არმია შემორჩა.

● ცნობილი გახდა, რომ საოკუპაციო ჯარები მე-4 ბაზის ქვედანაყოფებში, ცხინვალსა და ჯავაში კონტრაქტით მოსამსახურეებს წვევამდელები ცვლიან. ჯარისკაც-წვევამდელთა პირველი ჯგუფები უკვე ჩამოიყვანეს. როტაცია პირველ რიგში ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Смерч-ის დივიზიონს შეეხო. რუსეთის არმიაში კონტრაქტით მომსახურეებს ამცირებენ [illegible] მისად, წვევამდელთა [illegible] გაზარდეს.



ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ყოველდღიურად ირღვევა

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● გრძელდება სტეფანაკერტის აეროპორტის მშენებლობა. უკვე მუშაობს ზუსტი ნავიგაციის სისტემა, რომელიც დღისით და ღამით რთულ მეტეოპირობებში თვითმფრინავების მიღებას უზრუნველყოფს. სადისპეტჩერო კოშკურისათვის განკუთვნილი მოწყობილობის დამონტაჟება თებერვალ-მარტში დასრულდება, ხოლო მაისიდან თვითმფრინავების მიღება იგეგმება. აეროპორტის ამოქმედებისათვის აუცილებელია მეზობელ ქვეყნებთან და მათ შორის აზერბაიჯანთან მთელი რიგი საკითხების მოგვარება. აეროპორტის ასაფრენი ზოლის სიგრძე 2,3 კმ-ია, რადარი საჰაერო სივრცეს 150 კმ რადიუსში აკონტროლებს.

● ცეცხლის შეწყვეტის ხაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებაზე (მარტუნის რაიონი) აზერბაიჯანელთა ცეცხლისგან 14 იანვარს 1992 წელს დაბადებული ვარდან არუთინიანი დაიჭრა. მეორე დღეს — 15 იანვარს აღმოსავლეთ მიმართულებაზე (ასკერანის რაიონი) საშუალო სიმძიმის ჭრილობა 1992 წელს დაბადებულმა ხაჩატურ ასლანიანმა მიიღო.

● სომხურ საინფორმაციო საშუალებათა მონაცემებით, 20 იანვრის ინციდენტის დროს დაიღუპა სამხედრო მოსამსახურე ოვიკ სუქიასიანი. ყარაბაღის არმიის პრესსამსახურის მონაცემებით, ამ ინციდენტის შედეგად აზერბაიჯანის მხარემ ბევრად მეტი დანაკარგი განიცადა.

# ქურთისტანის მუშათა პარტია (ქმპ)


ქმპ-ის მილიციური კომიტეტის აქტივისტები

## მაოს მცირეაზიელი მიმდევრები

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N1-2, 2011)

### „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ სტრუქტურა, ტაქტიკა და იდეოლოგია

ქმპ დასაბამიდანვე არალეგალური პოლიტიკური გაერთიანებაა; ამიტომაც მისთვის მეტად დამახასიათებელია ე.წ. „ყალბი დროშის“ პრინციპით მოქმედება — პარტიას ოფიციალური სახელწოდების გარდა, აურაცხელი ფსევდონიმი აქვს, რომლებიც, როგორც წესი, მოწინააღმდეგეთა შეცდომაში შეყვანის მიზნით გამოიყენება. ბუნებრივია, ქმპ-ის ყველა ფსევდონიმი ცნობილი არაა, მაგრამ გერმანული და თურქული მასმედიის ინფორმაციით, პარტია სირიაში „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ („ფართია იექითიი ა დემოქრათე“), ირანში — „ქურთისტანის თავისუფალი ცხოვრების პარტიის“ („ფართია ჟიანა აზად ა ქურდისთანე“), ხოლო ერაყში კი „ქურთისტანის დემოკრატიული მოწოდების პარტიის“ („ფართია ჩარესერია დემოქრათიქ ა ქურდისთანე“) ფსევდონიმებით მოქმედებს; ხსენებულ სახელწოდებებს ქმპ, ჩვეულებისამებრ, ამა თუ იმ აქციაზე პასუხისმგებლობის აღებისას ან პროკლამაციებში იყენებს. ფსევდონიმების მსგავსად, პარტიას ალამიც რამდენიმე სახის აქვს.

1999 წელს, როდესაც თურქულმა სპეცსამსახურებმა აბდულლაჰ ოჯალანი დააკავეს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი ქმპ-ის ერთპიროვნული ლიდერი სულაც არ იყო და მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი გახლდათ. იმხანად ამერიკული „ასოშიეითედ პრესი“ იტყობინებოდა, რომ „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ ოჯალანთან ერთად ჰაქქი ქარაერი, მურათ ქარაილანი, ბახოზ ერდალი (იგივე ფეჰმან ჰუსეინი) და ჯემილ ბაიქი მეთაურობდნენ. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ პარტიას მართავს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარე (ქურთულად — „სეროქ“) ხელმძღვანელობს. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლება არა აქვს და ჰყავს რამდენიმე მოადგილე, რომლებიც იდეოლოგიის, საინფორმაციო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო ურთიერთობათა განყოფილებებს კურირებენ. აღმასრულებელი კომიტეტის პარალელურად არსებობს მილიტარისტული და ახალგაზრდული კომიტეტებიც; ისინი ერთმანეთთან კოორდინირებულადაც მუშაობენ და გარკვეულწილად, ავტონომიურობასაც ინარჩუნებენ. „ყალბი დროშის“ პრინციპებიდან გამომდინარე, ქმპ-ის მილიტარული კომიტეტის ფსევდონიმია „ქურთისტანის გათავისუფლების ძალები“ („ჰეზენ რიზგარია ქურდისთან“), ხოლო ახალგაზრდული კომიტეტისა — „ახალგაზრდა ქურთების გაერთიანება“ („ქურდი ქომალენ ჯივან“). როგორც ცნობილია, დღეს აბდულლაჰ ოჯალანს თავისუფლების უვადოდ აღკვეთა აქვს მისჯილი, ამიტომ მის ნაცვლად პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს დროებით მილიტარისტული კომიტეტის თავმჯდომარე, ცნობილი საველე მეთაური მურათ ქარაილანი ხელმძღვანელობს. გერმანული მასმედიის ცნობებით, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან „ქურთისტანის მუშათა პარტიაში“ ეს უკანასკნელი აბდულლაჰ ოჯალანზე დიდი გავლენით სარგებლობდა. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეობა ჯემილ ბაიქსაც სურდა, მაგრამ 2000 წელს იძულებული გახდა, თურქეთი დაეტოვებინა და ირანში გადასულიყო.

„ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მილიტარისტულ კომიტეტს შეიარაღებული რაზმები ექვემდებარებიან; მებრძოლთა შერჩევის, გაწვრთნისა და აღჭურვის საქმეებსაც, ცხადია, მისი მესვეურები კურირებენ. შეიარაღებულ რაზმში მოხვედრამდე პარტიის რიგითი წევრები ახალგაზრდული კომიტეტის განკარგულებაში არიან, იდეოლოგიურ მომზადებას გადიან და თეორიულ საკითხებს შეისწავლიან.

ქურთი დემონსტრანტები ბერლინში



ქმპ-ს ახალგაზრდულ კომიტეტთან ბავშვთა პარამილიტარისტული ორგანიზაციებიც კი არსებობს, სადაც წევრებს 10-11 წლის ასაკიდან იღებენ.

რაც შეეხება აღმასრულებელ კომიტეტს, მასში შედიან პარტიის გამოცდილი წევრები, რომელთაც პარტიზანულ ბრძოლებში მონაწილეობის ხანგრძლივი სტაჟი აქვთ; კომიტეტში მოსახვედრად „მებრძოლი ამხანაგების“ რეკომენდაციებიცაა საჭირო. „ქურთისტანის მუშათა პარტიაში“ ერთპიროვნული ლიდერობა მიღებული არ არის, ეს მაოიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ქმპ-ის სტრუქტურა ისეა აგებული, რომ ლიდერის განადგურების შემთხვევაში, პარტიამ ძალთა მობილიზება მალე შეძლოს, ამიტომ ერთპიროვნული მეთაური მისთვის ზედმეტი ბარგია.

ქურთისტანის ფარგლებს გარეთ ქმპ-ის ფილიალები ძალზე ბევრ ქვეყანაში არსებობს. ჩვეულებისამებრ, რეგისტრირებული არიან ფსევდონიმებით, უფრო ხშირად კი არალეგალურად მოქმედებენ. თითოეული ფილიალი ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობს და ჰყავს საკუთარი სამხედრო რაზმი, რომლის წევრები ვალდებული არიან, საჭიროების შემთხვევაში ქურთისტანში ჩავიდნენ და საბრძოლო მოქმედებებში მიიღონ მონაწილეობა. ქმპ-ის ფილიალები საბჭოთა კავშირში (უფრო მეტად — სომხეთსა და აზერბაიჯანში) იმთავითვე არსებობდა და, აქედან გამომდინარე, ქურთული წინააღმდეგობის მოძრაობაში საბჭოთა ქურთებიც მონაწილეობდნენ; რასაკვირველია, ეს ამბავი გასაიდუმლოებული იყო, თუმცა თურქული სპეცსამსახურები რაღაც-რაღაცების შეტყობას მაინც ახერხებდნენ.

დღეს „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ყველაზე მეტი ფილიალი გერმანიაში, საფრანგეთში, შვეციასა და ბენილუქსის ქვეყნებში მოქმედებს. რამდენადაც ევროკავშირში ქმპ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა, მისი ევროპული ფილიალები რეგისტრირებული არიან ქურთული კულტურის ცენტრების, ემიგრანტთა დახმარების ორგანიზაციების და სხვა მსგავსი გაერთიანებების სახელით; თუმცა, რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ევროპაში მოქმედ ყველა ქურთულ ორგანიზაციას ქმპ-სთან კავშირი აქვს.

როგორც აღინიშნა, ქმპ მაოისტური მიმართულების ორგანიზაციაა და ამიტომაც მისი ტაქტიკა ემყარება მაო ძედუნის მიერ შემუშავებულ „სახალხო პარტიზანული ომის“ პრინციპს, რომლის თანახმადაც პარტია არის სახალხო მეომრების გაერთიანება და არა უსუსური ბიუროკრატი პოლიტიკოსების კლუბი; შესაბამისად, მისი მესვეურები უბრალოდ უნდა ცხოვრობდნენ, პარტიის რიგითი წევრებისგან ბევრით არაფრით უნდა განირჩეოდნენ და ამ უკანასკნელთ მაგალითს უნდა აძლევდნენ. მაოს პრინციპების თანახმად, „ქურთისტანის მუშათა პარტიაში“ ქალებიც და მამაკაცებიც „თანასწორუფლებიან მეომრებად“ ითვლებიან და ქალთა დისკრიმინაცია, როგორც წესი, უმკაცრესად ისჯება. ქმპ ამ მხრივ „კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს“ ჰგავს, სადაც ქალები პირადი შემადგენლობის 40%-ს შეადგენენ. როგორც წესი, ქურთი ქალები პარტიზანულ ომში მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან, ამიტომაც თურქეთის ხელისუფლება ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში მათ მთელი სიმკაცრით სჯის.

ამასთან, პარტიზანულ ომში „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ჩვეულ ხელწერას, ე.წ. „უკბინე და გაიქეცი“ წარმოადგენს — მცირერიცხოვან მობილურ ჯგუფებად დაყოფილი ქურთი მებრძოლები თურქული არმიის ბლოკპოსტებს რამდენიმე ადგილას ერთდროულად ესხმიან ხოლმე თავს, მერე კი მოულოდნელად უკან იხევენ; უკან დახევა მოწინააღმდეგის ხაფანგში შეტყუებას ისახავს მიზნად და თურქმა ჯარისკაცებმა კარგად იციან, რასაც ნიშნავს „ქურთული ხაფანგი“. თუ თურქული ქვედანაყოფები პარტიზანებს მაშინვე არ დაედევნენ, მომდევნო დღეებში ამ უკანასკნელთა აღმოჩენა უკვე ძნელდება და სამთავრობო არმიის რეიდები მშვიდობიან მოსახლეობას აღიზიანებს. ასეთ ტაქტიკას გასული საუკუნის 40-იან წლებში მაოს პარტიზანები იყენებდნენ, „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ აქტივისტებმა კი დახვეწეს და ახალ-ახალი ხერხებითაც გაამდიდრეს.

როგორც აღინიშნა, ქმპ-ის მთავარ მიზანს ქურთისტანის ერთიანი, დამოუკიდებელი და სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაა, რომელშიც ყველა მოქალაქე, წარმომავლობის მიუხედავად, თანასწორუფლებიანი იქნება; რელიგიური ინსტიტუტები სახელმწიფოს გამოეყოფა და არც ერთ მათგანს უპირატესობა არ მიეცემა. ასევე, ორივე სალიტერატურო ქურთული ენა (ქურმანჯი და სორანი) დაკანონდება და მათი ცოდნა ყველა მოქალაქისათვის აუცილებელი იქნება. ამგვარ იდეოლოგიას ქურთები მაოიზმთან ანალოგიითა და ოჯალანის მეტსახელიდან გამომდინარე, „აპოიზმს“ უწოდებენ.

## „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მხარდამჭერები, პროპაგანდის საშუალებანი და დაფინანსების წყაროები

„ქურთისტანის მუშათა პარტიას“, არც საერთაშორისო და არც თურქეთის მასშტაბით, პოლიტიკური მხარდაჭერა ნამდვილად არ აკლია. ევროპული მასმედიის ინფორმაციით, ქმპ-ის აპოლოგეტები თვით თურქეთის დიდ ეროვნულ ასამბლეაშიც კი არიან — „სახალხო-დემოკრატიული პარტია“ (თურქულად — Halkın Demokrasi Partisi) და „მშვიდობისა და დემოკრატიის პარტია“ (Barış ve Demokrasi Partisi); ეს პოლიტიკური გაერთიანებები თურქეთში არაერთხელ დაუდანაშაულებიათ „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მხარდაჭერაში, ხოლო 2007 წელს თვით ევროკავშირის ოფიციალურმა ორგანომ — „ევროპული უსაფრთხოების შემსწავლელმა ინსტიტუტმა“ ამ საკითხზე სპეციალური მოხსენებაც გამოაქვეყნა, სადაც ეწერა: „დღეს უკვე საიდუმლო აღარ არის ის ფაქტი, რომ „სახალხო-დემოკრატიული პარტია“ და „მშვიდობისა და დემოკრატიის პარტია“ ქმპ-სთან არიან დაკავშირებული, ქმპ კი ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს“. 2008 წელს, სწორედ ქმპ-სთან მჭიდრო კავშირის გამო, თურქეთის მთავრობამ „მშვიდობისა და დემოკრატიის პარტიის“ წინააღმდეგ ოფიციალურად სარჩელიც აღძრა, რომლის თაობაზე საქმის წარმოება დღესაც მიმდინარეობს.



ქურთი ქალები პარტიზანულ ომში მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან

1994 წლის დეკემბერში თურქეთის ქალაქ დიარბაქირში დააპატიმრეს ცნობილი ქურთი პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტარი ლეილა ზანა, რომელსაც სასამართლომ ბრალად ქმპ-ის წევრობა, ტერორიზმის მხარდაჭერა დასდო და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავდა, ლეილა ზანამ ბრალი არ აღიარა, თუმცა სასამართლოს განუცხადა, რომ ქურთები თურქეთის სახელმწიფომ აქცია ტერორისტებად. დაპატიმრებამდე ზანა

ეროვნული ბიბლიოთეკა




აბდულაჰ ოჯალანის კვიპროსული პასპორტი მავროს ლაზაროსის სახელზეა გაცემული

მთავრობის აკრძალვებს არ ემორჩილებოდა და ხშირად პარლამენტის სხდომებზეც კი სიტყვას ქურთულად წარმოთქვამდა. „მართლაცდა, დანაშაულია, ადამიანს მშობლიურ ენაზე საუბარი აუკრძალო და როდესაც იგი ამ აკრძალვას დაარღვევს, ტერორისტობა დასწამო“, — განაცხადა ლეილა ზანამ სასამართლო პროცესზე. ის ამჟამადაც სასჯელს იხდის. „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტების აზრით, მსგავსი პრეცედენტები ქმპ-ის პოპულარობის გაზრდას უწყობს ხელს და ამიტომაც თურქეთის მთავრობას სიფრთხილის გამოჩენა მართებს. დღეს თურქეთში ადგილობრივი პოლიტიკური დაჯგუფებების ან ცალკეული პოლიტიკოსების ქმპ-სთან კავშირზე აშკარად ნაკლებად საუბრობენ, თუმცაღა მასმედიაში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქურთ „აპოისტებს“ დახმარებას ბერძნები, სომხები, სირიელები, ერაყელები ან რუსები უწევენ.

პირველი ცნობები „ქურთისტანის მუშათა პარტიისა“ და ბერძნების (კვიპროსელების) კავშირის თაობაზე 1999 წლის 24 თებერვალს გავრცელდა: თურქულმა სპეცსამსახურებმა მასმედიას მაშინ ოჯალანის კუთვნილი კვიპროსული პასპორტის ფოტოასლი გადასცეს; შეგახსენებთ, რომ აბდულლაჰ ოჯალანი ამ მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე კენიაში დააკავეს, სადაც იგი, თურქების მტკიცებით, ჩაფრინდა სწორედ კვიპროსული პასპორტით, რომელიც მავროს ლაზაროსის სახელზე იყო გაცემული. ოფიციალურმა კვიპროსმა ეს ყველაფერი თურქეთის მიერ დადგმულ, მორიგ სპექტაკლად მიიჩნია და განაცხადა, რომ ანკარა ოჯალანისა და ქურთების სახელით საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე მანიპულირებდა.

ჯერ კიდევ აბდულლაჰ ოჯალანის დაკავებამდე, 1993 წლის დეკემბერში, თურქულ გაზეთ „ზამანის“ ინფორმაციით, საბერძნეთის ევროპულ საქმეთა მინისტრმა თეოდოროს პანგეოსმა განაცხადა, რომ თურქეთის ქურთებს საბერძნეთი თავისუფლების მიღწევაში უნდა დახმარებოდა. მოგვიანებით, თეოდოროს პანგეოსის თქმით, რომ „ზამანის“ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერებოდა: „მე მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ საბერძნეთი ქურთ არასამთავრობოებს ევროპამდე ხმის მიწვდენაში დაეხმარებოდა... თავისუფლება საერთოდ არ მიხსენებია“, — განმარტა პანგეოსმა. ცნობისათვის, საბერძნეთშიც და კვიპროსშიც ქმპ დღეს ოფიციალურად ტერორისტულ ორგანიზაციადაა აღიარებული.

სომხეთისა და ქმპ-ს ურთიერთობებს რაც შეეხება: ოფიციალურად ერევანი ანკარის გაღიზიანებას ერიდება და ქურთ აქტივისტებთან ურთიერთობის აფიშირებას არ ახდენს; სამაგიეროდ, თუ დასავლურ მასმედიას ვენდობით, „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ურთიერთობა აქვს „სომხეთის გათავისუფლების საიდუმლო არმიასთან“. ქურთულ-სომხური ურთიერთობა მეტად საინტერესო თემაა, რადგანაც 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის მესვეურთა მიერ ორგანიზებულ სომეხთა გენოციდში „შავ საქმეს“ სწორედაც რომ მუსლიმან ქურთთა ტომები ასრულებდნენ, მაშინ როცა იეზიდები სომეხთა გვერდით იდგნენ. რამდენადაც თურქეთის ქურთთა დიდი უმრავლესობა მუსლიმანია, მათ სომეხი რადიკალები მტრებად თვლიდნენ მანამდე, სანამ აბდულლაჰ ოჯალანმა 1997 წელს 1915 წლის გენოციდი საგანგებო განცხადებით არ ცნო და სომხებს თანამშრომლობისკენ არ მოუწოდა. ქმპ-ის მაგალითს სხვა ქურთმა ავტორიტეტებმა მხოლოდ 2008-2009 წლებში მიჰბაძეს: გენოციდის აღიარება მათ პირველად სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ მეშვეობით მოახდინეს, რასაც უამრავი ქურთი და სომეხი გამოეხმაურა.

სომხებსა და ქურთებს შორის უთანხმოების მიზეზი ყარსისა და ვანის მიწებიცაა. იქ ამჟამად ქურთები ცხოვრობენ, მაგრამ სომეხთა აზრით, ეს მხარეები ძირძველი სომხური მიწებია. რამდენადაც ცნობილია, ამ საკითხში ქურთებსა და სომხებს მორიგებისთვის ჯერჯერობით არ მიუღწევიათ; არადა, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ტერიტორიული პრეტენზიები გენოციდის ცნობა-არცნობაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია. ერთი სიტყვით, „ქურთისტანის მუშათა პარტია“ და თანამედროვე სომეხი რადიკალები დღეს ერთმანეთს მტრულად აღარ უყურებენ, მაგრამ არც მოყვარენი გამხდარან.

რუსული სპეცსამსახურების ყოფილი მაღალჩინოსნის, 2000 წელს ლონდონში გაქცეული ალექსანდრ ლიტვინენკოს ინფორმაციით, აბდულლაჰ ოჯალანი კა-გე-ბეს აღზრდილია; მისი აგენტურული მეტსახელი „ჰასანოვი“ გახლდათ. ეს ინფორმაცია ლიტვინენკომ პირველად სააგენტო „ჩეჩენპრესს“ მიაწოდა, ამ უკანასკნელის საიტიდან კი თურქულმა მასმედიამ აიტაცა. სიმართლე რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირს ქმპ-სთან

ქურთი დემონსტრანტები ქალაქ დიარბაქირში (თურქეთი)



მეტად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პარტია მაოისტური მიმართულებისაა, ერთ-ერთი ქართველი სამხედრო მაღალჩინოსნის მოგონებით, გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში თურქეთის არმიის წინააღმდეგ მებრძოლ ქურთებს საბჭოთა ინსტრუქტორები მართლაც წვრთნიდნენ, ხოლო საბჭოთა კავშირის მოქალაქე ქურთები კი, როგორც უკვე ითქვა, აჯანყებულთა მხარეზე მოხალისედ იბრძოდნენ. 80-იან წლებშივე საბჭოთა სპეცსამსახურებმა ქურთები არაერთხელ გააფრთხილეს მათ სამოქმედო არეალში თურქეთის არმიის ქვედანაყოფთა გადაადგილების თაობაზეც. დღევანდელ რუსეთს რაც შეეხება, 2008 წელს რუსეთის დუმამ „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ტერორისტულ ორგანიზაციად ცნობას მხარი არ დაუჭირა.

„ქურთისტანის მუშათა პარტიას“ საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს ევროპაშიც, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ეს პარტია ტერორისტულ გაერთიანებად ითვლება, დანიაში ლეგალურად მაუწყებლობს მისი მხარდამჭერი ქურთულენოვანი ტელეარხი „Roj TV“, გერმანიის ქ. ფრანკფურტში კი ბეჭდური გამოცემის — გაზეთ Yeni Özgür Politika-ის („ახალი თავისუფალი პოლიტიკა“) რედაქცია მდებარეობს. ჰოლანდიაში მოქმედებს სააგენტო „ფირათნიუსი“, რომელიც ქურთულის გარდა, კიდევ რამდენიმე ენაზე მაუწყებლობს. მასმედიის ამ საშუალებათა ქმპ-სთან კავშირზე აშკარად იწერება როგორც თურქეთში, ასევე დასავლეთშიც; გარდა ამისა, შესაბამისი ინფორმაცია „ვიკიპედიასა“ და სხვა ვებპორტალებზეცაა განთავსებული.

ინტერპოლის მიერ ჯერ კიდევ 1992 წელს გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მესვეურები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ნარკოვაჭრობაში და სოლიდური შემოსავალიც მიიღეს. ინტერპოლის 1993 წლის მოხსენების მიხედვით კი, იმ წელს ქმპ-მ ავღანეთიდან ახლო აღმოსავლეთის გავლით ევროპაში 75 მლნ დოლარის ღირებულების ნარკოტიკი შეიტანა: „სწორედ ნარკოვაჭრობაში წარმატების წყალობით ქმპ მთელ ახლო აღმოსავლეთში საუკეთესოდ შეიარაღებული ტერორისტული დაჯგუფებაა“, — ასე მთავრდება ინტერპოლის ხსენებული მოხსენება.

## „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ არსენალი

ქმპ-ს შეიარაღების თაობაზე თურქული სპეცსამსახურები ყოველ წელს სპეციალურ ანგარიშს აკეთებენ, რომლის დეტალებიც შემდგომში ხანდახან მასმედიაშიც ვრცელდება. 2007 წლის ივლისის მონაცემებით, ქურთ მუშათა ხელთ იყო დაახლოებით „კალაშნიკოვი“ AK-47, 5713 სნაიპერის შაშხანა (СВД, Heckler & Koch G3, Heckler & Koch PSG1, M16), 1610 ყუმბარსატყორცნი, 2900 პისტოლეტი, 3500 ხელყუმბარა და 11600 ნაღმი.

ამავდროულად, ქმპ-ის მებრძოლებმა 2007 წელს 989 ცალი სნაიპერის შაშხანა, 313 ყუმბარსატყორცნი, 2208 პისტოლეტი, 136 ხელყუმბარა და 8015 ნაღმი ჩაიგდეს ხელთ. მათ ხელთ არსებული შეიარაღებიდან კი „კალაშნიკოვების“ 71,6% რუსეთიდან იყო შეტანილი, 14,7% — ჩინეთიდან, 3,6% — უნგრეთიდან, 3,6 — ბულგარეთიდან; სნაიპერის შაშხანების 45,2% რუსული იყო, 13,2% — ბრიტანული, 9,4% კი — ამერიკული. ყუმბარსატყორცნებიდან რუსული წარმოებისა იყო 85%, 5,4% — ერაყიდან შეტანილი, ხოლო 2,5% ჩინეთში იყო დამზადებული. პისტოლეტების 21,9% ჩეხური იყო, 20,2% — ესპანური და 19,8% — იტალიური; ხელყუმბარების 72% რუსული იყო, 19,8% — ამერიკული, 8% — გერმანული; მიწის ნაღმების 60,8% იტალიური წარმოებისა იყო, 28,3% — რუსული, ხოლო 6,2% კი გერმანული.

## „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ორგანიზებული მნიშვნელოვანი აქციები

1984 წლის 15 აგვისტო — ჰაქარისა და შირნაქის ილებში „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ აქტივისტებმა თურქულ არმიას ერთდროულად შეუტიეს სამ ქალაქში — ერუჰში, შემდინლისა და ჰაქარიში. დაპირისპირება ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდა და ორივე მხრიდან 3 ათასამდე კაცი შეეწირა.

1987 წლის 19 ივლისი — თურქეთის ქურთისტანში ოფიციალურმა ანკარამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. იმავე დღეს ქმპ-ს აქტივისტებმა დიარბაქირში სამთავრობო არმიის ყაზარმების ტერიტორიაზე დანაღმული ავტომანქანა ააფეთქეს. ტერაქტს 500 კაცი ემსხვერპლა, 1000-მდე კი დაიჭრა.

1992 წლის შემოდგომა — თავდასხმები თუნჯელის ილის სოფ. დედებალში მდებარე სამხედრო ბაზაზე, რომლიდანაც ქურთისტანში მყოფი არმიის ქვედანაყოფებს იარაღითა და ამუნიციით ამარაგებდნენ. ქურთმა აქტივისტებმა ბაზიდან დიდძალი იარაღი გაიტაცეს, მათ მიერ მოწყობილ აფეთქებებს კი თითქმის მთელი პერსონალი — 300 თურქი სამხედრო შეეწირა.

1994 წლის ზამთარი — აფეთქებების სერია დიარბაქირში, ელაზიღსა და თურქეთის სხვა ქურთულ ქალაქებში. დაიღუპა 800-მდე მშვიდობიანი მოსახლე, ათასობით კი დაიჭრა.

1998 წლის გაზაფხული — აფეთქებების სერია ოჯალანის დაპატიმრების


თურქი დემონსტრანტები ქმპ-ის ძალადობის ფაქტებს გმობენ

(1998 წლის 19 თებერვალი) გამო შურის საძიებლად, სტამბოლსა და ანთაქიაში. დაიღუპა 200 კაცი, 400-ზე მეტი დაიჭრა.

2002 წლის 15 მაისი — ქმპ-ის მებრძოლებმა ჰაქარის ილის ერთ-ერთ სოფელში მდგარ თურქული არმიის ქვედანაყოფს შეუტიეს, მერე კი უკან დაიხიეს; ჯარისკაცები მათ უკან დაედევნენ და „ქურთულ ხაფანგში“ გაებნენ — ქურთები ისინი ღრმა ხეობაში შეიტყუეს და თითქმის სათითაოდ ამოხოცეს.

2004 წლის ივნისი — ქმპ-მ ქურთისტანში ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა გამოაცხადა, მაგრამ ქ. ელაზიღში მისმა აქტივისტებმა ტერაქტი მაინც მოაწყვეს — მათ ტურისტული სააგენტოს შენობასთან დანაღმული ავტომანქანა ააფეთქეს და შემდეგ კი განაცხადეს, რომ თურქეთში შეიარაღებული ძალები სწორედ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით ფინანსდებოდა: „მოვუწოდებთ ტურისტულ სააგენტოებს, რომ სახელმწიფოს გადასახადი არ გადაუხადონ!“ — დაწერეს ტერორისტებმა აფეთქებული სააგენტოს წინ მდგარი შენობის ფასადზე.

2008 წლის 20 თებერვალი — ქმპ-ის აქტივისტები დიარბაქირში თავს დაესხნენ არმიის ქვედანაყოფს, რომლის ერთი ნაწილი ქალაქის ქუჩებში პატრულირებდა, მეორე კი ადმინისტრაციულ დაწესებულებებს იცავდა. ბრძოლამ სამი საათი გასტანა და ორივე მხრიდან 300-ზე მეტი კაცი დაიღუპა, ორი ამდენი კი დაიჭრა. ქურთებმა დღის ბოლოს უკან დაიხიეს და ერაყის ტერიტორიას შეაფარეს თავი. მათ უკან მძიმე ტექნიკით მიჰყვა თურქეთის არმია, რომელმაც საზღვარი გადალახა და ერთი კვირის მანძილზე ერაყში პარტიზანებს ეომებოდა. ეს თურქეთის მიერ ამ ქვეყანის 25-ე ინტერვენცია იყო.

**მიხეილ ლაბაძე**

# Type 59 PLZ05

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვეულმფრენები



## საბრძოლო გამოყენების პირველი ნაბიჯები

**(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N25, 2010-N2, 2011)**

მეორე მსოფლიო ომის დასრულებას დიდი ბრიტანეთის კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი ტალღა მოჰყვა. მეამბოხეთა პარტიზანული ომის ტაქტიკას ბრიტანელებმა არატრადიციული მეთოდები და საშუალებები დაუპირისპირეს.

ომის ერთ-ერთი კერა იყო მალაიზია, სადაც 1950 წელს სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ამერიკული წარმოების S-51 ტიპის შვეულმფრენები ჩაფრინდნენ. მალევე მათ ინგლისში ამერიკული ლიცენზიით დამზადებული რამდენიმე S-55 დაემატა.

სულ მალაიზიაში ბრიტანული სამხედრო-საჰაერო ძალების სამი ესკადრონის 40-მდე შვეულმფრენი მოქმედებდა და მათი დანიშნულება — დაკვირვება, პარტიზანთა ბანაკების ძებნა, დივერსიული ჯგუფების გადასხმა, დაშორებული გარნიზონების მომარაგება და დაჭრილების ევაკუაცია იყო.

1960 წლისთვის, როცა რეგიონში საბრძოლო მოქმედებები დასასრულს მიუახლოვდა, შვეულმფრენთა ანგარიშზე 110 ათასი გადაყვანილი ჯარისკაცი და 11350 ტონა გადაზიდული ტვირთი მოდიოდა.

იმავე პერიოდში მეზობელ ინდოჩინეთში ფრანგები კომუნისტ პარტიზანებს ებრძოდნენ. ფრანგ სამხედროებს ჯუნგლებში პარტიზანების აღმოჩენასა და დაჭრილთა ევაკუაციაში დიდ დახმარებას სიკორსკის S-51-ისა და S-55-ის ტიპის შვეულმფრენები უწევდნენ, თუმც ინგლისელებისგან განსხვავებით ფრანგებმა შვეულმფრენთა უკეთესად გამოყენება ვერ შეძლეს.

მალაიზიაში მიღებული გამოცდილება ბრიტანელებს 50-60-იან წლებში კვიპროსსა და იემენში მეამბოხეებთან ბრძოლაში გამოადგათ.

ამ დროისათვის ბრიტანელ მფრინავებს სამამულო წარმოების შვეულმფრენები ჰყავდათ. S-58-ის ლიცენზირებული ინგლისური ანალოგი Westland Wessex-ი იყო, ხოლო Bristol Sycamore და Bristol Belvedere ბრიტანელი ინჟინრების ძალისხმევით შეიქმნა.

1944 წელს ბრიტანულმა კომპანია Bristol Aeroplane Company-მ ფილტონში თავისი ფილიალი გახსნა და მუშაობას შეუდგა შვეულმფრენთა პროექტირებასა და საცდელ პროტოტიპთა შექმნაზე.

ახალჩამოყალიბებულ კომპანიაში ინჟინერი რაულ ჰაფნერი მუშაობდა ოთხი მგზავრის გადასაყვანი მსუბუქი შვეულმფრენის პროექტზე, რომლის გამოყენება მეტ-ნაკლები ეფექტურობით სამოქალაქო და ასევე სამხედრო დანიშნულებით იქნებოდა შესაძლებელი.

ახალ შვეულმფრენს Sycamore შეა-



ფრანგი ჯარისკაცები დესანტირების დროს

რქვეს და პირველი საცდელი ფრენა 1947 წლის 27 ივლისს შეასრულა, რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ კი 1953 წელს სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს.

პროექტირებისას საკმარისი სიმძლავრის სამამულო ძრავას არარსებობის გამო პირველ პროტოტიპებს ამერიკული ფირმა Pratt & Whitney-ის 450-ცხ.ძალიანი ძრავები ჰქონდა დაყენებული. შვეულმფრენის მზიდი ხრახნის ნიჩბები ხის მასალისგან იყო დამზადებული და მეტი სიმტკიცისთვის გარედან სპეციალური ლაქ-საღებავებით გაჟღენთილი ნაჭრები ჰქონდა შემოხვეული. თუმც ეს ნიჩბების რესურსზე დიდად მაინც არ მოქმედებდა.

1949 წლის 3 სექტემბერს, ერთ-ერთი პროტოტიპის საცდელი ფრენის დროს, არასაკმარისი სიმტკიცის გამო მზიდი ხრახნის ნიჩბები ჰაერში დაიშალა და აპარატი ჩამოვარდა. საბედნიეროდ მაშინ არავინ დაღუპულა, მაგრამ 50-იან წლებში მსგავსი შემთხვევები ტრაგიკული შედეგით მრავლად იყო.

Sycamore-ის სერიული წარმოება 1955 წლამდე გაგრძელდა და 180 აპარატის გამოშვებით დასრულდა. საკმაოდ მარტივი კონსტრუქციისა და ადვილად სამართავი შვეულმფრენი საკმაოდ პოპულარული იყო და ავსტრალიის, ბელგიისა და გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებში წლების განმავლობაში მსახურობდა.

იმავე ფირმა „ბრისტოლმა" სხვა სქემის, მაგრამ კონსტრუქციულად უფრო რთული მეორე ბრიტანული შვეულმფრენი Belvedere შექმნა.

ექსპლუატაციის დაწყებისთანავე გაირკვა, რომ გავრცელებულ „კლასიკურ" სქემას ტვირთის გადატანის დროს ერთი ნაკლი ჰქონდა — ჰაერში წონასწორობის შენარჩუნებისა და სიმძიმის ცენტრის წანაცვლებით გადაბრუნების თავიდან აცილების მიზნით, გვარლი და მის ბოლოზე დაკიდებული ტვირთი აუცილებლად მზიდი ხრახნის ქვეშ იყო ჩამოკიდებული.

ამ პრობლემის დასაძლევად ინჟინრებმა მოიგონეს გრძივი სქემის ორხრახნიანი შვეულმფრენები, სადაც საფრენი აპარატის წაგრძელებულ ფიუზელაჟს თავსა და ბოლოში თითო მზიდი ხრახნი აქვს დაყენებული. შესაბამისად, შვეულმფრენს ორ-ორი ძრავა და ტრანსმისია აქვს.

ამგვარმა კონსტრუქციულმა გადაწყვეტამ ხრახნების ჰაერის მასაზე დაყრდნობის ფართობი ორჯერ გაზარდა, აპარატებს გარე საკიდზე ერთდროულად რამდენიმე გვარლზე დაკიდებული ტვირთის წაღება შეუძლიათ.

ბრიტანეთში „ტანდემური" სქემის შვეულმფრენზე მუშაობა 1948 წელს დაიწყო. 1951 წლის 5 მაისს დაბმულ მდგომარეობაში „ბრისტოლ-173" მიწას პირველად მოსწყდა და კონსტუქტორები მაშინვე პრობლემათა მთელი კასკადის წინაშე აღმოჩნდნენ.

პილოტირების სპეციფიკა არსებულ შვეულმფრენთაგან იმდენად განსხვავდებოდა, რომ თავდაპირველად თავად მფრინავი-გამომცდელებიც კი დაიბნენ. პილოტირებას რომ თავი დავანებოთ, მართვის სისტემის სრულყოფას, ფიუზელაჟიდან ძლიერი ვიბრაციის მოხსნასა თუ სხვა ტექნიკურ სირთულეთა მოგვარება-გადაჭრას თითქმის წელიწადი დასჭირდა და რეალური ფრენა მხოლოდ 1952 წლის 24 აგვისტოს შედგა.

წარმატების მიუხედავად, შვეულმფრენი ექსპლუატაციაში მაინც რთულად ასათვისებელი გამოდგა და 1956 წელს 65 ეგზემპლარზე შეკვეთა გაუქმდა, რასაც პროტოტიპის ჩამოვარდნამაც შეუწყო ხელი.

გაუმართლა მომდევნო „ბრისტოლ 192"-ს, რომელიც ჰაერში პირველად 1958 წლის 5 ივლისს აფრინდა. მას უფრო ძლიერი ძრავა და სამის ნაცვლად, ოთხნიჩბიანი მზიდი ხრახნები ჰქონდა. 7.4 მ-ის სიგრძის სატვირთო კაბინა 18 სრულად ეკიპირებულ მედესანტეს იტევდა.

1961 წელს შვეულმფრენს სახელად Belvedere შეარქვეს და იმავე წელს სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. „ტანდემური" სქემის შესრულებული „ბელვედერი" პირველი და უკანასკ-




მსუბუქი ბრიტანული **Sycamore**

მოდიფიკაცია — **Sycamore HR-14**
მზიდი ხრახნის დიამეტრი — 14.81მ
სიგრძე — 14.07მ
სიმაღლე — 3.71მ
მასა: ცარიელის — 1728კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 2540კგ
ძალური დანადგარი — **1xAlvis Leonides 73**
სიმძლავრე — 1X555 ცხ.ძ
მაქსიმალური სიჩქარე — 204კმ/სთ
კრეისერული სიჩქარე — 169კმ/სთ
ფრენის ხანგრძლივობა — 3სთ
ეკიპაჟი — 1 კაცი
სასარგებლო დატვირთვა — 4 მგზავრი

სოლიდური ასაკის მიუხედავად, ევროპის ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებაში **Alluete II** კვლავ რჩება



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოდიფიკაცია — **Belvedere HC.1**
მზიდი ხრახნის დიამეტრი — 14.9მ
სიგრძე — 16.56მ
სიმაღლე — 5.18მ
მასა: ცარიელის — 5028კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 8600კგ
ძალური დანადგარი — **2xNapier Gazelle N.Ga.2**
სიმძლავრე — 2X1465 ცხ.ძ
კრეისერული სიჩქარე — 222კმ/სთ
ფრენის მანძილი მაქსიმალური დატვირთვით — 120კმ
პრაქტიკული ჭერი — 4040მ
ეკიპაჟი — 3 კაცი
სასარგებლო დატვირთვა — 18 მედესანტე ან 2722 კგ ტვირთი



თავის კლასში „ბელვედერი“ უკანასკნელი ბრიტანული მოჰიკანია

ნელი სერიული ბრიტანული შვეულმფრენი აღმოჩნდა.

აქტიური სარეკლამო კამპანიის მიუხედავად, კომპანიამ სამოქალაქო სექტორის დაინტერესება ვერ შეძლო და შვეულმფრენის ერთადერთ ექსპლუატანტად მხოლოდ სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები დარჩა. 1969 წელს დაწყებული სერიული წარმოება 26 ნიმუშის მშენებლობით შემოიფარგლა.

ბრიტანელებმა შვეულმფრენები 1956 წელს ოპერაცია „მუშკეტერში“ გამოიყენეს. ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის გადაწყვეტილებას სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ ისრაელმა, საფრანგეთმა და ინგლისმა აგრესიით უპასუხეს.

1956 წლის 6 ნოემბერს 21 ბრიტანულმა შვეულმფრენმა საათ-ნახევარში ავიამზიდების Ocean-ისა და Theseus-ის ბორტებიდან ეგვიპტელთა ჯარების ზურგში 415 კომანდოსი გადაიყვანა და 25.4 ტონა იარაღი, ტყვიაწამალი და პროდუქტი გადაზიდა.

კორეის ომისგან განსხვავებით, სადაც საზღვაო ქვეითთა შვეულმფრენები მხოლოდ ხმელეთიდან მოქმედებდნენ — სუეცის კრიზისის დროს პირველად შვეულმფრენებით ახალი სახის — საზღვაო-სადესანტო-საიერიშო ოპერაცია ჩატარდა.

ეფექტი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ბრიტანელმა სამხედროებმა ავიამზიდ Bulwark-ის სპეციალიზებულ სადესანტო შვეულმფრენმზიდად გადაკეთება გადაწყვიტეს და 1957 წელს კი ცალკეულ საჯარისო შენაერთად საარმიო ავიაცია ჩამოყალიბდა.

შვეულმფრენებმა დიდი როლი ითამაშეს 1954-1962 წლებში ალჟირში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებშიც. ინდოჩინეთისგან განსხვავებით, აქ ფრანგებმა საფრენი აპარატები მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენეს.

ომის დაწყების წინ ალჟირში საფრანგეთს მხოლოდ ოთხი მსუბუქი შვეულმფრენი ჰყავდა და მოვლენათა ესკალაციასთან ერთად აპარატების პარკიც გაიზარდა უმეტესად ამერიკული H-21-ით, S-55-ითა და S-58-ით, აგრეთვე ფრანგული ხუთადგილიანი Alluete II-ით, რომელსაც დაზვერვის, ჯარებისა თუ ტვირთის გადასატანად, დაჭრილთა საევაკუაციოდ და პირველად ისტორიაში ქვეითთა საცეცხლე მხარდამჭერისთვის იყენებდნენ.

შვეულმფრენთა თითოეულ ჯგუფს საკუთარი სამოქმედო რაიონი ჰქონდა ჩაბარებული და გამოძახებისას ადგილამდე მისაფრენად რამდენიმე წუთი სჭირდებოდა.

ყველაზე აქტიურად ამერიკული H-21-ები დაფრინავდნენ. ფირმა Piasecki-ს გრძივი ორმზიდხრახნიანი სქემის შვეულმფრენის პროტოტიპი პირველად 1952 წლის 11 აპრილს აფრინდა და პირველ 32 აპარატზე შეკვეთა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ჯერ კიდევ 1949 წელს გააფორმეს.

ფიუზელაჟის ფორმის გამო შვეულმფრენის, რომლის ნამდვილი სახელი Work Horse (მუშა ცხენი) იყო, ხოლო მეტსახელად „მფრინავი ბანანი“ შეარქვეს. საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც „მუშა ცხენი“ საბრძოლო პირობებში გამოიყენა.

აფრიკაში ფრანგებმა 11 ასეთი შვეულმფრენი გაგზავნეს და კიდევ სამი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის განკარგულებაში იყო.

ტევადი შვეულმფრენი დესანტის გადასხმას თითქმის პარტიზანთა პოზიციების თავზე უზრუნველყოფდა და კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცები ბორტს სულ რაღაც 20 წამში ტოვებდნენ. დესანტირება ყოველთვის უსაფრთხო არ იყო. ერთ შემთხვევაში ტყვიამფრქვევის ჯერმა „მფრინავი ბანანის“ ბორტზე მყოფი ათივე ჯარისკაცი მოკლა.

შვეულმფრენთა ალჟირში გამოყე-

ნების მასშტაბურობაზე შემდეგი ფაქტებიც მეტყველებს: 1956 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში მხოლოდ ოთხმა „ბანანმა“ 250 საბრძოლო გაფრენა შეასრულა და 2 ათასზე მეტი ჯარისკაცი გადაიყვანა. ნოემბრის ბოლოსთვის კი გადაყვანილი ჯარისკაცების რიცხვმა 70 ათასს გადააჭარბა.

თანდათან შვეულმფრენთა ბორტზე შეიარაღებაც გამოჩნდა და მთებში მედესანტეთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად „ბანანებზე“ 20 მმ-იანი ავტომატური ქვემეხები დაიდგა.

ერთ-ერთი ესკადრილიის მეთაურმა, ლეიტენანტმა ბებოტმა დამატებითი ავზების საკიდზე ოთხი 100 კგ-იანი ბომბი ჩამოკიდა და შვეულმფრენმა ბომბდამშენის ფუნქციები შეითავსა. სპეციალურ ფერმებზე 68 მმ-იანი 36 უმართავი რაკეტის გამშვები ბლოკი დამაგრდა. ოდნავ მოგვიანებით რაკეტების რიცხვი 72-მდე გაიზარდა, მაგრამ კალიბრი 37 მმ-მდე შემცირდა. შვეულმფრენთა კარებში ტურელური ტყვიამფრქვევები დადგეს.

ალჟირში „ბანანების“ რიცხვმა მოიმატა. სეტიფის ბაზაში 1956 წელს შვეულმფრენთა რაოდენობა წელიწადში 11-დან 39-მდე გაიზარდა.

იყო საბრძოლო დანაკარგიც. ფრანგებისთვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა, რომ შვეულმფრენის ჩამოსაგდებად ერთი ტყვიაც კი საკმარისი იყო.

ერთ შემთხვევაში H-21 ბაზაში მზიდი ხრახნის ნიჩბებზე, ფიუზელაჟსა და ავზებზე 18 ნატყვიარით დაბრუნდა, ხოლო მეორეში კი აპარატი ხმელეთიდან ნასროლი ტყვიებით მოკლული ორივე მფრინავის გამო ჩამოვარდა.



**S-58**-ზე ტყვიამფრქვევების დაყენებით, ფრანგებმა პირველებმა იმპროვიზირებული „განშიპები“ შექმნეს

1958 წლის იანვრისთვის ჩამოგდებული H-21-ების რაოდენობამ ოთხს მიაღწია და მფრინავებმა აპარატების დაჯავშნა და პროტექტირებული ავზების დაყენება მოითხოვეს. სასარგებლო დატვირთვის შემცირების მიზეზით ჯავშანზე უარი ითქვა, მაგრამ პროტექტირებული ავზების გამოყენება მაინც დაიწყო.

შვეულმფრენებიდან მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გაშვება პირველად ფრანგებმა ალჟირში დაიწყეს. Alluete II ფიუზელაჟზე გარედან ორ-ორ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა SS-11-ს ატარებდა.

შეიარაღების ძლიერი კომპლექტით ამერიკული S-58 გამოირჩეოდა — ერთ გაფრენზე ოთხი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის, ორმოცი 70 მმ-იანი უმართავი რაკეტის, 3 მსხვილკალიბრიანი და ამდენივე ჩვეულებრივი ტყვიამფრქვევის ტარება შეეძლო.

ალჟირში ომის დროს პირველად შვეულმფრენის საწვავის ავზები, კაბინა და ძალური დანადგარი დაიჯავშნა, ხოლო მფრინავთა ეკიპირებაში ჯა-



**ამერიკული სიკორსკის ლიცენზირებული Wessex-ი, ბრიტანეთის სამეფოს 2003 წლამდე ემსახურებოდა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვშანჟილეტები შევიდა. ამ სიახლეებით შვეულმფრენთა დანაკარგი შემცირდა და 9250 საბრძოლო საათზე ერთი ჩამოგდებული აპარატი მოდიოდა.

1962 წელს ომი დასრულებისკენ წავიდა და ამ დროისათვის ფრანგებს ალჟირში 32 აერომობილური ჯგუფი და 600-ზე მეტი შვეულმფრენი ჰყავდათ.

შვეულმფრენთა გამოყენებამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი ვიეტნამში მიიღო. აზიის ამ ნაწილში ამერიკული შვეულმფრენები ტონკინის ინციდენტამდე უფრო ადრე გამოჩნდნენ.

1961 წლის დეკემბერში ავიატექნიკის სატრანსპორტო ავიამზიდმა Card-მა საიგონში შვეულმფრენთა პირველი ქვედანაყოფები ჩაიყვანა, 30 დეკემბერს კი შვეულმფრენებმა საბრძოლო გაფრენა შეასრულეს და ვიეტკონგელებმა ერთი „ბანანის“ ჩამოგდება შეძლეს. ომის საწყის ეტაპზე აპარატები ძირითადად, სატრანსპორტო დანიშნულებას ასრულებდნენ.




აშშ-ის არმიის CH-21 ვიეტნამში 105 მმ-იანი ჰაუბიცის ტრანსპორტირებისას



ამ „მფრიანვი ბანანის“ მსგავსად, კიდევ 8 ანალოგიური ტიპის ფრანგული შვეულმფრენი სამუდამოდ ალჟირის ქვიშებში დარჩა

1963 წლის 5 იანვარს ორმოცამდე ამერიკულ CH-21-ს სამხრეთვიეტნამელთა დესანტის ოთხ ნაკადად გადასხმა დაევალა. პირველმა ნაკადმა ამოცანა დაუბრკოლებლად შეასრულა, მაგრამ ნისლის გამო დანარჩენი სამის დესანტირება ნახევარი საათით გადაიდო.

ვიეტკონგელები შვეულმფრენებს მომზადებული დახვდნენ. მეოთხე ნაკადის ერთმა დაზიანებულმა შვეულმფრენმა ავარიული დაჯდომა შეასრულა და ეკიპაჟის გადასარჩენად მის გვერდით მეორე CH-21 დაჯდა, მაგრამ დაზიანებათა გამო აფრენა ვერც მან შეძლო.

ექსპლუატაციის პროცესში „მფრინავმა ბანანმა“ საიმედოობა და სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა, რისი წყალობითაც აშშ-ის არმია მას 1967 წლამდე იყენებდა, სანამ თანამედროვე „ჩინუკებით“ არ ჩაანაცვლა.

სულ ასეთი 707 შვეულმფრენი აიგო, საიდანაც 150 კანადამ, საფრანგეთმა, იაპონიამ, შვედეთმა და გერმანიამ იყიდეს.

**თემურ პულუხაშვილი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




მოდიფიკაცია — **CH-21C**

მზიდი ხრახნის დიამეტრი — 13.41მ

სიგრძე — 16.31მ

სიმაღლე — 4.8მ

მასა: ცარიელის — 4058კგ

მაქსიმალური ასაფრენი — 6609კგ

ძალური დანადგარი — **2xWright R-1820-103 Cyclon**

სიმძლავრე — 2x1445 ცხ.ძ

მაქსიმალური სიჩქარე — 204კმ/სთ

ფრენის მანძილი — 427კმ

პრაქტიკული ჭერი — 2880მ

ეკიპაჟი — 3 კაცი

სასარგებლო დატვირთვა — 20 მედესანტე ან 2130 კგ ტვირთი კაბინაში ან 1814 კგ გარე საკიდზე.

# სიმაღლეთა დამპყრობი



ავიაციის ისტორიაში იგორ სიკორსკი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ავიაკონსტრუქტორად შევიდა

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N1-2, 2011)

## კონტინენტების შეერთება

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ხელისუფლებას ბოლშევიკები დაეპატრონენ და ყველა, ვინც წითლების მხარეზე არ იყო, მტრად გამოაცხადეს. მტრების რიცხვში აღმოჩნდა იგორ სიკორსკიც, რომელმაც სამშობლოში სიკვდილს, უცხო ქვეყანაში სიცოცხლე ამჯობინა. ასე აღმოჩნდა იგი ოკეანის გაღმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იწყებოდა ცხოვრების ახალი ეტაპი. მიუხედავად იმისა, რომ ჯიბეში მხოლოდ რამდენიმე ასეული დოლარი ჰქონდა, იგორ სიკორსკის მომავალი ცისარტყელას ფერებში ეხატებოდა: ამერიკაში ხომ ყოველთვის აფასებდნენ იდეებით სავსე ადამიანებს, ხოლო სიკორსკი არც ერთის და არც მეორის ნაკლებობას არ განიცდიდა. მიუხედავად ამისა, საქმე არც ისე მარტივად აწყო, სამუშაო არ იყო. საავიაციო წარმოება კონსერვდებოდა, თვითმფრინავები და მათი ძრავები გროშებად იყიდებოდა. სამხედროები შეკვეთებს არ იძლეოდნენ, სატრანსპორტო ავიაცია კი პრაქტიკულად აღარ არსებობდა. ქვეყნის ვრცელი ტერიტორიის ათვისების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო.

ზაფხულში სიკორსკიმ საავიაციო კომპანიის შექმნა გადაწყვიტა, მაგრამ იდეამ მარცხი განიცადა. გამოუვალი მდგომარეობის გამო კონსტრუქტორი ნებისმიერ სამუშაოზე თანხმდებოდა: ასწავლიდა არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას. ემიგრანტთა კლუბებში კითხულობდა ლექციებს ასტრონომიასა და ავიაციის განვითარების შესახებ. მის გონებაში კი მწიფდებოდა ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის საფრენი აპარატებით გადალახვის გაუგონარი პროექტები. და ბედმა კვლავ გაუღიმა. 1923 წლის 5 მარტს რუზველტფილდში საფუძველი ჩაეყარა კომპანიას, რომელსაც პრეტენზიული სახელი „სიკორსკი აეროინჟინერინ კორპორეიშენი“ ჰქონდა, რომლის მეპაიეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. მათ შორის აღმოჩნდა აგრეთვე სიკვდილს გამოქცეული ცნობილი რუსი კომპოზიტორი სერგეი რახმანინოვი, რომელმაც 5 ათასი დოლარის აქციები შეიძინა და კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი გახდა. პირველი თვითმფრინავი, რომელიც იგორ სიკორსკიმ შექმნა ამერიკაში, სამგზავრო S-29A იყო, რომლის სატვირთოდ გადაკეთება იოლად შეიძლებოდა. თვითმფრინავი პირველად 1924 წლის სექტემბერში აფრინდა და ეს სიკორსკის ავიაციაში დაბრუნების მომასწავებელი იყო. S-29A-ს შემდეგ კონსტრუქტორმა რამდენიმე საიმედო და მაღალი საფრენ-ტექნიკური მახასიათებლების მქონე თვითმფრინავი შექმნა. მოგვიანებით კი დაამუშავა S-34-ის პროექტი. პირველი მსოფლიო ომის ლეგენდარული პილოტის ფრანგი რენე ფონკის შეკვეთით, რომელიც ატლანტის ოკეანის თავზე გადაფრენას აპირებდა, ააგო S-35. ეს მანქანა უიღბლო გამოდგა. იგი სტარტზევე დაიმტვრა პილოტის შეცდომის გამო და ნამსხვრევებმა ნახევარი ეკიპაჟი იმსხვერპლა. კონსტრუქტორს კვლავ შავი დღეები დაუდგა, მაგრამ გული მაინც არ გაუტეხია.

მომდევნო წლებში ამერიკული სიკორსკების ოჯახს შემატა „მფრინავი იახტები“ S-36, S-37 და S-38. გამოცდის შემდეგ ეს უკანასკნელი თავისი კლასის თვითმფრინავებს შორის საუკეთესოდ აღიარეს და მალე S-38-ები არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ კანადაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკის კონტინენტსა და ჰავაის კუნძულებზე დაფრინავდნენ.

1931 წლის შემოდგომიდან კარიბის ზღვის ცაში რეგულარული ავიარეისები დაიწყო სამმა S-42-მა (კუბაზე და ბერმუდის კუნძულებზე), 1934 წელს კი ისინი შეცვალა S-42-მა, რომელსაც 4 ათასი კილომეტრის დაფარვა შეეძლო. ამის შემდეგ სამგზავრო ტრანსატლანტიკური გადაფრენები რეალობა გახდა. სწორედ S-42-მა შეასრულა პირველი სატრანსპორტო რეისები მარშრუტებზე სან-ფრანცისკო-ჰონოლულუ და სან-ფრანცისკო-ახალი ზელანდია, 1937 წელს კი ჩრდილოეთი ამერიკა ინგლისსა და პორტუგალიას დაუკავშირა. 1939 წლის აპრილში კორპორაცია „იუნაითედ ერიკრაფთის“ ხელმძღვანელობამ თავისი ფილიალის სიკორსკის საავიაციო-საკონსტრუქტორო კომპანია „ვოუტთან“ გაერთიანება გადაწყვიტა. სიკორსკის ამ გაერთიანებაში მოკრძალებული თანამდებობა — სამუშაოთა მწარმოებლობა დაევალა. იგი სხვისი ნების, სხვისი შემოქმედებითი ჩანაფიქრების აღმსრულებელი უნდა გამხდარიყო. ცხადია, ეს ხელს არ აძლევდა. ეს კარგად ესმოდათ მის მეგობრებსა და გარემოცვას, მაგრამ გამოსავალს ვერავინ ხედავდა. ვერავინ, გარდა თავად კონსტრუქტორისა, რომელმაც უკვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა მომავალში.



სიკორსკის მიერ ამერიკაში შექმნილი პირველი სამგზავრო თვითმფრინავი S-29



საუკეთესო „მფრინავ იახტად“ აღიარებული ჰიდროთვითმფრინავი S-38

ჰიდროთვითმფრინავი S-42 ტრანსსაოკეანო რეგულარულ რეისებს ასრულებდა



## ისევ შვეულმფრენები

იმ წლებში, როცა სიკორსკი თვითმფრინავების კონსტრუქციებზე მუშაობდა, პარალელურად სრულყოფილი შვეულმფრენის შექმნაზე ფიქრობდა. ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ ტიპის საფრენი აპარატების განვითარებას და მისთვის ყველაზე ახლობელ თანამშრომლებთან ერთად ნელ-ნელა უბრუნდებოდა ამ თემატიკას. 1929 წელს მან დააპატენტა რამდენიმე გამოგონება და იდეა. 1930 წელს „იუნაითედ ეირკრაფთის“ მმართველთა საბჭოს შესთავაზა ფრთახრახნიანი მანქანების შექმნა, მაგრამ მის წინადადებას ყურადღება არავინ მიაქცია. მან კი ჯიუტად განაგრძო ამ „შეუძლებელ, არასაიმედო, მოუქნელ და განუხორციელებელ“ საფრენ აპარატზე მუშაობა, რადგან სჯეროდა, რომ მომავალში შვეულმფრენების ახალ ფრენისუნარიან ნიმუშებს შექმნიდა.

სიკორსკის პირველი ექსპერიმენტული შვეულმფრენი იყო S-300, რომელიც კონსტრუქტორის პილოტირებით მიწას 1939 წლის 14 სექტემბერს მოსწყდა. მანქანის ფრენის პირველი სახალხო ჩვენება კი 1940 წლის 20 მაისს გაიმართა ბრიჯპორტში. ორწლიანი გამოცდის შემდეგ, 1942 წელს მწყობრში ჩადგა ორადგილიანი შვეულმფრენი S-47 (R-4), რომელიც მალე სერიულ წარმოებაში ჩაეშვა. ის იყო ერთადერთი შვეულმფრენი, რომელიც სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენა ანტიჰიტლერულმა კოალიციამ მეორე მსოფლიო ომში.

სიკორსკის შვეულმფრენებმა საბრძოლო ნათლობა მიიღეს 1944 წელს ბირმაში, სადაც ინგლისელთა და ინდოელთა ჯარები მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ იაპონელების წინააღმდეგ. მტრის ღრმა ზურგში მებრძოლი ქვედანაყოფების მოსამარაგებლად, დაჭრილებისა და ჩამოვარდნილი თვითმფრინავების ეკიპაჟების გამოსაყვანად მოკავშირეები იყენებდნენ ისეთ თვითმფრინავებს, რომლებსაც შეზღუდულ მონაკვეთებზე დაჯდომა-აფრენა შეეძლოთ. თავიდან ამ მიზნით მსუბუქძრავიან, მცირე ზომის თვითმფრინავებს იყენებდნენ. მაგრამ ზოგიერთ ადგილებში ეს თვითმფრინავებიც ვერ აღწევდნენ მიზანს, ამიტომ სარდლობა იმავე მიზნებისათვის შვეულმფრენების გამოყენებაზე გადავიდა. გარდა ამისა, ომის დროს სიკორსკის შვეულმფრენები გამოიყენებოდა კავშირისათვის, სადაზვერვოდ, საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისათვის. ამ მანქანებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი, როცა იაპონელებმა იმპელს შემოარტყეს ალყა, — იზოლირებული გარნიზონის მომარაგება მხოლოდ ჰაერიდან, შვეულმფრენების მეშვეობით ხდებოდა. ომის შემდეგ სიკორსკის ღვაწლი უფრო მეტად დაფასდა. „იუნაითედ ეირკრაფთის“ მმართველმა საბჭომ ფირმა „სიკორსკი ეირკრაფთს“ დამოუკიდებლობა დაუბრუნა და ახალი საწარმოო ბაზაც შეუქმნა. დროთა განმავლობაში გამოჩნდნენ სიკორსკის კონსტრუქციის შედარებით თანამედროვე მსუბუქი და სრულყოფილი შვეულმფრენები. გან-

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

საკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად S-51-ს. ამ მანქანას ყველაზე ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მიზნებისათვის, მან გაუძლო შვეულმფრენების მწარმოებელ ფირმებთან საკონკურენციო ბრძოლას.

ამ შვეულმფრენმა განსაკუთრებით ადამიანთა გადარჩენის ოპერაციებში გაამართლა. სიკორსკიც სწორედ ამაში ხედავდა თავისი მანქანების უპირველეს დანიშნულებას.

შემდეგი მოდელი იყო მსუბუქი S-52, რომელმაც მსოფლიოში პირველმა შეასრულა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა, მაგრამ უფრო დიდი წარმატება სიკორსკის მძიმე მანქანების შექმნაში ელოდა. კონსტრუქციების გენიალური ცვლილებებით იგი თავისი დროისათვის იშვიათ და საუკეთესო სამგზავრო შვეულმფრენებს ქმნიდა. მისი საფრენი მანქანები თავის დროისთვის ყველა არსებულ ანალოგს აღემატებოდა სიდიდით, ტვირთამწეობითა და სიმაღლის ჭერით.

სიკორსკის ყველაზე საუკეთესო შვეულმფრენი ჰაერში 1954 წელს აფრინდა. ეს იყო S-58. მის მშენებლობაზე სახსრები რამდენიმე ქვეყანამ გაიღო, მისი არაერთი ეგზემპლარი დღესაც ექსპლუატაციაშია. თავის დროზე კი S-58-მა საფრენ-ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლებით თავისი დროის ყველა შვეულმფრენს აჯობა და დიდი ავიაკონსტრუქტორის „გედის სიმღერად“ იქცა.

1958 წელს, როცა S-58-ის სერიულმა წარმოებამ პიკს მიაღწია (400 მანქანა წელიწადში), იგორ სიკორსკი პენსიაში გავიდა და ფირმის მრჩევლის მოვალეობას დასჯერდა.

ავიაკონსტრუქტორი იგორ სიკორსკი 1972 წლის 26 ოქტომბერს გარდაიცვალა. მისი ნეშტი კონექტიკუტის შტატის პატარა ქალაქ ისტონის სასაფლაოზე განისვენებს.

თავისი სიცოცხლის განმავლობაში სიკორსკიმ ოთხმოცზე მეტი საპატიო ჯილდო, ორდენი, პრიზი და დიპლომი მიიღო. მათ შორის — დავით გუგენჰაიმისა და ჯეიმს უაიტის მედლები, აშშ-ის გამომგონებელთა დიდების ეროვნული გალერეის დიპლომი. 1948 წელს დაჯილდოვდა ძმები რაიტების მემორიალური პრიზით, 1967 წელს კი ფუნდამენტურ მეცნიერებაში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისთვის — ჯონ ფრიცის მედლით.

ავიაციაში ამ ჯილდოს მფლობელი მის გარდა მხოლოდ ორვილ რაიტი იყო.




პირველი შვეულმფრენი VS-300

სამხედრო-სამოქალაქო დანიშნულების მსუბუქი შვეულმფრენი S-51







სიკორსკის საუკეთესო კონსტრუქციის შვეულმფრენად S-58 დარჩა

# კორეული ტანკები



„არსენალში" მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჰოლანდიის, ბრაზილიის, არგენტინის, ირანის, ინდოეთის, პაკისტანის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის, კანადის, იაპონელთა, არაბთა ტანკმშენებლობის ისტორია, ამ ნომერში კორეელთა მიღწევებზე გიამბობთ...

ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.



სამხრეთ კორეელთა პირველი ტანკი K1A1



უახლესი ტანკი K2 Black Panther-ა

მეორე მსოფლიო ომმა კორეის ნახევარკუნძული ორ ნაწილად გაყო — ჩრდილოეთში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხელშეწყობით ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმი ჩამოყალიბდა, ხოლო სამხრეთში კი აშშ-ის მხარდაჭერით დემოკრატიული სახელმწიფო — კორეის რესპუბლიკა შეიქმნა.

1950-53 წლებში კორეის ნახევარკუნძულმა დიდი ომი გადაიტანა და მას შემდეგ ერთი ქვეყნის ორად გამყოფ ხაზზე შეიარაღებული ინციდენტები არ წყდება. ომის განახლების საფრთხე კვლავინდებურად დიდია და ორივე კორეა სამხედრო წარმოების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს.





# ორი განსხვავებული მიდგომა

ჩრდილოეთის მუქარის შემცველ განცხადებებს სამხრეთი კორეა (კორეის რესპუბლიკა) თავდაცვის გაძლიერებითა და თანამედროვე შეიარაღების სამამულო ნიმუშების დამზადებით პასუხობს.



ქვეითთა საბრძოლო მანქანა K200

თუმცა ვითარება ოთხი ათეული წლის წინ სრულიად განსხვავებული იყო. კორეის რესპუბლიკის არმიის მოძველებული სატანკო პარკი რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჩრდილოელებისას გაცილებით ჩამორჩებოდა.

ომის დაწყების შემთხვევაში ამერიკული წარმოების M47-ებსა და M48-ებს საბრძოლო თვისებებით უკეთეს საბჭოურ T-55-ებთან შეხვედრა კარგს არაფერს უქადდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად კორეის რესპუბლიკის სამხედრო უწყებამ მუშაობა ორი მიმართულებით დაგეგმა: ერთი — „პატონების" მოდერნიზაციას და მეორე კი — გერმანული Leopard 1-ის ლიცენზიურ დამზადებას შეეხებოდა.

მოდერნიზებული „პატონი" (M48A3K) დიზელის ძრავაზე გადაყიდა და 90 მმ-იანი სატანკო ქვემეხის ლულას T-ებური მუხრუჭი გაუკეთდა. დაემატა კვამლის დასაყენებელი ყუმბარები, სამეთაურო პერისკოპი, ცეცხლის მართვის კორეული სისტემა და სხვა ტექნიკური სიახლეები.

ეს საკმარისად არ ჩაითვალა და მოდერნიზებული მეორე M48A5K მოდელი 105 მმ-იანი ბრიტანული ქვემეხითა და ცეცხლის მართვის ახალი სისტემით აღიჭურვა.

„ლეოპარდის" ლიცენზიურ წარმოებაზე არაპროდუქტიულობის გამო უარი ითქვა, რადგან ამერიკა და გერმანია უფრო მაღალი ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლების მქონე მომდევნო თაობის „აბრამსისა" და „ლეოპარდ" 2-ის წარმოებაზე გადავიდნენ.

ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის გათვალისწინებით კორეის მთავრობამ საჭიროდ ცნო ტანკების წარმოება და ტენდერზე წარმოდგენილი პროექტებიდან მოწონება დაიმსახურა ამერიკულმა Chrysler Defense-ს (შემდგომში General Dynamics Land Systems-ი) XK1-მა, რომელიც M1 Abrams-ის საფუძველზე იყო შექმნილი.

1983 წლის ბოლოს ტანკის ორი საცდელი ნიმუში XK1 ROKIT-ი აიწყო და აშშ-ისა და სამხრეთ კორეის პოლიგონებზე საგამოცდო ციკლები წარმატებით გაიარა.

ტანკი კორეელთა ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით დაპროექტდა — „აბრამსზე" 4 ტონით მსუბუქია და 19 სმ-ით ნაკლები სიმაღლე აქვს.

განსხვავება სხვა მხრივაც არის — კორეელთა ტანკს 300 ცხ.ძალით ნაკლები სიმძლავრის ძრავა აქვს.

კორეის რელიეფის (მთები, ჭაობები, მთის ღრმა მდინარეები) გათვალისწინებით ტანკში ჰიდროპნევმატიკური დაკიდება ტორსიონებთან ერთად არის გამოყენებული.

კორპუსისა და კოშკურის ყველაზე პასუხსაგები ადგილები Chobham-ის ტიპის ჯავშნით არის დაცული, ხოლო ხანძრის ლოკალიზაციას ავტომატური ცეცხლმქრობი სისტემა უზრუნველყოფს.

ამერიკელების დაპროექტებულ ტანკს გერმანული ძრავატრანსმისია და ფრანგული პანორამული სამიზნეები აქვს.

ქვეყანამ, რომელსაც ჯავშანტექნიკის დაპროექტება-მშენებლობის გამოცდილება არ ჰქონდა, ტანკმშენებლობის უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით შექმნილი ტანკი მიიღო.

1985 წლის ნოემბრიდან კორეული კომპანია Hyundai Precision-ი (შემდგომში Hyundai Rotem-ი) ძირითადი საბრძოლო ტანკის K1-ის (ტიპი 88) წარმოებას შეუდგა და 1985-87 წლებში პირველი პარტია — 210 ტანკი ააგო.

1999-01 წლებში მნიშვნელოვანი მო-



ქვეითთა საბრძოლო მანქანა K300

ეროვნული ბიბლიოთეკა



155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა K9

ცულობის სამოდერნიზაციო სამუშაოები შესრულდა და მოდერნიზებულ K1A1-ზე ახალი 120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი და Samsung-ის კომპიუტერიზებული ცეცხლის მართვის სისტემა დაიდგა. მისი მაღალი საბრძოლო თვისებების გამო ტანკით სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ, მაგრამ აშშ-თან შეთანხმებით მესამე ქვეყნებში მისი ექსპორტი აკრძალულია.

2010 წლის 6 აგვისტოს, ერთ-ერთი სწავლების დროს, ტანკის 105 მმ-იან ქვემეხში ჭურვი გასკდა. მძიმე დაზიანებების მიუხედავად, ეკიპაჟი გადარჩა.

მომდევნო ტანკი კორეის რესპუბლიკამ დამოუკიდებლად დააპროექტა, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიათა და სხვა ქვეყნების მიღწევების გათვალისწინებით.

ახალი ტანკი სხვა ქვეყნების დაინტერესებაზე იყო გათვლილი და პროექტზე მომუშავე თავდაცვის განვითარების სააგენტომ (ADD) ტანკმშენებლობაში აშშ-ის, გერმანიისა და საფრანგეთის ყველა მიღწევა გამოიყენა.

კორეის რესპუბლიკამ იმ პერიოდში რუსეთიდან ვალების სანაცვლოდ ჯავშანტექნიკის მცირე პარტიები მიიღო და მათ შორის 80 ტანკი T-80У იყო. ცხადია, ხარკოვის ქარხნის ტანკებს კორეელი სპეციალისტები უყურადღებოდ არ დატოვებდნენ.

თავიდან ტანკზე გერმანული 140 მმ-იანი ქვემეხის დაყენება იყო დაგეგმილი, მაგრამ მიზეზთა გამო იდეაზე უარი ითქვა და არჩევანი 120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხის სასარგებლოდ გაკეთდა.

ტანკს აქვს ქვემეხის დატენის ავტომატი და შნორკელი, რომლის დახმარებითაც 4 მეტრამდე სიღრმის მდინარეთა გადალახვა შეუძლია.

თერთმეტწლიანი საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშაობის შედეგად უახლესი კორეული ტანკის K 2 Black Panther-ის საჯარო დემონსტრირება 2006 წელს შედგა, ხოლო 2007 წლის მარტიდან სერიული წარმოება დაიწყო.

პირველი წარმატება „შავ პანტერას“ თურქულმა ტენდერმა მოუტანა, სადაც უკრაინული, გერმანული, ფრანგული ტანკების დამარცხებით კორეა ტანკმშენებელ ქვეყნებს შორის უცბად დაწინაურდა.

**K 2 Black Panther**: მასა – 55 ტონა, ეკიპაჟი – 3 კაცი, დიზელის ძრავა — 1500-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი – 480 კმ, სიჩქარე – 70 კმ/სთ-ში, შეიარაღება – 120 მმ-იანი ქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი, ღირებულება დაახლოებით 8,5 მილიონი დოლარია;

ტანკებთან ერთად კორეის რესპუბლიკაში თანამედროვე მსუბუქი ჯავშანტექნიკისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების შესაქმნელად დიდი მუშაობა მიმდინარეობს.

პირველი პროექტი მოძველებული ამერიკული M113-ის შემცვლელ მუხლუხა ქვეითთა საბრძოლო მანქანას შეეხო.

ტექნიკური დავალების შესაბამისად, Daewoo Group-მა (ამჟამად Doosan Group-ი) პირველი ეროვნული საბრძოლო მანქანა K200 წარმოადგინა და 1986-06 წლებში სერიულად 2383 ცალი გამოუშვა, საიდანაც 111 ცალი მალაიზიამ შეიძინა.

კორეული K200 კონსტრუქციულად M113-ს ეფუძნება და ფორმითაც ჰგავს, მაგრამ ზომითა და წონით აღემატება.

ამერიკულ შასიზე გერმანული MAN-ის ძრავა და ამერიკული Allison-ის ტრანსმისიაა დაყენებული. ალუმინის ჯავშნით დამზადებულ კორპუსს ქანჩებით დამაგრებული ფოლადის ჯავშანფურცლები ფარავს. ჯავშანდაცვა 12,7 მმ-იანი ტყვიებითა და ქვეითსაწინაალმდეგო ნაღმებისაგან დაცვაზეა გათვლილი. აღჭურვილია ავტომატური ცეცხლმქრობი სისტემითა და კვამლის დასაყენებელი 6 ყუმბარით.

ცურვადობას კორპუსზე დამაგრებული ტივტივები უზრუნველყოფს და წყალში მიმართულებას შეცვლას მძღოლ-მექანიკოსი მუხლუხების დამუხრუჭებით არეგულირებს.

1999 წლიდან Doosan Group-მა მომდევნო თაობის ქვეითთა საბრძოლო მანქანის შექმნაზე დაიწყო მუშაობა და 2008 წელს K300-ის (XK21) პირველი საცდელი ნიმუშები წარმოადგინა.

წონის შესამცირებლად K21-ის შასი მთლიანად მინაბოჭკოსგან არის დამზადებული და მაღალ სიჩქარეთა მისაღწევად ნაკლები სიმძლავრის ძრავა სჭირდება.

სავარაუდოდ, კორპუსის დაჯავშნაში კერამიკული მასალები და ალუმინის შენადნობებია გამოყენებული, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებიდან თვითშემჭიდროებადი საწვავი ავზები და ავტომატური ცეცხლმქრობი სისტემა აქვს.

**K21**: მასა – 25 ტონა, ეკიპაჟი – 3 კაცი, დესანტი – 9 კაცი, დიზელის ძრავა – 740-840-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი – 500კმ, სიჩქარე შოსეზე – 70 კმ/სთ-ში, სიჩქარე წყალზე – 7 კმ/სთ-ში, შეიარაღება – 40 მმქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, 2 – ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტის გამშვები დანადგარი.

2009 წლიდან K21-ის სერიული გამოშვება დაიწყო, მაგრამ ორმა შემთხვევამ წარმოება დროებით შეაჩერა. 2009 წლის ნოემბერსა და 2010 წლის ივლისში მდინარეების გადალახვის დროს ორი ქვეითთა საბრძოლო მანქანა ჩაიძირა და ერთი ჯარისკაცი დაიღუპა.

გამოირკვა, რომ კორპუსი შემხვედრი ტალღებისაგან სათანადოდ დაცული არ იყო და ტუმბოებიც შემოსული წყლის ამოქაჩვას ვერ ასწრებდა.

კონსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის შემდეგ მიმდინარე წლის მარტში K21-ს ახალი გამოცდები ჩაუტარდება და მიწოდებაც განახლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო სააგენტო Forecast International-ის შეფასებით იარაღის ბაზრის თვითმავალი არტილერიის სეგმენტში ერთ-ერთი წამყვანი პოზიციები კორეული Samsung-ის 155 მმ-იან თვითმავალი ჰაუბიცა — K9 Thunder-ს უკავია.

„თანდერი" თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ თვითმავალ საარტილერიო დანადგართა ჯგუფში შედის და მისი პირველი ნიმუში 1996 წელს გამოჩნდა. ახასიათებს: მობილურობა, სროლის მაღალი ტემპი, გაზრდილი გამძლეობა და სხვადასხვა სახის ჭურვებით სროლის ფართო დიაპაზონი.

კარგი გამავლობა და ძლიერი ძრავა პოზიციათა სწრაფად შეცვლის საშუალებას აძლევს, ხოლო კომპიუტერული სისტემა ახალი პოზიციიდან ცეცხლის გახსნას უმოკლეს დროში უზრუნველყოფს.

ჭურვების სატარებლად შექმნილია სპეციალური დაჯავშნული ტრანსპორტიორი (K10), რომელიც სხვადასხვა სახის 104 ჭურვს იტევს და „თანდერს" წუთში 6 გასროლის პირობებს უქმნის.

2010 წლის 23 ნოემბერს ყვითელ ზღვაში ჩრდილო და სამხრეთ კორეას შორის მორიგი ინციდენტის დროს „თანდერების" ბატარეამ საბრძოლო ნათლობა მიიღო.

კუნძულ Yeonpyeong-ის ჩრდილოელთაგან საარტილერიო დამუშავების შემდეგ ოთხმა „თანდერმა" დაახლოებით 32-33 კმ მანძილიდან მოწინააღმდეგის ორი საცეცხლე პოზიციის მიმართულებით 80 ჭურვი გაისროლა.

სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოებით დადგინდა, რომ საპასუხო საარტილერიო ცეცხლმა ჩრდილოელთა რამდენიმე ყაზარმა დაანგრია და პირად შემადგენლობაში მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია.

**K9 Thunder**: მასა – 47 ტონა, ეკიპაჟი – 5 კაცი, დიზელის ძრავა – 1000-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი – 480 კმ, სიჩქარე – 67 კმ/სთ-ში, შეიარაღება – 155 მმ-იანი ჰაუბიცა (სროლის დიაპაზონი 30-დან 56 კმ-მდე) და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.

კორეის რესპუბლიკის მაღალგანვითარებული ჯავშანსატანკო მრეწველობა ფეხდაფეხ მიჰყვება ტექნოლოგიურ სიახლეებს, როცა კომუნისტური ჩრდილო კორეა ჯერ ისევ 60-იანი წლების საბჭოთა-ჩინური წარმოების ჯავშანტექნიკის ნიმუშების მოდერნიზაცია-გაუმჯობესებით არის დაკავებული.

ჩრდილო კორეის ჯავშანტექნიკაზე ცოტა რამ არის ცნობილი და ინფორმაციის ერთადერთი ღია წყარო სამხედრო აღლუმებია. ქვეყნის მმართველი კიმ ჩენ ირი კომუნისტურ ტრადიციებს არ ღალატობს და სამხედრო აღლუმებზე ყველაზე საუკეთესო თუ უახლესი სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებას უწყობენ.

ჩრდილო კორეის არმიის პირველი ტანკები 1949 წელს საბჭოთა კავშირიდან მიღებული მეორე მსოფლიო ომის დროინდელი 258 T-34-85 იყო.

1950 წელს სამხრეთულ თანამოძმეებზე დაწყებულმა აგრესიულმა ომმა ჯავშანტექნიკაზე და მათ შორის ტანკებზე მოთხოვნა გაზარდა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირიდან მიწოდების მოცულობამ მოიმატა და T-34 იყო ის ტანკი, რომლის კოპირება-დამზადება ჩრდილო კორეის მრეწველობამ ომის შემდგომ წლებში შეძლო.

იმავდროულად, საბჭოთა ჯავშანტექნიკის ტექნიკის შესწავლა მიმდინარეობდა და საბჭოური ტანკების აგრეგატების გამოყენებით კორეელმა სპეციალისტებმა გაუმჯობესებულ საბრძოლო შესაძლებლობათა მატარებელი ჯავშანტექნიკის ნიმუშები შექმნეს.

ასეთი მრავალწლიანი მუშაობის პირველი შედეგი 1985 წლის სამხედრო აღლუმზე ნაჩვენები M1985 ან PT-85-ის ინდექსით ცნობილი მსუბუქი ტანკი იყო.

ქვეითთა საბრძოლო მანქანა VTT-323-ის (ჩინური 63-ე ტიპის ლიცენზიური ვერსია) დაგრძელებულ შასიზე საბჭოთა ПТ-76-ის გაუმჯობესებული კოშკურის დაყენებით კორეელებმა მსოფლიოში ყველაზე ძლიერად შეიარაღებული, მაგრამ სუსტად დაჯავშნული მცურავი ტანკი მიიღეს.

**PT-85**: მასა – 20 ტონა, ეკიპაჟი – 4 კაცი, დიზელის ძრავა – 500-ცხ.ძალიანი, სიჩქარე – 65 კმ/სთ-ში, შეიარაღება – 85 მმ-იანი ქვემეხი, 14,5 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა **Малютка**-ს გაშვების დანადგარი;

კომუნისტურ კორეას ზოგიერთი საბჭოთა ტანკის წარმოება ათვისებული რომ აქვს, ამას დაახლოებით ერთი წლის წინანდელი შემთხვევაც ადასტურებს.

2010 წლის 26 თებერვალს სამხრეთ აფრიკის სამხედრო ხომალდებმა დააკავეს სატვირთო გემი, რომლის ტრიუმებში კონგოს რესპუბლიკისთვის განკუთვნილ ბრინჯის ტომრებში დამალული T-55-ის სათადარიგო ნაწილები აღმოჩნდა.

ჩრდილოეთის კიდევ ერთი სიურპრიზი 1992 წლის 25 აპრილის სამხედრო აღლუმი აღმოჩნდა, სადაც ახალი კონსტრუქციის ტანკების კოლონამ ჩაიარა.

ამერიკელებმა ტანკს M1992 (Chonma-xo) უწოდეს და მასში საბჭოურ T-55/T-62-თან ბევრი საერთო დაინახეს. მართლაც ჩრდილო კორეამ 70-იანი წლების პირველ ნახევარში 200 T-62 მიიღო და ტანკებში გამოყენებული სიახლეები შესწავლის საგანი გახდა.

ამჟამად „ჩხონმა-ხოს" ხუთი ვერსიაა ცნობილი. ბოლო მე-5 ვერსიას 125 მმ-იანი ქვემეხი, კვამლის დასაყენებელი ყუმბარები, ლაზერული მანძილმზომი, ღამის ხედვის ხელსაწყოები და სხვა სიახლეები აქვს.

2002 წლის აღლუმის სიახლე M2002 (Pokpumg-xo) იყო. სპეციალისტებმა



ჩრდილოკორეელთა ტანკი
Chonma-xo



კომუნისტური ჩრდილოეთის პირველი სერიული ტანკი — ტიპი 85

მასში საბჭოთა T-62/T-72-ისა და ჩინური 85-ე ტიპის ტანკის ერთგვარი ნაზავი დაინახეს.

1988 წელს კორეამ საბჭოთა კავშირისგან T-72M-ის წარმოების ლიცენზია იყიდა და სერიული წარმოება 1991 წლიდან გადაწყდა. კიმ ჩენ ირის რეჟიმს გაეროს უშიშროების საბჭომ იარაღის მიწოდებაზე სანქციები დაუწესა და გარიგებაც არ შედგა. მაგრამ რამდენიმე T-72-ის მიღება, სავარაუდოდ, სირიიდან მაინც მოხერხდა.

ტანკზე მუშაობა 90-იანი წლების ბოლოს არის დაწყებული და ემბარგოს მიუხედავად მასში ჩინეთში, რუსეთსა თუ აღმოსავლეთ ევროპაში დამზადებული ზოგიერთი კომპონენტი თუ სისტემაა გამოყენებული.

45-ტონიანი „პოკპუნგ-ჰოს" მრავალშრიანი დაცვა, ჯავშანი და დინამიკური დაცვა აქვს. ფორსირებული ძრავა გაუმჯობესებულ გამავლობას უზრუნველყოფს. აღჭურვილია 115 მმ-იანი ან 125 მმ-იანი ქვემეხით.

ჩრდილო კორეის არმიის მსუბუქი ჯავშანტექნიკის პარკის მომეტებული ნაწილი საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორებსა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებს (БМП-1, БТР-80, БТР-60, БТР-60П, БТР-152 და სხვ.) უკავია.

ამ მოძველებულ ტექნიკას ნელ-ნელა ჩინური ლიცენზიური ქვეითთა საბრძოლო მანქანა YW53-ის კორეული ანალოგი M1973 (VTT-323) ენაცვლება.

VTT-323-ს ფოლადის ჯავშნის კორპუსი აქვს და ორი 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევით არის შეიარაღებული.

შასი გამოყენებულია 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნის, 107 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის, ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო სარაკეტო კომპლექსების მატარებელ-თვითმავალი დანადგარების დასამზადებლად.

ჩრდილო კორეის მრეწველობა თვითმავალი არტილერიის დასამზადებლად სატანკო შასებსა და საბჭოთა-ჩინურ 130 მმ-იან ქვემეხებს, 122 მმ-იან და 152 მმ-იან ჰაუბიცებს იყენებს.

ამ საარტილერიო სისტემებს საკმაოდ მაღალი შესაძლებლობები აქვს და ამას კუნძულ Yeonpyeong-ის ინციდენტიც ცხადყოფს, რომლის დროსაც ჩრდილოკორეელმა არტილერისტებმა ორი სამხრეთკორეელი საზღვაო ქვეითი მოკლეს და ბევრად მეტი კი დაჭრეს.

**შალვა გოგიბერიძე**



# 300 სპარტელს ქართველ ტომებთანაც მოუწიათ ბრძოლა




აქემენიტური სპარსეთის იმპერია

**„ამ დროს ქსენოფონტს მიუახლოვდა ერთ-ერთი პელტასტი, რომელიც ათენში ყოფილი მონა იყო და თქვა, რომ ესმის ამ ხალხის ენა – „მგონი, ეს ჩემი სამშობლოა“.**

**ქსენოფონტი. ქრისტესშობამდე 401 წელი**

საქართველო სტრატეგიული მდებარეობით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა შორის ყოველთვის ხიდისა თუ დერეფნის დანიშნულებას ასრულებდა, რასაც როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები ჰქონდა.

ერთი შეხედვით მოხერხებული მდებარეობის გამო ჩვენში ადვილად აღწევდა ყველა სიახლე და კულტურული მონაპოვარი, ადვილად მყარდებოდა მოწინავე ცივილიზაციებთან კავშირი. საქართველოზე გადიოდა საქარავნო გზების უმთავრესი კვანძები, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას უწყობდა ხელს და იმავდროულად, აზარალებდა კიდეც.

კავკასია ყველა ეპოქაში ინტერესის საგანი იყო, მსოფლიოს ისტორიაში ძნელად მოიძებნება იმპერია ან დამპყრობი, რომ კავკასიის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევის სურვილი არ გასჩენოდა.

ამის გამო ჩვენი ქვეყანა აგრესიულ სახელმწიფოთა ინტერესთა შეჯახების ასპარეზად არაერთგზის გადაქცეულა, რასაც ზოგჯერ ისეთი ლაშქრობა თუ ომი ახლდა, რომელიც ქვეყნის ან ქართველების ინტერესებთან დაკავშირებული არც იყო.

ქრისტესშობამდე I ათასწლეული მთელი რიგი ფაქტორის გამო არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიისთვისაც გამორჩეულია: შეიქმნა ახალი იმპერიები, მოხდა რამდენიმე დიდი გადასახლება, გაჩნდა ახალი სამხედრო შეხედულებები თუ სტრატეგიები, დაიხვეწა სამხედრო ტექნიკა და რკინის საბრძოლო იარაღი. ჩვენს მეზობლად რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკური სურათი და რუკა. პირველმა ათასწლეულმა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამხედრო ჭიდილში გაიარა. ბუნებრივია, ამ მოვლენებს ვერც ქართველი ტომები ასცდებოდნენ.

ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ ქართველურ გაერთიანებებს სხვადასხვა სახით სამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამხედრო „სკოლასთან“ მოუწია შეხებამ. ესენია: **ველური სკვითები, ანტიკური საბერძნეთი და აქემენიდების სპარსეთი.**

ქრისტესშობამდე VIII საუკუნეში თანამედროვე რუსეთის სტეპებიდან სამხრეთით დაიძრა კიმერიელ და სკვით მომთაბარე ტომთა უზარმაზარი ტალღა, რომელთა დიდმა ნაწილმაც დარიალის გზით საქართველოზეც გაიარა. ეს იყო ნახევრად ველური ეთნოსი, რომელმაც მიწასთან გაასწორა ძველი აღმოსავლური ცივილიზაციები, დააზარალა ქართული ტომობრივი გაერთიანებებიც და განსაკუთრებით კოლხეთი. საქართველოს ისტორიაში შემორჩენილია ცნობები მათი ლაშქრობების შესახებ, სადაც მემატიანე შეცდომით კიმერიელებსა და სკვითებს „კაციჭამია ბუნთურქებად და ხაზარებად“ მოიხსენიებს. მათგან შემორჩა სიტყვა „გმირი“, რომელიც „გიმირიდან“ მოდის და უძლეველს ნიშნავდა.

განვითარების უმდაბლესი დონის მიუხედავად, სკვითები შესანიშნავი მებრძოლები იყვნენ და მანამდე უცხო სამხედრო სტრუქტურა ჰქონდათ. მათ არაერთი სიახლე შეიტანეს მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში: კავალერიის უმთავრესი როლი, ცხენოსანთა გამოყენების საუკეთესო ტაქტიკა, ცხენების საჭურველი, ახალი ტიპის მსუბუქი მშვილდები და იარაღი, ცხენების ჭენებისას ისრების სროლა, სწრაფი გადაადგილებისა თუ მობილურობის საოცარი ეფექტი, მოულოდნელობის ფაქტორი, დაქირავებულ მეომართა ახალი ტიპიც სწორედ მათგან იღებს სათავეს.

ეს იყო ნამდვილი რევოლუცია სამხედრო საქმეში. ცხენებს მანამდეც იყენებდნენ შუმერის, ეგვიპტის, ხეთების, ასურეთისა და ურარტუს ჯარებში, მაგრამ მსგავს როლს კავალერია მანამდე არსად არ ასრულებდა.

სკვითები და კიმერიელები მხოლოდ დაქირავებულ მეომრებად და მარბიელ მოლაშქრეებად დარჩნენ. მათ ვერ შეძლეს ერთმმართველობის ქვეშ გაერთიანება და სხვადასხვა ხალხთან შერევის შედეგად გაქრნენ.

ლეგენდარული „ოქროს საწმისიდან“ მოყოლებული კოლხეთის ტერიტორია სულ უფრო და უფრო იზიდავდა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს, რომელთაც ქრისტესშობამდე VII საუკუნიდან კოლხეთის შავი ზღვისპირეთში დასახლება და ქალაქების დაარსება ინტენსიურად დაიწყეს. ბერძნებისა და ქართველების ურთიერთობა უფრო სავაჭრო-კულტურული იყო და მცირე შეტაკებებსა თუ რამდენიმე ლაშქრობას არ ჩავთვლით, დიდ სამხედრო ოპერაციათა კვალი არსად არ ფიქსირდება.

**ქართველებს ბერძნებთან ბრძოლა,** ძირითადად, ქრისტესშობამდე 401 წელს სპარსეთიდან მომავალი ქსენოფონტეს დაქირავებული ლაშქრის გავლისას და ბერძენ-სპარსელთა ომის დროს მოუხდა. მაშინდელი ბერძნები განვითარების უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ და კულტურის, ხელოვნებისა თუ მეცნიერების მრავალი დარგი მნიშვნელოვნად გაამდიდრეს. ბევრი სიახლე შეიტანეს სამხედრო საქმეშიც.



სკვითი მეომრის ილუსტრაცია



სპარსეთის ელიტარული ჯარისკაცები „უკვდავები“

ბერძნები იმ ეპოქის „თანამედროვე“ მეომრები იყვნენ. საბერძნეთში უდიდესი ყურადღება ექცეოდა ჯარისკაცთა ინდივიდუალურ მომზადებას. სპარტაში არსებობდა სახელოვანი **„სამხედრო სასწავლებელი“**, სადაც უმკაცრესი დისციპლინითა და ფიზიკური დატვირთვით მომავალ მებრძოლებს 7 წლის ასაკიდან ამზადებდნენ.

ბერძენთა ფლოტს ბადალი არ ჰყავდა. საზღვაო ბრძოლებში მათ პირველად გამოიყენეს სახომალდო „არტილერია“ (სატყორცნი საშუალებები) და ცეცხლგამჩენი „ჭურვები“ („ბერძნული ცეცხლი“).

საბერძნეთის არმიას ციხესიმაგრეთა ასაღები საუკეთესო საალყო და საინჟინრო ტექნიკა ჰქონდა.

ბერძნულ ლაშქარში მეომართა ორი კატეგორია ჩამოყალიბდა: მსუბუქად აღჭურვილი პელტასტები და მძიმე — ჰოპლიტები.

პელტასტები, ძირითადად, დაქირავებული და მოხალისე მეომრებისაგან შედგებოდა და სელის აბჯარს, მსუბუქ ხმალ-შუბს და ტყავის მრგვალ ფარებს ატარებდნენ.

ჰოპლიტთა შეიარაღებაში ბრინჯაოს ჯავშან-მუზარადი, რკინით მოჭედილი ფარი და რკინის გრძელი შუბი შედიოდა.

გამოყენების ტაქტიკაში შემოვიდა საბრძოლო წყობა ფალანგა, სადაც მეომრები შუბებით „კედელს“ ქმნიდნენ, რაც დიდ ეფექტს იძლეოდა სწორ ველზე. თექვსმეტრიგად დაწყობილ გამოცდილ მეომრებს თითქმის ნებისმიერი იერიშის შეკავება და მტრის წყობის გარღვევა შეეძლოთ.

ბერძნულ ჯარებში მცირე რაოდენობით მონებსაც იყენებდნენ და მათი მოვალეობა საჭურველთმტვირთველობა და ფლოტში მენიჩბეობა იყო.

> „კოლხებმა დააწესეს საჩუქრები, რომ სპარსეთში გაეგზავნათ ყოველ მეხუთე წელს 100 ყრმა და 100 ქალწული“.
>
> ჰეროდოტე. „ისტორია“
> ქრისტესშობამდე V საუკუნე

ბერძნული ჯარის უმთავრესი ღირსება ჯარისკაცების და მეთაურების მაღალ დონეზე მომზადება იყო. სტრატეგოსთა მინიმალური ასაკი 30 წლით იყო განსაზღვრული. ისინი სამეთაურო რგოლს გამოცდილებითა და ცოდნით იკავებდნენ და არა წარმომავლობით ან სხვა პრივილეგიით.

**ანტიკური საბერძნეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა სპარსეთის სამხედრო სისტემა.**

ქრისტესშობამდე 550 წელს სპარსეთის მეფე კიროსმა სპარსეთი და მიდია გააერთიანა და უდიდესი იმპერია შექმნა. სპარსეთი განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე დარიოს I-ის დროს, როდესაც მისმა მასშტაბებმა არნახულ სიდიდეს მიაღწია და იმპერიული აგრესია ქართველურ ტომებსაც შეეხო.

ისტორიული წყაროებით, სამხრეთით მცხოვრები ქართველი ტომები: კოლხები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, სპერები, ხალიბები და ტაოხები სპარსეთის მორჩილებაში მოექცნენ და მათ ადმინისტრაციულ დაყოფაში მე-18 და მე-19 სატრაპიებში, გაერთიანდნენ.

უდიდესი ტერიტორიების და ფინანსების მფლობელ სპარსეთის იმპერიას უზარმაზარი რესურსი და პოტენციალი გააჩნდა და ამის წყალობით ასეულათასობით მეომრის გამოყვანა თავისუფლად შეეძლო.

სპარსეთის არმია სამი ჯგუფისა და კატეგორიის ჯარს აერთიანებდა:

ელიტას ქმნიდა 10 ათასი კაცისაგან ჩამოყალიბებული „უკვდავთა კორპუსი“, სადაც ყველაზე კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული მეომრები მსახურობდნენ. კორპუსი აქემენიდების მთავარი დასაყრდენი და სიამაყე იყო, რომლის რიცხოვნობა მუდმივად 10 ათას კაცს ითვლიდა და დაღუპულთა ადგილს მხოლოდ საუკეთესო მეომრები იკავებდნენ.

მეორე კატეგორიას იმპერიის შემადგენლობასა და მორჩილებაში მყოფი სხვადასხვა ხალხით დაკომპლექტებული ჯარი ქმნიდა და მათ შორის ქართველი ტომებიც იყვნენ. იმპერია მოიცავდა ასობით სხვადასხვა ეთნოსს, რომელთაგან ზოგი ნებით, ზოგიც იძულებით იბრძოდა სპარსეთის ჯარების რიგებში, ამიტომ მათი შეიარაღება საკმაოდ ჭრელი და სხვადასხვაგვარი იყო.

მესამე კატეგორია დაქირავებულ მეომრებს აერთიანებდა. იმპერიის მდიდარი ხაზინა უამრავი მეომრის დაქირავების საშუალებას იძლეოდა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სპარსელთა დაქირავებულ ჯარში ქართველი ტომებიც (ხალიბები, ტაოხებიც) იბრძოდნენ, თუმცა დაქირავებულ მეომართა ძირითადი ბირთვი მაინც სკვითი და კიმერიელი მეომრები იყვნენ.

სპარსეთის ჯარი ყველა იმ სამხედრო მიღწევას იყენებდა, რაც ძველი ცივილიზაციებისაგან შეითვისა და გადმოიღო. ერთ-ერთი კი იმდროინდელი „ტანკები“ — საბრძოლო ეტლები და სპილოები იყო.

უდიდესი რესურსისა და ფინანსების მიუხედავად, სპარსეთის არმიას ჰქონდა ერთი დიდი ნაკლიც, რომელიც ბერძნებსა და შემდგომში მაკედონელებთან ბრძოლებში კარგად გამოჩნდა. ეს იყო ჯარების მართვის არაორგანიზებულობა, სხვადასხვა ეთნოსისაგან შემდგარი არმია ერთი და იმავე მოტივაციით ყოველთვის არ იბრძოდა. ხანდახან მეომრებს ბრძოლაში მათრახებით მიერეკებოდნენ.

ჭრელ შეიარაღებასთან ერთად უმდა-

ბლეს დონეზე იდგა სამხედრო ყოველგვარი ხელმძღვანელობა და მეთაურთა ინსტიტუტი. სარდლობაშიც გამოცდილებისა თუ დამსახურების გარეშე სამეფო ოჯახების წარმომადგენლები და დიდებულები ინიშნებოდნენ.

ბერძენ-სპარსელთა ომებში ნებსით თუ უნებლიეთ სპარსელთა მხარეს მე-18 და მე-19 სატრაპიათა ქართველობაც აღმოჩნდა. მარათონისა და თერმოპილეს სახელოვან ბრძოლებში ლეგენდარულ 300 სპარტელთან ქართველ ტომებსაც მოუწიათ ბრძოლა.

ქართველთა სამხედრო მონაცემების შესახებ ცნობებს გვაძლევენ უამრავი არქეოლოგიური მასალა და ბერძენი ავტორები, რომელთაგანაც გამოსაყოფია „ისტორიის მამად" წოდებული ჰეროდოტე, აგრეთვე ბერძენი მწერალი და სარდალი ქსენოფონტი.

ჰეროდოტემ დაწვრილებით აღწერა ბერძენ-სპარსელთა ომები, სადაც დარიოსის და ქსერქსეს ჯარების შეიარაღებისა და შემადგენლობის ჩამოთვლისას ქართველ ტომებსაც არაერთხელ იხსენიებს.

ქსენოფონტი კი იყო იმ დაქირავებული ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი, რომელსაც სპარსეთიდან საქართველოს გავლით მოუწია ლაშქრობამ და საქართველოს სამხრეთის ტომებთან საბრძოლო შეტაკებები როგორც გამოცდილმა ჯარისკაცმა პროფესიულ დონეზე აღწერა.

ქსენოფონტს აღწერილი აქვს ქართველთა ყველა დასახლებული პუნქტი. წერს საფორტიფიკაციო დანიშნულების თხრილებზე, მაღალ მესერსა და კოშკებზე. ზოგიერთის აღება ბერძენთა სახელოვანმა ჯარმაც კი ვერ შეძლო და დიდი მსხვერპლის ფასად უკან დაიხია.

ჰეროდოტესა და ქსენოფონტის ცნობით, ქართული ტომები შეიარაღებულნი ყოფილან იმ დროისთვის თანამედროვე რკინის იარაღით: შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, სხვადასხვა სახის ფარით (ძირითადად, მოწნული და ტყავგადაკრული), მშვილდ-ისრით, მუზარადითა და ჯავშნით.

თავდასაცავად ჩვენი წინაპრები იარაღთან ერთად სხვა საშუალებებსაც იყენებდნენ. როგორც ქსენოფონტი წერს, უკანდახეულმა კოლხებმა დასახლებულ პუნქტში დატოვეს მოწამლული თაფლი, რომელმაც მეომრები დააუძლურა და ბრძოლის უნარი დიდი ხნით წაართვა.

სტრაბონი სვანების მოწამლულ ისრისპირებს იხსენებს. და რაც მთავარია: ინდივიდუალურ თვისებებთან ერთად ქართველებში ჩანს ორგანიზებისა და სამხედრო ტაქტიკის შერჩევის კარგი ცოდნა-გამოცდილება, რაც ბერძნებთან ბრძოლებში ჩასაფრებებისათვის ადგილმდებარეობის სწორად შერჩევაში, სწრაფ მანევრირებასა და სამხედრო წყობებში გამოიხატებოდა. ქსენოფონტი ასევე აღწერს „კოლხურ ფალანგას".

ასევე კარგად იყო ორგანიზებული კოლხეთში სადაზვერვო საქმე, რისთვისაც მსტოვართა სამსახური და შეტყობინებების ნიშნებით გადაცემის სისტემა მოქმედებდა.

მეტად საინტერესო და ამაღელვებელ ინფორმაციას ვხვდებით ქსენოფონტის „ანაბასისში": ქართული ტომის — მაკრონების ტერიტორიაზე გავლისას ერთმა ბერძენმა მეომარმა გაიხსენა, რომ ბავშვობაში მონად გაყიდული ამ ქვეყნის

„ხალიბები უმამაცესნი იყვნენ იმ ტომებს შორის, ვის მიწაზეც ელინებმა გაიარეს. მათ ჰქონდათ მუცლის ქვედა ნაწილამდე სელის აბჯრები, ატარებდნენ საბარკულებსა და მუზარადებს, ლაკონურ ხმლის მსგავს სატევრებს... ხალიბები მაშინ როკავდნენ და მღეროდნენ, როცა მათ მტერი უყურებდა".

ქსენოფონტი.
ქრისტეშობამდე 401 წელი

შვილი იყო და მშობლიური ენა ისევ ახსოვდა.

ცნობილი ფაქტია, რომ ბერძნებს კოლხეთიდან მონები ხშირად გაჰყავდათ. ანტიკურ ბერძნულ წარწერებში აქა-იქ ნახსენებია ტიბარენი და კოლხი მონები, რომელთაც ხშირად სამხედრო საქმეშიც იყენებდნენ.

ამგვარად ქართველურ ტომებს იმ დროს შეხებამ მოუწიათ სამ სხვადასხვა ტიპის ჯართან: მომთაბარე სკვითებთან, დასავლურ საბერძნეთსა და აქემენიდების აღმოსავლურ სპარსეთთან. ბერძნული და სპარსული ჯარების რიგებში ქართველურ ტომებსაც მოუწიათ ბრძოლამ, ხშირად ნების საწინააღმდეგოდაც. მათგან ბევრი რამ შეითვისა ქართველმა ხალხმა, უპირველესი „მასწავლებელი" მაინც ის მძიმე სიტუაცია იყო, რომელიც სამხედრო საქმის ცოდნას უმაღლეს დონეზე მოითხოვდა.

იმ ხანაში ქართველებში აშკარად გამოიკვეთა ტომთა სამი გაერთიანება:

პირველი — ბერძნული ორიენტაციის დასავლეთქართული (კოლხეთ-ეგრისი) გაერთიანება, რომელიც სახელმწიფო სისტემის ფორმირებას უკვე მიუახლოვდა და ამას ადასტურებს აღმოჩენილი მდიდრული სამარხები და „კოლხური თეთრის" არსებობა;

მეორე — აღმოსავლეთქართული გაერთიანება, რომელსაც უკვე ჰყავს სამხედრო არისტოკრატია და ირანზეა ორიენტირებული;

მესამე — სამხრეთქართული გაერთიანება, ანუ არიან-ქართლი, სადაც მთლიანად ირანის გავლენაში მოქცეული მე-18 და მე-19 სატრაპიებში მოქცეული ქართველები ცხოვრობდნენ;

მალე კი მსოფლიოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც მთლიანად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური სურათი და ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც ხელი შეუწყო. ეს იყო ლეგენდარული ალექსანდრე მაკედონელი.

**გიორგი ბერიძე**



ბერძენი მეომარი ჰკლავს სპარსელს (ძველი ნახატი)

# აირსოფტი
## მეტი ვიდრე უბრალო თამაში



თამაში აირსოფტი, სათავეს ამომავალი მზის ქვეყნიდან იღებს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ქვეყანამ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომლის მიხედვითაც იაპონიას შეიარაღებული ძალების შექმნა და ყველა სახის შეიარაღების წარმოება აეკრძალა.

ამ პერიოდში იაპონური პოლიციის კურსანტთა მოსამზადებლად შეიქმნა პნევმატური იარაღი, რომელიც 6 მმ დიამეტრის პლასტმასის ბურთულებს ისროდა.

დიდი მოთხოვნის მიუხედავად, გასული საუკუნის 70-იან წლებში იაპონიაში ცეცხლსასროლი იარაღის ტარება აიკრძალა, მაგრამ რამდენიმე კომპანია ცეცხლსასროლი იარაღის ზუსტ ასლებს მაინც აწარმოებდა. საბრძოლო ვაზნების მაგივრობას პლასტმასის ან რეზინის ტყვიები ასრულებდა.

ტექნოლოგიის დახვეწით თანამედროვე აირსოფტში პლასტმასის 6 მმ-იანი და 0,12-0,88 გ-იან პლასტმასის ბურთულებს იყენებენ.

აირსოფტი ჯგუფური, სამხედრო-ტაქტიკური თამაშია და მოქმედებებით ტყეში თუ ქალაქში მიმდინარე ბრძოლებს წააგავს, ამიტომაც ის სამხედროებისა და პოლიციელთა საწვრთნელ მეცადინეობებში შევიდა.

### თამაშის ფორმები

აირსოფტში არსებობს სხვადასხვა ტიპის სცენარი, რომელსაც სცენარისტი ან სცენარისტთა ჯგუფი ამზადებს. სცენარები ერთმანეთისგან მონაწილეთა რაოდენობით, თამაშის ჩასატარებელი ადგილით, აღჭურვილობითა და სხვა ელემენტებით განსხვავდება. ძირითადად, გავრცელებულია სამხედრო სიმულაცია, საბოტაჟი, ჯგუფური შეტაკებები, შენობის იერიში, ორდროშობანა, ისტორიული ბრძოლა და ა.შ.

ორდროშობანა დამწყებ მოთამაშეთა შორის ერთ-ერთი გავრცელებული თამაშია და მისი მიზანი მოწინააღმდეგის კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოკიდებული დროშის მოპოვებაა. დროშის მაგივრობა შეიძლება სხვა ნივთმაც გასწიოს.

სამხედრო სიმულაცია აირსოფტის მოთამაშეებს ნამდვილ სამხედრო ოპერაციებთან აკავშირებს. ჯგუფები ამოცანებს ინაწილებენ და რეალობასთან მაქსიმალური მიახლოებისათვის სათანადო ეკიპირებას, რადიოკავშირის საშუალებებსა და შესაბამის ადგილმდებარეობას ირჩევენ.

სამხედრო სიმულაციის დროს მოთამაშეები შეზღუდული ტევადობის მჭიდებს (M4, M16 და AK47-ის შესაბამის 30-ვაზნიანი მჭიდებით სარგებლობენ) იყენებენ, რაც რეალობის შეგრძნებას უფრო ამძაფრებს.

ჯგუფები მთელი თამაშის მანძილზე „ბრძოლის ველზე“ არიან და უსაფრთხო ადგილებში მხოლოდ სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ან ტყვიაწამლის მარაგის შესავსებად ბრუნდებიან.

სამხედრო სიმულაციის თამაშები რამდენიმე დღე შეიძლება გაგრძელდეს და მასში ხშირად ტრანსპორტითაც სარგებლობენ.

ზოგიერთ ქვეყანაში მძიმე ტექნიკასა და ავიაციასაც კი იყენებენ. ერთ-ერთი სიმულაციის დროს ამერიკაში მოთამაშეებმა ტანკი და შვეულმფრენი გამოიყენეს.

ჯგუფური თამაშის დროს მოთამაშეებს ერთნაირი უნიფორმა მოეთხოვებათ და ამ ტიპის თამაში სცენარის შინაარსზეა დამოკიდებული. ჯგუფი 2 ნაწილად იყოფა, მაგალითად, ტერორისტებად და სპეციალური დანაყოფის რაზმად. ტერორისტებმა შეიძლება მძევალიც აიყვანონ და ამ დროს სპეცრაზმს შენობაში შეღწევა და მძევლის დაუზიანებელი გამოყვანა ევალება. ასეთ ოპერაციებში კუსტარულ კვამლის გამომყოფ საშუალებებსაც იყენებენ.

ისტორიული ბრძოლები ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თამაშია, სადაც მოთამაშეებს ეკიპირებასა და შეიარაღებასთან დაკავშირებული წესების დაცვა მოეთხოვებათ. ბრძოლა დასაშვებია მხოლოდ იმ იარაღით, რომელსაც ნამდვილ ბრძოლაში იყენებდნენ და მოთამაშეებსაც ეპოქისათვის დამახასიათებელი სამოსი აცვიათ. მაგალითად, დაუშვებელია მეორე მსოფლიო ომის სიმულაციისას რომელიმე მებრძოლი თანამედროვე ამერიკული ქვეითის ფორმითა და M4A1-ით დარბოდეს. მაგრამ რადგან ეკიპირებისა და იარაღის შეძენა საქართველოში საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ამიტომ გამონაკლისს ზოგჯერ უშვებენ.

### თამაშის წესები

აირსოფტის ძირითადი წესი, რომლის გარეშეც ამ სპორტის სახეობას აზრი ეკარგება, კეთილსინდისიერი თამაშია. თითოეული მოთამაშე თავად აღიარებს მოწინააღმდეგის ტყვიის მოხვედრას.

თამაშს მსაჯები არ ჰყავს და ასპარეზს მოთამაშეები თავად ეთიშებიან. დაუშვებელია „ტყვიის“ მოხვედრის დამალვა. თუ რომელიმე მოთამაშეს მსგავს საქციელში შეამჩნევენ, მაშინ ის კლუბიდან დროებით ან სამუდამოდ შეიძლება გაირიცხოს.

დახურულ (მხოლოდ კლუბის წევრებისთვის) თამაშებზე შეიძლება განსაკუთრებული წესები ან შეზღუდვები მოქმედებდეს. მაგ., იარაღის სროლის სიჩქარესთან დაკავშირებული, მაგრამ ზოგადი წესი ყველასთვის საერთოა:

1. „ტყვიის“ მოხვედრისას (სხეულის ნებისმიერ ნაწილში, თუნდაც თითში) აღიარებთ, რომ „მკვდარი“ ხართ და თამაშს ეთიშებით;

აირსოფტის იარაღი ნამდვილს წააგავს, თუმც საბედნიეროდ ტყვიების ნაცვლად 6 მმ-იან პლასტმასის ბურთულებს ისვრის



2. აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა. მთელი თამაშის განმავლობაში თუნდაც უკვე „მკვდარი“ იყოთ, დამცავ სათვალეს არ იხსნით;

3. კამათი და შეძახილები ბრძოლის დროს არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მოსაუბრე მხარე ბრძოლას დატოვებს;

4. აირსოფტში გამოიყენება მხოლოდ 6 მმ-იანი პლასტმასის ბურთულების (ტყვიების) სასროლი იარაღი. სხვა სახის პნევმატური, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის გამოყენება სასტიკად აკრძალულია;

5. იკრძალება ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ თუ ფსიქოთროპულ საშუალებათა მოქმედების ქვეშ ყოფნა;

6. ბრძოლიდან გასული (მკვდარი) პირი არ საუბრობს, არ აწვდის ინფორმაციას, არ ისვრის რეპლიკებსა თუ შეძახილებს და სხვებს ხელს არ უშლის;

7. თამაშში მხოლოდ სრულწლოვანი პირები და იშვიათად 17 წლის მოზარდებიც დაიშვებიან;

## აღჭურვილობა

აირსოფტში მოთამაშეები იყენებენ სხვადასხვა აღჭურვილობას, სამხედრო ამუნიციას, ჯავშანჟილეტებს, რაციებს, ღამის ხედვის მოწყობილობებს და ა.შ. ხშირად გამოიყენება ხელყუმბარები და ტყვიამფრქვევები, რომლებიც ასევე 6 მმ-იან სტანდარტულ „ტყვიებს“ ისვრიან. აირსოფტის მოთამაშეების აღჭურვილობის უცვლელი ატრიბუტია ტყვიაგამძლე სათვალე, რომელიც ყოველი თამაშის დაწყების წინ მაღალი სიმძლავრის იარაღით აუცილებლად ისინჯება.

რადგანაც აირსოფტი აქტიური სპორტია და მოთამაშისგან ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს (მაგ., სრული აღჭურვილობით გრძელი მანძილის გავლა), ამიტომ სირბილისას დაცემის შემთხვევაში დაზიანებათა თავიდან ასაცილებლად იყენებენ სამუხლეებს, რომელიც დარტყმას მნიშვნელოვნად ამცირებს.

მოთამაშეები, როგორც წესი, კამუ-



შენობის აღების მომენტი



**სახის სპეციალური დამცავი ნიღბის გარეშე აირსოფტის თამაში შეიძლება სახიფათოც გახდეს, რაზეც ეს სურათიც მეტყველებს**

ფლირებულ სამხედრო ფორმით არიან შემოსილნი და ფეხზე მაღალყელიანი ფეხსაცმელები აცვიათ. ფორმა შენიღბვას უზრუნველყოფს, რაც თამაშისას ძალზე მნიშვნელოვანია. ერთ გუნდში გაერთიანებულ მოთამაშეებს ერთნაირი ფორმა აცვიათ და ამით სხვა გუნდებისაგან განირჩევიან. ასევე ხშირად გამოიყენება სხვა გამოსაცნობი ნიშნები. მაგალითად, მკლავსა და გულზე დასამაგრებელი ემბლემები.

აირსოფტის ყველა კლუბს თავისი ნიშანი ან ემბლემა აქვს.

## იარაღი

ის, რის გარეშეც აირსოფტი წარმოუდგენელია, იარაღია. მოთამაშეთა აღჭურვილობაში მრავალი სახის შეიარაღება შედის — დაწყებული უბრალო პისტოლეტით, დამთავრებული ყუმბარსატყორცნით. იარაღის მოქმედება მსუბუქი პნევმატიკის პრინციპზეა დამყარებული და სროლა წარმოებს შეკუმშული აირის ხარჯზე, რომელიც 6 მმ-იან ბურთულებს მაქსიმალური 3 ჯოულის ენერგიით ისვრის.

ნამდვილ იარაღთან მსგავსება მხოლოდ ფორმით გამოიხატება და ზოგიერთი მოდელი იმდენად კარგად არის შესრულებული, რომ ნამდვილისაგან გარჩევა არც ისე მარტივია.

არსებობს მსუბუქი პნევმატიკის იარაღი, რომელიც სპეცდანაყოფთა სავარჯიშოდ არის შექმნილი. ასეთია ფირმა Systema-ს M4 და M16-ები.

კარაბინების კორპუსი მთლიანად პლასტმასის, ნაწილობრივ მეტალის ან მთლიანად მეტალისგანაა დამზადებული.

პლასტმასის კორპუსებში მაღალი ხარისხის პოლიმერებია გამოყენებული, მაგრამ კორპუსი მაინც სანდო არ არის. პლასტმასის მოდელები მსუბუქია და წონის მოსამატებლად კორპუსში სპეციალურ სიმძიმეებს უმატებენ.

ნაწილობრივ მეტალის კორპუსში ძირითადი ნაწილები ლითონისაგან, ხოლო დანარჩენი, პლასტმასისგან მზადდება. ყველაზე გამძლე მეტალის იარაღია, რომელიც მაღალი ხარისხითა და საიმედოობით გამოირჩევა. მის დასამზადებლად ალუმინისა და სილუმინის მსუბუქი შენადნობებია გამოყენებული. სილუმინი ადვილი ჩამოსასხმელია, მაგრამ მყიფე. ალუმინის კონსტრუქციას სქელი კედლები აქვს და უფრო გამძლეა, მაგრამ სილუმინთან შედარებით მეტი ღირს.

ზოგიერთ მოდელში ნამდვილი იარაღის შესატყვისი მასალებია გამოყენებული. მაგალითად, СВД-ს აირსოფტისა და ნამდვილი სნაიპერული შაშხანის კორპუსები ერთი და იმავე შენადნობისგან არის დამზადებული. შესაბამისად, ღირებულებაც 1.000 დოლარს აჭარბებს.

მუშაობის პრინციპით განასხვავებენ იარაღის 3 კატეგორიას: მექანიკურს, აირისა და ელექტროპნევმატურს.

მექანიკური მოქმედების იარაღი ზამბარის პრინციპზეა დაფუძნებული. გასროლა ხდება ზამბარის ხელით დაჭიმვით, რომელიც თავის მხრივ უკან სწევს აირის შემკუმშველ ტუმბოს, სასხლეტზე თითის დაჭერით გათავისუფლებული ზამბარა კი ტყვიას ისვრის. ასეთი იარაღი აირსოფტის განვითარების პირველ ეტაპზე გამოჩნდა და ამჟამად მსგავსი მექანიზმის მქონე პისტოლეტებს დამხმარე იარაღად იყენებენ. მასზე დაყენებულია ოპტიკური სამიზნე, ლაზერული მაჩვენებელი, ფარანი და სხვ. უარყოფითი მხარეა ყოველი გასროლის შემდეგ ზამბარის ხელახალი დაჭიმვა (გადატენა). შესაბამისად, სწრაფსროლა მოთამაშეზეა დამოკიდებული. ასეთი იარაღით დამიზნებით სროლის მანძილი 10-35 მეტრია. გამონაკლისია სნაიპერული შაშხანები, აქ მთავარი სიზუსტეა.

აირის იარაღში გასროლას შეკუმშული აირი უზრუნველყოფს. სასხლეტზე დაჭერისას თავკავი ურტყამს აირის სარქველს, რომელიც აირის ნაკადს უშვებს და ეს უკანასკნელი ბურთულას ისვრის. აირის პნევმატიკა, ძირითადად, პისტოლეტებში გამოიყენება, მაგრამ არსებობს ტყვიამფრქვევები და სნაიპერული შაშხანებიც.

პისტოლეტების უმეტესობას უკუცემის იმიტაცია (Gas Blow Back) აქვს და გასროლისას ჩახმახი უკან იწევა. სროლისთვის, ძირითადად, $CO_2$ და ეკოლოგიურად სუფთა ე.წ. Green Gas-ი გამოიყენება.

აირის იარაღში ჩასატუმბად აუცილებელია სპეციალური კონტეინერი. ერთი სრული დატენა 2-3 მთლიანი მჭიდის დასაცლელად საკმარისია. სროლა თითო-თითო ან ავტომატური ჯერით შეიძლება.

$CO_2$-ის ავზებთან საქმე უფრო მარტივად არის. ბალონები თავისუფლად იყიდება, როცა ეკოაირი მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიებშია ხელმისაწვდომი.

$CO_2$ აირზე მომუშავე იარაღში რეზინის ნაწილები ხშირად ცვდება. Green Gas-ი მავნე მინარევებს არ შეიცავს და შესაბამისად ცვეთაც ნაკლები აქვს.

არსებობს აირზე მომუშავე სან-



ტერესო კონსტრუქციის აირსოფტიარაღი. მასში აირის ავზი უშუალოდ მჭიდშია მოთავსებული და უკეთეს სწრაფსროლას უზრუნველყოფს.

ელექტროპნევმატური პრინციპით მომუშავე მექანიზმი დღეისათვის ყველაზე პოპულარული და პერსპექტიულია. ასეთ იარაღს აქვს პატარა ელექტროძრავა, რომელიც ზამბარას ავტომატურად ჭიმავს.

ძრავა 7,2-12 ვოლტამდე ძაბვის აკუმულატორით იკვებება და სტანდარტული იარაღის გადაკეთებით სროლის მანძილს 80-120 მეტრამდე (სნაიპერული შაშხანებისთვის) ზრდის. აკუმულატორის ტიპიდან გამომდინარე, ერთი სრული დატენით 1300-4000 გასროლის შესრულება შეიძლება.

**აირსოფტში გამოიყენება:**

ავტომატი — ყველაზე გავრცელებული და ნამდვილის ზუსტი ასლია. მისი დამიზნებით სროლის მანძილი 20-35 მეტრია. შესაძლებელია ერთჯერადი ან ავტომატური ჯერით სროლა; პისტოლეტი ნამდვილს უფრო შეესაბამება, მაგრამ იმავდროულად უფრო რთული გამოსაყენებელია. მუშაობს აირის მექანიზმზე და ყოველი თამაშის წინ დატუმბვას საჭიროებს. დამიზნებით სროლის მანძილი 20-25 მეტრია.

ტყვიამფრქვევი განკუთვნილია მათთვის, ვისაც ძალა და შეუწყვეტელი ცეცხლის წარმოება უყვარს. ავტომატისგან განსხვავებით კომპლექტაციაში სხვადასხვა ტევადობის მჭიდები შედის. დიდი ზომის მჭიდი (ბუნკერი) 250-500-მდე ტყვიას იტევს.

სნაიპერულ შაშხანას აქვს მიზანში სროლის დიდი სიზუსტე, მაგრამ დაბალი სწრაფსროლა. დამიზნებით სროლის მანძილმა შეიძლება 60-80 მეტრს მიაღწიოს, რაც სტანდარტული ავტომატით სროლის მანძილს გაცილებით აღემატება.

ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა მოდელს აქვს ე. წ. „ჰოპ აპ“-ის სისტემა, რომელიც ჰაერში ბურთულის ბზრიალს არეგულირებს. მისი მუშაობის პრინციპი ასეთია: გასროლით ლულაში განთავსებული რეზინის მჭიდრო ნაწილი ბურთს ბრუნვით მოძრაობას ანიჭებს. „ჰოპ აპ“-ის დახმარებით ბურთულა უფრო შორს და სწორი ტრაექტორიით მიფრინავს.

მოყვარულები სტანდარტულ იარაღს ხშირად მოდერნიზებას უტარებენ და დამიზნებით სროლის მანძილს, სროლის სიჩქარეს, ტყვიის საწყის სიჩქარესა და სხვა მახასიათებლებს აუმჯობესებენ.


სამხედრო თამაში ნებისმიერ ამინდში მიმდინარეობს

## აირსოფტი საქართველოში

საქართველოში აირსოფტის განვითარებას არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს. თავდაპირველად სპორტის ამ სახეობით მხოლოდ რამდენიმე ჯგუფი იყო დაინტერესებული და იარაღად საბავშვო სათამაშოებს იყენებდნენ. ძირითადად, ეს იყო შაშხანების ასლი, რომელსაც მცირე მოდერნიზაცია უტარდებოდა — შავად იღებებოდა, ეცვლებოდა ლულა და სხვ.

ოფიციალურად საქართველოში აირსოფტი სათავეს 2009 წლის ნოემბრიდან იღებს, მომდევნო წლიდან კი შეჯიბრებებმა კლუბური სახე მიიღო.

კლუბის წევრები სამოქალაქო პირები, ყოფილი და მოქმედი სამხედროები არიან.

ფედერაციის წევრთა რაოდენობამ უკვე რამდენიმე ასეულს გადააჭარბა, ხოლო თამაშის მოსურნეთა რიცხვმა კი 150 კაცი შეადგინა. ამ დროისთვის გუნდები ძირითადად ელექტრული ავტომატური შაშხანებით არიან აღჭურვილი და უმეტესი ნაწილი სროლის სიზუსტისა და მანძილის გასაუმჯობესებლად გადაკეთებულია.

ტარდება სხვადასხვა შეჯიბრება თუ ტურნირი. ფედერაციის ხელმძღვანელობით 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული ბავშვებისთვის საქველმოქმედო აქცია ჩატარდა.

ფედერაციის დაარსებიდან ერთი წლისთავზე, 2009 წლის ნოემბერში საქართველოს აირსოფტის ასოციაცია ჩამოყალიბდა.

ასოციაცია და ფედერაცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციებია, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთ მიზანს ემსახურებიან —საქართველოში აირსოფტის პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და მებრძოლი სულის ამაღლებას.

ფედერაციაში გაწევრებული კლუბები მკაცრად აკონტროლებენ წესების დაცვას. თუ რომელიმე მოთამაშე შემჩნეულია დარღვევაში, ის გაფრთხილებას იღებს, ხოლო მსგავსი ქმედების გამეორების შემთხვევაში კლუბიდან გაირიცხება.

თბილისში აირსოფტის მაღაზიაც გაიხსნა, სადაც მსურველს შეუძლია შეიძინოს სათამაშო იარაღი, აღჭურვილობა, საბრძოლო მასალა ან იარაღის ასარჩევად სათანადო კონსულტაცია გაიაროს. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს შეზღუდვა აირსოფტის იარაღის შეძენაზე. შესაბამისად, შესაძლებელია მისი ინტერნეტით გამოწერაც. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემოტანილი საქონელი ჩვეულებრივ ექვემდებარება განბაჟებას.

აირსოფტი საქართველოში ნელნელა ძალას იკრებს და ამ გასამხედროებული სპორტით სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება.

***ანრი კუზანაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ფოტო სტატიის ავტორმა 11 წლის წინ გადაიღო იაღლუჯის პოლიგონზე. ქართული არმიის კუთვნილ „უაზში" ლაზერული „ქვემეხი" ПАПВ-ია მოთავსებული, ხოლო მანქანის სახურავზე 1РЛ133 ტიპის კომპაქტური სადაზვერვო რადიოლოკატორია დამაგრებული

## ექსკლუზივი

# აფხაზეთში მებრძოლ ქართულ არმიას მილიონ დოლარად ლაზერულ იარაღს სთავაზობდნენ...

**ლაზერული „ქვემეხი" გუმისთიდან ეშერის მიმართულებით რომ აგვემოქმედებინა, მოწინააღმდეგის „ფაგოტების" გათვლებს, ტანკების ეკიპაჟებს, ოპტიკური ხელსაწყოებით მომზირალ მზვერავებსა და ვიდეოკამერიან ოპერატორებს ცუდ დღეში ჩაყრიდა**

1992 წლის ბოლოს, გახურებული აფხაზეთის ომის დროს, გარკვეულმა პირებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას გაუგონარი წინადადება შესთავაზეს — ერთ მილიონ ამერიკულ დოლარად ერთ საიდუმლო იარაღს მოგაწვდით, რომელიც რამდენიმე წუთში ყველა თქვენს მოწინააღმდეგეს გაჟუჟავსო.

გაგრის დაკარგვის და სოხუმის დაბომბვების შემდეგ, მაშინდელი თავდაცვის მინისტრი შეიძლება ყველაფერს დასთანხმებოდა — აუცილებელი იყო პატარა გამარჯვება მაინც.

ამ ზესაიდუმლო იარაღის გამყიდველებმა ჯერ მისი ტექნიკური მაჩვენებლები გაანდვეს ქართველებს — მას შეუძლია მთელი ფრონტის გასწვრივ ლაზერული სხივით მოწინააღმდეგის ყველა ოპტიკური ხელსაწყო (მათ შორის დურბინდები, დასამიზნებელი მოწყობილობები, ჯავშანტექნიკის ტრიპლექსები და სხვ.) წამში გააფუჭოს, ხოლო მათზე მომუშავე პირადი შემადგენლობა დროებით დააბრმავოს და ბრძოლისუუნარო გახადოსო.

წინადადება იმდენად მაცდური გახლდათ, რომ მაშინდელი თავდაცვის მინისტრიც, მიუხედავად მილიონი დოლარისა, შეიძლება გარიგებას დათანხმებულიყო. თუმცა რამდენიმე პროფესიონალი ქართველი სამხედრო და მეცნიერი ძალზე დააეჭვა ამგვარი იარაღის შესაძლებლობამ. მოგვიანებით ეს დანადგარი ლაბორატორიულ პირობებში კიდევაც გამოცადეს და დარწმუნდნენ — გამყიდველები მის ტექნიკურ მონაცემებს აზვიადებდნენ.

თუმცა, მიუხედავად ამისა, იარაღის ამ სახეობას მართლაც საგულისხმო შესაძლებლობები გააჩნდა.

ამ იარაღის სახეობის შიფრი — 1K12 ერთი შეხედვით მკითხველს, რა თქმა უნდა, არაფერს ეუბნება. სამაგიეროდ, ვისაც ეს კომპლექსი რეალურ საბრძოლო მოქმედებებში გამოუყენებია, აღფრთოვანებას ვერ მალავს.

კომპლექსის ძირითადი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ოპტიკური ხელსაწყოების აღმოჩენა. მას ამისთვის ღამის ხედვის მოწყობილობაც გააჩნია, რაც ამ კომპლექსის დღე-ღამის ნებისმიერ დროს გამოყენების საშუალებას იძლევა.

თავდაპირველად, ოპერატორი მოწინააღმდეგის მხარეს სუსტ ლაზერის სხივს უშვებს, რომელიც ოპტიკური ხელსაწყოების განლაგებას ეძებს, მათზე მოხვედრისთანავე ლაზერის სხივი აირეკლება და უკან უბრუნდება კომპლექსს.



ოპტიკურ-ელექტრონული სისტემების საწინააღმდეგო გადასატანი ლაზერული ხელსაწყო ПАПВ (1K12) 56 კგ-ს იწონის და მას 300-დან 1500 მ სიშორეზე ოპტიკურ ხელსაწყოებზე მომუშავე ადამიანის მხედველობა დროებით მწყობრიდან გამოჰყავს

ამ დროს ოპერატორის ყურსასმენებში წრიპინი გაისმის, ე.ი. მოწინააღმდეგე ამოჩენილია. ამის შემდეგ ირთვება ავტომატური სისტემა და კომპლექსი უკვე თავად უშვებს მტრის მხარეს დიდი სიმძლავრის ლაზერულ სხივს მწვანე და ინფრაწითელ სპექტრში.

ამ სიმძლავრის ლაზერის სხივის მოხვედრისთანავე მოწინააღმდეგის ელექტროოპტიკური ხელსაწყოები მწყობრიდან გამოდის, ხოლო მათში მაყურებელი ადამიანი დროებით ბრმავდება.

იარაღის ამ სახეობას, გარდა წმინდა პრაქტიკული დანიშნულებისა, ძალზე დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც გააჩნია, — როდესაც მოწინააღმდეგემ იცის, რომ შენ ასეთი ლაზერული იარაღი გაქვს, ყოველთვის უფრთხის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსების, სადაზვერვო ოპტიკისა და მძიმე ტექნიკის ელექტროოპტიკური ხელსაწყოებით სარგებლობას, რადგან ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის გარდა, ის, პირველ რიგში, თავის თვალებს უფრთხილდება.

მაშინ, 1992 წლის ბოლოსა და 1993 წლის დასაწყისში, ის გარიგება ვერ შედგა. შეიძლება ეს უკეთესიც იყო, რადგან ზემოხსენებული კომპლექსი ერთი მილიონი დოლარი ნამდვილად არ ღირდა და არც მთლად ისეთი მაჩვენებლები ჰქონდა, როგორ რეკლამასაც გამყიდველები უკეთებდნენ.

სამაგიეროდ, რამდენიმე თვეში ქართულ არმიას თბილისში განთავსებული ერთი რუსული სამხედრო ნაწილიდან ისედაც დარჩა რამდენიმე ათეული 1K12 კომპლექსი.

ისინი დაახლოებით 80-იანი წლების ბოლოს შემოიტანეს საქართველოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შეაიარაღებლად, მაგრამ შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო გაუხსნელად იდო საწყობში. თუმცა, რუსებმა 1K12-ის ვერცხლის შემცველი სპეციალური აკუმულატორები ხელს გააყოლეს. ეს ძლიერი აკუმულატორი კომპლექსს საშუალებას აძლევდა მოეხდინა ლაზერის სხივის 1000-მდე „გასროლა“ 1,5 კმ-ის მანძილზე.

P.S. ამ ლაზერული „ქვემეხის“ საბრძოლო გამოყენების თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის ბოლოსთვის ქართული არმიის არსენალში გამოჩნდა ისეთი თანამედროვე იარაღი, რომლის მსგავსის გამოყენებას ულტრათანამედროვე ამერიკული არმია მხოლოდ ახლა იწყებს ავღანეთში.

**ირაკლი ალადაშვილი**

# ეს საინტერესოა



● მას შემდეგ, რაც ჩინეთამდე ჩააღწია ხმამ მაქსიმის მიერ გამოგონებული იარაღის შესახებ, რომელიც წუთში 600-ზე მეტ გასროლას აკეთებდა, ცნობილი ჩინელი ხელისუფალი ლი ჰუნჩჟანი ლონდონში ჩავიდა მის სანახავად. აღფრთოვანებულმა ჩინელმა იკითხა, რა ჯდებოდა ამ იარაღის სროლა. მოახსენეს, წუთში 130 გირვანქა სტერლინგიო. „ეს ტყვიამფრქვევი ჩინეთისთვის ზედმეტად სწრაფად ისვრის“, — დაასკვნა შეფიქრიანებულმა ლიმ.

● ასურეთში დაიწყო ცნობილი „კუს ომი“, რომელიც 500 წელი გაგრძელდა. წვეულებაზე შეზარხოშებულ დედოფალს ხელიდან გაუვარდა კუს ბაკნის სავარცხელი, რომელიც დროზე ვერ მიაწოდა მეზობელი ქვეყნის ელჩმა და სწორედ ეს გახდა ომის დაწყების საბაბი.

● შუა საუკუნეების ჩინეთში 3 წლის განმავლობაში 15000-ზე მეტი ჯარისკაცი იმის გამო დაიღუპა, რომ ერთ-ერთმა დიდებულმა მეორეს კამათის დროს წვერი დააგლიჯა.

● იაპონიაში ერთ-ერთ სიოგუნთან მოლაპარაკებისას ელჩები ეტიკეტით გათვალისწინებულ მანძილზე ერთი მეტრით უფრო შორს დასხდნენ, ხოლო საჩუქრის გადაცემისას ფეხზე ნახევარი წუთით ადრე წამოდგნენ. „შეურაცხყოფილი“ სიოგუნის წამოწყებული ომი 250 წელს გაგრძელდა, მთლიანად გადაიწვა კუნძულ ჰოკაიდოს 2/3 და ამოწყდა დაახლოებით 150000 კაცი.

● 1249 წელს ბოლონიიდან მოდენაში გაიქცა ჯარისკაცი, რომელმაც ხელს გააყოლა ძველი ხის გობი, რომლითაც წყალს ასმევდა ცხენს. ბოლონიის ხელისუფლებამ არა დეზერტირის, არამედ გობის გადაცემა მოითხოვა, რაზედაც სასტიკი უარი მიიღო. ამას მოჰყვა 22-წლიანი ომი, რომელმაც ორივე მხარე მნიშვნელოვნად დააზიანა. გობი დღესაც ინახება მოდენის ერთ-ერთ კოშკში.

● მანჰეტენზე მოსახლე მკვიდრ ინდიელებსა და იქ ჩასახლებულ ბრიტანელებს შორის ომი იმისთვის გაჩაღდა, რომ ინდიელმა გოგონამ ერთ-ერთი ევროპელის ბაღიდან ატმები მოიპარა. ეს ომი ისტორიაში „ატმების ომის“ სახელით შევიდა და ადგილობრივ ინდიელთა სრული ამოწყვეტა გამოიწვია.

● 1775 წელს ფრანგმა ინჟინერმა დიუ პერონმა ახალგაზრდა ლუდოვიკ XVI-ს წარუდგინა „სამხედრო ორგანი“, თანამედროვე ტყვიამფრქვევების პროტოტიპი, რომელსაც სახელურით ამოქმედება და ერთდროულად 24 ტყვიის გასროლა შეეძლო. იარაღი მეფესა და მის მინისტრებს ისეთი არაჰუმანური მოეჩვენათ, რომ შემქმნელი კაცობრიობის მტრად ჩათვალეს, ხოლო იარაღი აკრძალეს.

● 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის მომავალი გმირი ერმოლოვი ბილწსიტყვაობით იყო ცნობილი. ამიტომაც ზემდგომებმა მისთვის გენერლის წოდების დროზე ადრე მინიჭება მოითხოვეს, რადგან მათთვის გენერლისგან გინება უფრო ასატანი იყო.

● 1834 წელს აფრიკელთა ერთ-ერთი ტომის სოფლის უხუცესმა მეორე ტომის სოფლის უხუცესი ძროხის მოპარვაში დაადანაშაულა. და დაიწყო ომი, რომლის დროსაც ორივე ტომი ამოწყდა.

*მოამზადა*

**ვახტანგ კაპანაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანეკდოტები

● ყველას ეშინოდა ანზორასი. მთელმა ბატალიონმა იცოდა, რომ ანზორამ კარატე იცის. ერთხელ ანზორა სხვა ბატალიონის ბიჭებმა მაგრად სცემეს. სხვა ბატალიონის ბიჭებმა არ იცოდნენ, რომ ანზორამ კარატე იცოდა.



● საქართველომ ჩინეთს ომი გამოუცხადა. ჩინელი სარდალი მივიდა გენერალთან:

— გენერალო, საქართველომ ომი გამოგვიცხადა!

— რამდენი არიან?

— 5 მილიონი.

— რომელ სასტუმროში გაჩერდნენ?

## სარეკლამო განცხადებები

● „შეუერთდი ჯარს, მოინახულე ეგზოტიკური ადგილები, შეხვდი უცნაურ ადამიანებს და დახოცე ისინი“.

● ეცადე, გამოიყურებოდე ნაკლებად მნიშვნელოვნად, მტერს შეიძლება ტყვიების დეფიციტი ჰქონდეს.

ჯარისკაცური ცხოვრება აღსავსეა კურიოზებით და კარგ ანეკდოტს ბრძოლის ველზე თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მეომრებისთვის ხშირად აუმაღლებია საბრძოლო სულისკვეთება. გამოგვიგზავნეთ „არსენალის“ რედაქციაში ფოტოები, კურიოზები, რომლებიც თქვენ ან თქვენს მეგობრებს გადაგხდენიათ, ასევე სასაცილო ანეკდოტები სამხედრო თემაზე, რათა კარგი განწყობა „არსენალის“ დანარჩენ მკითხველებსაც შევუქმნათ.

E-mail: arsenali@kvirispalitra.com

ტელ.: 896 104 401

## კARMYკატურა

„რუსი მაკედონელი“




# ვიდეოკამერა სასწაულებრივი იარაღი

ტელევიზიის შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ შეიქმნა ადამიანზე ზემოქმედების იარაღი, რომელსაც პოლიტიკურ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია, რა თქმა უნდა, თუ მის კარგად გამოყენებას შეძლებთ.

წონა — 2 კგ

სიმაღლე — 0,3 სმ

შესაძლებლობები

მას შეუძლია მიტინგზე მყოფი ათი ათასი კაცი ათასად გადაიღოს და ისე მიაწოდოს ტელევიზიას; შეუძლია ისეთი სასწაულის გადაღება, როგორიცაა ომის მოგება რუსეთთან და საერთოდ, რომელ ქვეყანასთანაც გნებავთ.

კარგი პატრონის ხელში შეუძლია ისე დაპატარავდეს, რომ ღილის მაგივრობაც გასწიოს და რამდენიც გინდათ, იმდენი აგენტი აღმოაჩინოს.




სასწაულებრივი უმაყურო ვიდეოკამერა, მუშაობს პოლიტიკოსების გრანტებით

უკუჩვენება — მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია დაკარგულ ტერიტორიებზე დაწერილი სიმღერებისთვის მაგარი კლიპების გადაღება, სამწუხაროდ, აქვს ჩავარდნებიც. ამ იარაღმა მარცხი განიცადა პოლიგონ „ფანდარასტ 2007“-ზე, — გაფუჭდა და ამჟამად ახალ მოდელზე მიმდინარეობს მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლკოვნიკის მძღოლი



ეს ამბავი კომუნისტების დროს მოხდა. ჩემი ბიძაშვილი გივი ჯარში გაიწვიეს. მამა ჰყავდა ძალიან ჩალიჩა კაცი და იმდენი ქნა, გივი პოლკოვნიკის მძღოლად მოაწყო, მიუხედავად იმისა, რომ მან მანქანის მართვა კარგად არც იცოდა. გივი კარგი იუმორის მქონე და ენაკვიმატი იყო. ერთხელაც პოლკოვნიკი შტაბში გამოიძახეს. მანქანაში ჩაჯდა და გივის უბრძანა, რაც შეიძლება ჩქარა წადი, დავაგვიანეო. გივიმ 60 კმ საათზე ვერ ააცილა... პოლკოვნიკი ნერვიულობდა, ბოლოს უბრძანა, გადმოდი, მე დავჯდები საჭესთანო. ასეც მოხდა და მანქანა ლამის გაფრინდა. მალე ავტოინსპექტორმაც შენიშნა დამრღვევი და გამოედევნა, თუმცა უშედეგოდ. ბოლოს საჭირო გახდა შვეულმფრენის გამოძახება და ჩვენს გივისა და მის უფროსს რამდენიმე წუთში გაიშნიკებით სავსე შვეულმფრენი ცხვირწინ დაუფრინდათ.

— თქვენი ვინაობა! — ჰკითხეს მძღოლს.

— პოლკოვნიკი სოლოვიოვი!

— უკაცრავად, ამხანაგო პოლკოვნიკო. — გაეჭიმა მილიციელი და გივის გადახედა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ამხანაგო? — დაუცაცხანა ინსპექტორმა.

— პოლკოვნიკი რომ მძღოლად მიზის, მე ვინ ვიქნები, შენი აზრით? — არ დაიბნა გივი. მილიციელმა გულიანად გადაიხარხარა და ავტომობილს გზა დაუთმო.

# ფოტოკომიკა




რუბრიკა მოამზადეს **სულხან ნამჩევაძემ** და **გელა კორძაძემ**

# როგორ მხედრულ ფიცს დადებდნენ სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცები

### ჰოლანდიელი ჯარისკაცი

ვფიცავ, კეთილსინდისიერად შევისწავლო მტრის ყველა სიმპათიური ჯარისკაცი. ღირსეულად განვაგრძო წინაპართა ტრადიციები და ორიენტაციები. მტკიცედ დავიცვა დისციპლინა და ბოლო სამი ნაფაზი დავუტოვო ზემდეგს.

### რუსი ჯარისკაცი

ვფიცავ, კეთილსინდისიერად შევისწავლო ფეხსაცმლის საცხისგან ალკოჰოლის მიღების უძველესი ტრადიციები. მტკიცედ დავიცვა მხედრული დისციპლინა და მორჩილად დავხვდე მთვრალ ოფიცერს, რათა მან პატივი დამდოს და ტაბურეტკა გადამამტვრიოს თავზე. ვფიცავ, ვისწავლო სანტექნიკა, რათა ჩემ მიერ ოკუპირებულ დასახლებულ პუნქტში წამებში მოვახერხო უნიტაზის მოხსნა და სამშობლოში წამოღება.

### სომეხი ჯარისკაცი

ვფიცავ, კეთილსინდისიერად შევისწავლო ორი სიტყვა „დიდი სომხეთი“. ვფიცავ, მტკიცედ დავიცვა სამხედრო დისციპლინა და შევეცადო ერთი ტყვია ვიკმარო მთელი ომის განმავლობში. ვფიცავ, ვიყო პირნათელი ჩვენს დიდ წინაპრებთან: ალექსანდრე მაკედონელთან, იულიუს კეისართან, ნაპოლეონ ბონაპარტთან, სტალინთან, ჩინგიზ-ყაენთან და სხვებთან.

### ბრაზილიელი ჯარისკაცი

ვფიცავ, ღირსეულად შევისწავლო ჩემი გენეალოგია. პატივი ვცე ჩემს გენერალს, რადგან შეიძლება ის ჩემი მამა აღმოჩნდეს სამსახურის დაწყებიდან 125-ე დღეს.

### ანდორელი ჯარისკაცი

ვფიცავ, პირნათლად მოვიხადო ჩემი ვალი ანდორასა და შენ წინაშე, მამაჩემო. მიუხედავად იმისა, რომ მარტო ვარ ჯარში, ვფიცავ, მაინც შევებრძოლები მტერს, თუნდაც მთელი მონაკოს 5-კაციანი არმია შემოგვესიოს.

n8/15
ეროვნული ბიბლიოთეკა





# რუსული „კანარის ჩიტის" საიდუმლოებანი

## რუსული საარმიო სპეცრაზმები მაყუჩიანი ავტომატების გარდა, უხმაურო ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნებითაც გვემუქრებიან...

სავარაუდო მოწინააღმდეგის შეიარაღების ცოდნა სასურველია, მაგრამ როდესაც ეს მოწინააღმდეგე უკვე რეალური გახდა, მაშინ აუცილებელია ქართული არმიის თითოეულმა მებრძოლმა კარგად იცოდეს მათი შეიარაღება და საბრძოლო შესაძლებლობები.

ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ თემას რუსეთის არმიის შეიარაღებაში არსებული სპეცდანიშნულების იარაღი წარმოადგენს. „არსენალი" დროგამოშვებით აცნობს მკითხველს ამ იარაღის მახასიათებლებს. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ რუსულ უხმაურო ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნზე, რომელიც მაყუჩიან ავტომატს ლულის ქვეშ უყენებენ.

სიმართლე ითქვას, უხმაურო ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი БС-1М-ი ცალკე სახმარი იარაღის სახეობა არ არის. БС-1М დამაგრებულია მოკლელულიანი ავტომატის АКС-74УБ-ის ლულის ქვეშ, თავად ლულაზე კი ПБС-4 ტიპის მაყუჩი მაგრდება. მთელ ამ „ნაჯვარს" კი 30 მმ-იანი უხმაურო ყუმბარსატყორცნის კომპლექსი 6С1 Канарейка ეწოდება.



**БС-1М** ტიპის ყუმბარსატყორცნი

რუსული „კანარის ჩიტის" წინამორბედი საბჭოთა უხმაურო ყუმბარსატყორცნის კომპლექსი Тишина გახლდათ. მასში გაერთიანებული იყო დასაკეცკონდახიანი 7,62 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის" ავტომატი АКМС, რომლის ლულაზე ПБС-1-ის ტიპის მაყუჩი იყო დაყენებული, ხოლო ლულის ქვემოთ კი უხმაურო ყუმბარსატყორცნი БС-1.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა არმიის ძირითადი საშტატო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის კალიბრის 7,62-დან 5,45 მმ-მდე შემცირების გამო, გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ГРУ-ს სპეცდანიშნულების დანაყოფებს ახალი სპეციალური იარაღი დასჭირდათ, რის გამოც უხმაურო ყუმბარსატყორცნის კომპლექსი Тишина შეიცვალა Канарейка-ით.



საიარაღო კომპლექსი Тишина — АКМС ავტომატით, ПБС-1 მაყუჩით და БС-1 უხმაურო ყუმბარსატყორცნით

7,62 მმ-იანი **АКМС**-ს ნაცვლად სადაზვერვო-დივერსიულმა ჯგუფებმა 5,45 მმ-იანი მოკლელულიანი **АКС-74УБ**-ები მიიღეს.

თავად ავტომატით ტყვიების გასროლისას წარმოქმნილი ხმის შემცირების სქემა უცვლელი დარჩა: სპეცრაზმელები იყენებდნენ ისეთ ვაზნებს, რომლებშიც ნაკლები დენთი იყო, შესაბამისად, მცირდებოდა ტყვიის საწყისი სიჩქარეც, ხოლო გასროლის ხმის ნაწილს კი მაყუჩი ამცირებდა.

რაც შეეხება თავად უხმაურო ყუმბარსატყორცნს, აქ მეტად ორიგინალური სქემა იქნა გამოყენებული. ყუმბარსატყორცნ **БС-1М**-ს საკუთარი მჭიდი აქვს, რომელშიც 10 ცალი 5,45 მმ კალიბრის სპეციალური ფუჭი ვაზნა თავსდება (**БС-1**-ში კი მხოლოდ 8 ცალი 7,62 მმ კალიბრის ფუჭი ვაზნა ეტეოდა). ყუმბარსატყორცნის ლულაში წინიდან იდება ერთი 30 მმ-იანი ჯავშანგამტანი-ცეცხლგამჩენი ყუმბარა **ВОГ-Т** (ან სასწავლო, ინერტული საბრძოლო ნაწილით). გასროლისას ფუჭი ვაზნის დენთის აირები აწვება სპეციალურ დგუშს, რომელიც ყუმბარსატყორცნის ლულაში გადაადგილდება და ყუმბარას 170 მ/წმ-ში სიჩქარით აგდებს. დგუში კეტავს ლულას, რის გამოც დენთის აირები ატმოსფეროში არ გამოდის და არც სროლის ხმა წარმოიქმნება.



კომპლექსი **Канарейка** და მისი შემადგენელი ნაწილები: მოკლელულიანი ავტომატი **АКС-74УБ**; მაყუჩი **ПБС-4**; უხმაურო ყუმბარსატყორცნი **БС-1М**; 30 მმ-იანი ყუმბარა და მჭიდი სპეციალური ფუჭი ვაზნებით

გასროლის შემდეგ ლულაში ჩაკეტილი აირი ცივდება და ეცემა მისი წნევა, რის შემდეგაც შესაძლებელია ყუმბარსატყორცნის ხელით გადატენა, რომლის დროსაც გასროლილი ვაზნა გარეთ ვარდება და მის ადგილს ახალი ფუჭი ვაზნა იკავებს.

უხმაურო ყუმბარსატყორცნით 30 მმ-იანი ყუმბარების სროლის ეფექტური მანძილი დაახლოებით 200 მ-ია, რაც არც ისე ბევრია. თუმცა ამ სპეციალური იარაღის გამოყენებას თავისი ტაქტიკა აქვს: სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფები შეუმჩნევლად, რაც შეიძლება ახლოს მიიპარებოდა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ობიექტთან და 100-200 მ-ის სიშორიდან უხმაურო ყუმბარსატყორცნს ესროდა აეროდრომზე მდგარ თვითმფრინავებს, შვეულმფრენებს, მართვის საველე პუნქტებს, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების პოზიციებს.

ჩვეულებრივი ყუმბარსატყორცნისგან განსხვავებით, რომელიც გასროლისას დიდ ხმაურსა და ცეცხლის ალს წარმოქმნის, რაც ადვილი აღმოსაჩენია მოწინააღმდეგისთვის, რუსული „კანარის ჩიტი“ გასროლის პოზიციის დემარკირებას არ ახდენს, რაც უთუოდ დიდი უპირატესობაა თავდამსხმელი მხარისთვის.

***ირაკლი ალადაშვილი***

რუსული სპეცრაზმი ტყეში მოქმედების დროს







# 6С1 Канарейка

## (АКС-74УБ; ПБС-4; БС-1М)

არსენალი

ISSN 1987-5061